პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- პეტლიურას მკვლელი შეიპყრეს.
- გაიხსნა ფრანგ სოციალისტების კონგრესი.
- ეგვიპტეში პოლიტიკური კრიზისი მწვავე ხასიათს იღებს.
- რუმინეთში დაიწყო საპარლამენტო არჩევნები.
- საფრანგეთმა უარყო აბდ-ელ-ქერიმის წინადადება.
- საბჭოთა კავშირში მოემგზავრება სკანდინავიის მუშათა დელეგაცია.
- ვენაში უმუშევართა დიდი მიტინგი შესდგა.

ხუთშაბათი, 27 მაისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 118 (1573)

საერთაშორისო ვალების საკითხი

საერთაშორისო ვალების მოწესრიგების საკითხი კვლავ პირველ რიგში სდგას. დღეს ამის შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს ინგლისსა და საფრანგეთსა, საფრანგეთსა და ამერიკასა, იტალიასა და ამერიკასა და სხ. სახელმწიფოებს შორის.

ამ მოლაპარაკების დროს უძლიერესი პოზიცია ამერიკას უჭირავს. ამერიკას ომის დროს ევროპაზე გასესხებული აქვს 25 მილიარდი მანეთი, აქედან 9¼ მილიარდი ინგლისმა ისესხა, თითქმის ამდენივე საფრანგეთმა; მათ მოსდევს იტალია, რომლის დავალიანება ამერიკისადმი ოთხ მილიარდ ნახევარს უდრის და ბოლოს ბელგია (ერთი მილიარდი) და ყოფილი მეფის რუსეთი (ნახევარი მილიარდი). მაშინ, როცა შეერთებული შტატები ზოგიერთ წვრილ სახელმწიფოს (მაგ. ბელგიას, პოლონეთს, ფინლანდიას, უნგრეთს, ლიტვას) ვალების საკითხში „სულგრძელად" შეუთანხმდა, დიდი მევალეებიდან დღემდე მხოლოდ ინგლისის საკითხია გადაწყვეტილი; იტალია-ამერიკის შეთანხმება სენატმა უნდა განიხილოს, საფრანგეთი კი დღეს ამერიკაში მხოლოდ თავისი ელჩის, ბერანჟეს, შემწეობით აწარმოებს მოლაპარაკებას ვალების მომწესრიგებელ კომისიასთან. ამ სახელმწიფოთა შორის საფრანგეთი მხოლოდ მოვალეა, სახელდობრ შეერთებული შტატებისა და ინგლისისა, და მისი დავალიანება საერთოდ 15 მილიარდ მანეთს უდრის; პირიქით, მის მიერ გაცემული სესხი ბელგიასა (1¼ მილიარდი მან.), იუგოსლავიასა (750 მილიონი), რუმინეთსა (500 მილიონი), პოლონეთსა (500 მილიონი) და სხვა პატარა სახელმწიფოებზე (საერთოდ 750 მილიონი), მის დავალიანებასთან შედარებით უმნიშვნელო თანხას წარმოადგენს. ხოლო ინგლისი ამ კამპანიაში განსაკუთრებით დაინტერესებული ქვეყანაა: მიტომ, რომ თუ მას ამერიკის 9¼ მილიარდი მართებს, მისი საფრანგეთს 6½ მილიარდი მართებს, იტალიას დაახლოებით 6 მილიარდი, ხოლო დანარჩენ სახელმწიფოებს 1½ მილიარდი. ასეთ მდგომარეობაში ინგლისის ვალდებულება ამერიკის მიმართ დაჰკარგავდა თავის სიმძაფრეს, თუ ომის დროინდელ მეგობრებს ვალის დროზე გადახდა შესძლებოდა.

ამიტომ ინგლისის ფინანსთა მინისტრმა, ჩერჩილმა ამ ცოტა ხნის წინათ, ინგლისის ბიუჯეტის განხილვის დროს, საერთაშორისო ვალების საკითხი დასვა. მან განაცხადა, რომ ინგლისი ვალდებულია თავის ვალების დასაფარავად ამერიკას წლიურად 330 მილიონი მანეთი გადაუხადოს: ინგლისი თავის მოვალეებისაგან ამ თანხაზე მეტს არაფერს მოითხოვსო.

ინგლისის ასეთი „სულგრძელობის" მიუხედავათ, საერთაშორისო ვალების მოწესრიგება ამ გზით შეუძლებელია. ინგლის-იტალიის შეთანხმების მიხედვით, რომელიც 1926 წლის იანვრის ბოლოს დაიდო, იტალია ინგლისს წლიურად 62 წლის განმავლობაში 40 მილიონ მანეთს უხდის, საფრანგეთს ხუთი წლის განმავლობაში არაფრის მიცემა არ სურს, ხუთი წლის შემდეგ კი მხოლოდ 125 მილიონი მანეთისა წლიურად. მართალია წარსული წლის აგვისტოში მომხდარ მოლაპარაკების დროს საფრანგეთის მაშინდელ ფინანსთა მინისტრ კაიოსა და ჩერჩილს შორის მიღებულ იქნა წინასწარი შეთანხმება, რომლის მიხედვით საფრანგეთი კისრულობს 62 წლის განმავლობაში წლიურად 125 მილიონი მანეთის გადახდას (12½ მილიონი გირვანქა სტერლინგი). მაგრამ ამას თანავე კაიო ითხოვდა, რომ ვალის გადახდა საფრანგეთის მხრივ ვალიუტის განმტკიცებაზე ყოფილიყო დამოკიდებული და აღნიშნული თანხის, 125 მილიონის, შეტანა მხოლოდ 1930 წლიდან ყოფილიყო სავალდებულო. ამასგარდა ამ დროებით შეთანხმებაში კიდევ ორი მნიშვნელოვანი პირობა იყო: საფრანგეთის მიერ ვალის გადახდა დამოკიდებული უნდა ყოფილიყო გერმანიის მიერ ვალის გადახდისაგან; ამა გარდა ინგლისის მოთხოვნილებანი საფრანგეთისადმი ავტომატიურათ გაიზრდებოდენ, თუ შეერთებული შტატები საფრანგეთს უფრო მსუბუქ პირობებს წარუდგენდა, ვიდრე ინგლისმა წარუდგინა. ჩერჩილის ანგარიში ამ მოლაპარაკების დროს შემდეგი იყო: ინგლისი ამერიკას წლიურად 38 მილიონ გირვანქას უხდის, სამაგიეროდ ინგლისი საფრანგეთისაგან 12½ მილიონს ღებულობს, იტალიისაგან 4 მილიონს, სხვა პატარა სახელმწიფოებისაგან 2 მილიონს, გერმანიისაგან 15 მილიონს (თუ მან დოუესის პროგრამა შეასრულა); ეს საერთოდ 33½ მილიონ გირვანქას შეადგენს. ამრიგად ინგლისის მიერ მიღებული თანხა სავსებით ამერიკის ხელში გადადის, ინგლისი მხოლოდ გადამცემი ქვეყანაა. თუ ამასთანავე საფრანგეთი, იტალია და პატარა სახელმწიფოები ამერიკის ვალს გადაიხდიდნენ, ამერიკელები ჯიბეში ჩაიდებდნენ ევროპიელი სახელმწიფოების იმ ვალების 60%, რომელიც ომის დროს [illegible].

რადგან ინგლისს საერთაშორისო ვალების მოწესრიგებიდან არავითარი სარგებლობა არ აქვს, ის ეთანხმება მოკავშირეთა ვალების გაბათილების იდეას. ინგლისის გაზეთები შეერთებულ შტატებს ბრალს სდებენ, რომ ის განადგურებული და ომით დაზარალებულ ევროპიდან სარეპარაციო გადასახადებს ღებულობს.

ეს ბრალდება ამერიკას პასუხის გაუცემლად როდი დაუტოვებია. ამერიკის ფინანსთა მინისტრმა, ერთს თავის უკანასკნელ სიტყვაში განაცხადა, რომ მისი ფინანსიური პოლიტიკა ევროპის მიმართ ქველმოქმედება კი არ არის, არამედ სალი გონების პოლიტიკაა. ევროპიელმა სახელმწიფოებმა უნდა გადაიხადონ თავიანთი ვალები. ამერიკელი კაპიტალისტი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნეს, რომ მან შესძლოს თავის კაპიტალის სარფიანად მოთავსება ევროპაში. ევროპის ფინანსიური აღდგენა ამერიკას საქონლის განაღდების საშუალებას მისცემს. ამერიკას ზედმეტი საქონელი აქვს, მის გასანაღდებლად უცხოეთის ბაზრების მოპოვებაა საჭირო. ეს სიტყვა აშკარავებს შეერთებული შტატების მიზნებს, ის ამტკიცებს, რომ ამერიკას გადაწყვეტილი აქვს მოკავშირეთა ვალების მოწესრიგების საკითხი ევროპიელი სახელმწიფოების დასაქვემდებარებლად გამოიყენოს.

ამერიკას სჭირია ევროპიული სახელმწიფოების ვალი როგორც იარაღი მსოფლიო ბატონობისთვის; ამერიკის ბურჟუაზიას სრულიადაც არ სწადია ამ ვალების გაბათილება.

როგორც ამერიკა ევროპისა და [illegible] დეგ, ისე ინგლისი საფრანგეთის წინააღმდეგ იჩენს ჯიუტობას ვალების მოწესრიგების საკითხში; ეს სჩანს იმ მოლაპარაკებაში, რომელიც ახლა ლონდონში სწარმოებს საფრანგეთის ვალების შესახებ. ჩერჩილი მტკიცედ იცავს კაიოსთან მიღწეულ შეთანხმებას, რომლის მიხედვით საფრანგეთის მიერ გადასახდელი თანხის რაოდენობა უნდა შეიცვალოს, თუ ამერიკამ საფრანგეთს სხვა პირობები წარუდგინა, ვიდრე წინასწარ იყო განსაზღვრული. მეორე მხრით ეს თანხა დამოუკიდებელი უნდა იყოს გერმანიის სარეპარაციო გადასახადებისაგან. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი, პერე, პირიქით სულ სხვა აზრისაა. მან ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ვერც ერთი ფრანგის ფინანსთა მინისტრი პარლამენტს ისეთ ხელშეკრულობას ვერ წარუდგენს, რომელშიც საფრანგეთის ვალების გადახდის საკითხი დაკავშირებული არ იქნება გერმანიის სარეპარაციო გადასახადებთან. პერე აგრეთვე უარჰყოფს წინანდელ შეთანხმებას წლიურად 12½ მილიონ გირვანქა სტერლინგის გადახდის შესახებ, ამ თანხის შემცირებასა და ხუთი წლის მორატორიუმს მოითხოვს.

ეს ბრძოლა ვალების მოწესრიგების შესახებ საფრანგეთსა და ინგლისსა ერთი მხრით, ინგლისსა და შეერთებულ შტატებსა მეორე მხრით იმ იმპერიალისტური წინააღმდეგობების გამოხატულებაა, რომელიც ამ დიდ სახელმწიფოებს შორის არსებობს. ბრძოლა ვალებისთვის არის ბრძოლა მსოფლიო ბატონობისთვის, ან კიდევ ჰეგემონიისათვის ევროპის კონტინენტზე. ამიტომ მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაწყვეტა მშვიდობიანი გზით ისევ ძნელია, როგორც სხვა საკითხებისა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის.

◆

შავი ჩოხა

1914 წლიდან საქართველოს საზღვრებს მხოლოდ უკანასკნელ დროს მოვწყდი რაღაც შვიდიოდე თვით. ეს დრო მე მომიხდა რუსეთში ყოფნა და იქ მუშაობა.

ასწერს ჰერცენის მჭერმეტყველი კალამი თანამედროვე რუსეთს?—ვერასოდეს. გასჭრის რუსეთის გულს და ისახავს მის მძაფრ სულის-დგმას მხატვრული ენა ტოლსტოის, გერშენზონის და ცნობილი უსტრიალოვის?—ვერა. ააყენეთ საფლავებიდან: ბელინსკი, ჩერნიშევსკი და პლეხანოვი თავიანთი შესანიშნავი კალამით—შესძლებენ ესენი დღევანდელ რუსის მშრომელი ინტელიგენციის სურვილებს და აღტაცების სავსებით გადმოცემას?—ვერავითარ შემთხვევაში.

დღევანდელი რუსეთი სრულიად არ ჰგავს გუშინდელ რუსეთს, არც გუშინწინდელ ბობოქარ რუსეთს. თითქოს 1918—20 წლების ამბები ისტორიის შორეულ ანალებმა წაიღეს და მთელი ვეებერთელა ქვეყანა ახალმა ამოცანებმა და ახალმა მიზნებმა გამსჭვალეს.

თავის გაზეთში რუსეთიდან გაქცეული ნადეპუტატარი პროფესორი პავლე მილიუკოვი ამბობდა: რუსეთში იდეოლოგიური ბრძოლა მოისპო და ლიტერატურა იღუპება. მილიუკოვი ერთ რამეშია მართალი: იდეოლოგიური კაციჭამიობა მართლა მოისპო, ხოლო ინტელიგენციის მთელი ენერგია პრაქტიკულ საქმიანობაშია გადატანილი.

უზარმაზარი რუსეთი დღეს წარმოადგენს უშველებელ შრომის და წარმოების ლაბორატორიას, სადაც სლავიანთა მოდგმის უპირატესობის გარშემო კი არ არის კამათი დანილევსკის, ვლადიმერ სოლოვიოვის, აქსაკოვის და მიხაილოვსკის შორის, არამედ იმაზე, თუ მრავალფეროვან ხალხში როგორ და სად მალე ავაშენოთ ქარხანა, ფაბრიკა, ელსადგური, სახელოსნო და ტეხნიკური სასწავლებელი.

რუსეთი ამ ჟამად წარმოადგენს მსოფლიოში პირველ ქვეყანას, სადაც დღე-მუდამ შეგნებული ინტელიგენცია და მშრომელი ხალხი მრეწველობის და მეურნეობის ხუთსა და ათწლიან საამშენებლო გეგმას ამუშავებენ.

ჩვენში არიან ძველი ისტორიის პრიმიტიული და მეცნიერული მცოდნეები—ჯავახიშვილი, ჯანაშვილი, აბულაძე, ჭიჭინაძე—დეე ამათ გვითხრან, ძველს ან ახალს სახელმწიფოებში სად ყოფილა უბრალო შემთხვევა, რომ სახელმწიფოს მთელი აპარატი მუშაობდეს ხუთს და ათწლიან საამშენებლო სისტემაზე. ასეთი სახელმწიფო მხოლოდ ერთია მთელს მსოფლიოში, რომლის სახელია საბჭოთა კავშირი.

რუსეთში არის თეატრი, იქ არიან ნიჭიერი მგოსნები, მოქანდაკენი, მხატვარნი. დღესაც არ არის ახრას (მხატვართა ასოციაცია) ფარდები მოხსნილი ყოფილ სამეურნეო გამოფენიდან, და იქ თქვენ დაინახავთ სიცოცხლით და იმედით აღვსილ მხატვართა სალებავებს, აღორძინებულ რუსეთის პეიზაჟებს, შუბლგახსნილ მუშების სახეებს და ოქროს თავ-თავებით აღვსილ მდელოებს. მოხუცი მხატვარი რეპინი ფინლიანდიაში სცხოვრობს და ის მიისწრაფის ახალ რუსეთისაკენ, რათა თავისი მადლიანი ხელით ახალი კონა ყვავილები მისთავაზოს აღორძინებულ რუსეთს.

მხატვარი და მოქანდაკე კი არ ლაპარაკობენ: ხალხის ზრახვებს თიხით და სალებავით გადმოსცემენ ხოლმე, ესე იგი ენის მაგიერ საქმით ასახიერებენ სინამდვილეს. ერთი სიტყვით დღეს რუსეთის ინტელიგენციაში არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი ინტელიგენციისა, რომელიც რუსეთის დიდ საამშენებლო მუშაობაში არ იყოს ჩაბმული და მთელ თავის შეგნებით უმხურვალეს მონაწილეობას არ იღებდეს ამ აღმშენებლობაში.

მოხუცი ფედიაევსკი იღებს საკასო წყობილების დარგში თავდადებულ მუშაობისათვის საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ჯილდოს—შრომის წითელ დროშას, ძველ დროის მომუშავე გოლოვანოვი—წითელ ვარსკვლავით ამშვენებს თავის მკერდს ღირსეული შრომის აღსანიშნავად, ხოლო პროფესორი ნიკიტსკი მთელ თავის პოლიტიკო-ეკონომიურ კონცეპციას პირველ ყოვლისა ლენინის შრომებიდან ალაგებს.

— რისთვის?

იმისათვის კი არა, რომ ეს ხალხი საბჭოთა წყობილებამ გააკომუნისტა, ამ ხალხის გაკომუნისტება არც არავის სურს და არც არავის უფიქრია. ეს იმიტომ ხდება, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ იგი თავის ირგვლივ თავს უყრის მარტო თავის მიმდევრებს და მუშათა კლასს, არამედ იმიტომ, რომ მთელი კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოში გამოდის დიდის საამშენებლო და ქვეყნის განახლების დროშით, რომ ქვეყნის აღორძინება გადაიქცა პარტიის უმთავრეს ამოცანად.

პარტია უხმობს და სრულ ნდობას უცხადებს ყველა იმ ცოცხალ ძალას, რომელიც სავსებით გაჟღენთილია ქვეყნის განახლების გრძნობით, პარტია იცავს ყველა იმათ, ვისაც გრძნობასთან ერთად სურს მუშაობის ორომტრიალში ჩაებას და შრომის დიდი სახლის ასაგებად მოაქვს ქვა და აგური.

საქართველოში სწორედ ისე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში ხელისუფლება პირველი მივიდა მშრომელ ინტელიგენციასთან და ხელი გაუწოდა მუშაობისათვის. ბესიკი ჭიჭინაძე ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელი იყო და არის, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს კომპარტიის ორგანიზაციასთან; მისი გაკომუნისტება არავის აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ იგი ხელისუფლებამ აღჭურვა სრულის ნდობით, ჩააბარა ქვეყნის უდიდესი საამშენებლო საქმე—ხუთმეტ მილიონიანი წარმოება—ზაჰესი. რისთვის გამოუცხადეს მას ასეთი დიდი ნდობა და სიყვარული. იმიტომ, რომ ბესიკი ჭიჭინაძე მშრომელი ინტელიგენციის საუკეთესო განსახიერებაა, იმიტომ, რომ მისი ცხოვრება შრომაა, იმიტომ, რომ თავისი სუსტი ენერგია მას მოაქვს საქართველოს განახლების და აღორძინების საქმისათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ გადასწყვიტა საქართველო მოფინოს ფაბრიკა-ქარხნებით. მთავრობას სურს სხვა წარმოებასთან ერთად დაარსოს რამოდენიმე ქაღალდის ქარხანა ჩვენი მწერლობის აყვავებისათვის, თითო ქარხანა დაჯდება არა ნაკლებ რვა და ათი მილიონი მანეთისა, სადაც ღარიბი ქართველი ხალხის შვილები ათასობით იშოვნიან შრომას და ლუკმა-პურს.

— ვიღაც მოდის მთავრობასთან და ატყობინებს—ამხანაგებო, თბილისის რომელიღაც უბანში სოლომონ ახვლედიანი სცხოვრობს, ამ კაცს ოდესღაც ქაღალდის ქარხნის საქმეები აინტერესებდაო. უყურადღებოთ სტოვებს ამ ცნობას მთავრობა?—არა! ახვლედიანს არავინ იცნობდა, ზოგიერთს ის პოლიტიკურად არა საიმედო პირად მიაჩნდა, მაგრამ მთავრობამ იგი მაინც დაიბარა: ამხანაგო, თუ შეგიძლიათ მუშაობა, მოკიდეთ ხელი ქვეყნის აღორძინების ერთ საქმეს და შეუდექით მუშაობასო.

სამწუხაროდ ახვლედიანი ვერ აღმოჩნდა ამ საქმისათვის ტეხნიკურად მომზადებული.

რას ნიშნავს ეს მაგალითები. ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა წყობილებას სურს ყველას ხელი გაუწოდოს, პირველად თვითონ მიდის მასთან, ვისაც შერჩენია ქვეყნის აყვავების სიყვარული, რომ ცოცხალი ძალა ასაღორძინებელ მუშაობაში ჩააბას.

რას ვხედავთ ჩვენ ქართველ ინტელიგენციაში?

[illegible] რიგი საზოგადოებრივი ჯგუფების საკითხი საქართველოში ამოწურულად შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოს მუშების და გლეხკაცობის მთელი მასა გაფართოებით მუშაობს ყველა ქარხნებში და ახალ საწარმოო დარგებში. ჩვენ მამლის ყივილიდან გვესმის ჩაქუჩის დაგა-დუგი და ურმის თვალის ჭრიალი. დურგალი და კალატოზი, ზეინკალი და ქარგალი იძულებით კი არ მუშაობს, არამედ შეგნებულად მოაქვს შრომის სამსხვერპლოზე და ქვეყნის აღორძინების ასპარეზზე თავისი გონება და ფიზიკური ენერგია.

ჩვენ არ ვხედავთ ასეთს თავგანწირულებას ქართველ ინტელიგენციის ერთ ნაწილში. ეს უკანასკნელი ორი წელიწადია, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს ეკონომიურ საფუძვლების გამოცვლას და ახალ სამრეწველო ქვეყნის აშენებას. მთავრობას სურს ქართველ გლეხკაცის სახნისის მაგიერ ტრაქტორი შემოიტანოს მეურნეობაში, რათა გლეხს შრომა გაუადვილოს, მეტი საყანე მიწა დაამუშავებინოს და მიწის გული ღრმად ამოიღოს, რომ ხალხმა მეტი ნაყოფი მიიღოს. მთავრობას სურს, რომ მთელი ქვეყანა მოფინოს ელექტრონის ენერგიით, რათა ახალ სამრეწველო დარგებს იაფი სამოძრავებელი და სათბობი მასალა ჰქონდეს, მთავრობას სურს დაამუშავოს ხრიოკი ადგილები და მორწყოს იგი ნოყიერი წყლით მშრალი ადგილების გასამდიდრებლად, მთავრობას სურს გააშროს ჭაობიანი ადგილები და დაასახლოს იგი უმიწა-წყლო მუშა-გლეხებით, მთავრობას სურს ააგოს მთელი რიგი ქარხნები და ფაბრიკები, რათა მუშამ და ინტელიგენციამ იშოვოს შრომის ახალი დარგები. ერთი სიტყვით, მთავრობას სურს მოსპოს დამყაყებული და დაყრუებული საქართველო და შესცვალოს იგი კულტურულ საქართველოთი.

თავის მრავალ საუკუნოების სივრცეზე საქართველოს არ ახსოვს მსგავსი საამშენებლო კამპანია. დღეს ერთ წელიწადში კეთდება, რისი გაკეთება არ ხდებოდა, ან არასოდეს, ან მთელი საუკუნის განმავლობაში. ამ სამრეწველო ყივილ-ხივილის დროს ჩვენ ინტელიგენციისაგან მოვითხოვთ განსაკუთრებულ ყურადღებას და სიყვარულს იმ საქმეებისადმი, რომელიც აყვავებს კულტურულად და ეკონომიურად მთელ საქართველოს.

ჩვენ ვიცით, რომ ინტელიგენციას უნდა მოვლა, პატრონობა, მზრუნველობა, მაგრამ განა უმჯობესი ნამდვილი და ობიექტიური მოვლა შეიძლება გარეშე ქვეყნის სამრეწველო აყვავებისა?—არა.

მაგრამ პასუხად ინტელიგენციის ასეთი ფაქტიური მოვლისა ჩვენ დღესაც გვესმის ერთი მისი ნაწილისაგან სისინი, ჭორი და გულის გატეხა, რაც აფერხებს და ხელს უშლის მთელი ხალხის აღფრთოვანებულ მუშაობას.

ნაწილი ინტელიგენციისა დღესაც რომანტიული გრძნობებით გაჟღენთილა, წინ კი არ მიეშურება ქვეყნის ასაყვავებლად, არამედ იცქირება წარსულისაკენ, შავ აზრებს დამეგობრებია, შავი აჩრდილი ხანჯალი საგანძურად გაუხდია და შავ ჩოხაში გამოწკიპულა.

რა არის ეს შავი ჩოხა? რას მოგვაგონებს იგი? საით მივყავართ მას?

არც ერთი გლეხი, არც ერთი მუშა არ გამოდის ქულაჯით და შავი ჩოხით მუშაობაში და საერთო აღმშენებლობაში. არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი არ გაჰყვება შავი აზრებით და შავი ჩოხებით ინტელიგენციის ჩოხოსნებს.

თუ შავი ჩოხა სიმბოლოა ძველი რომანტიულ საქართველოსი, დეე, ყველა შავ ჩოხოსან ინტელიგენტმა იცოდეს, რომ მასთან არც ერთი ქართველ ცოცხალ ძალას არ ექნება არავითარი საერთო ენა.

შავი ჩოხოსანში წარმოადგენენ საქართველოს უუსირცხვილეს და უმდაბლეს ეპოქას, დროებას ქლესების, მუქთახორობის, ყულეფის, ყოველივე სიწამხდრის.

ყველამ იცის, რომ საქართველოს მასიური ინტელიგენცია ჯერაც ვერ განთავისუფლებულა თავად-აზნაურობის წოდებრივი გავლენისაგან. შავ ჩოხაში გამოწკიპულმა და შავი ხანჯლით შეიარაღებულმა ინტელიგენტმა მეოცე საუკუნის სოციალისტურ აღმშენებლობაში რა უნდა მოიტანოს ხალხის კეთილდღეობისათვის?—რასაკვირველია, არაფერი.

მუქთა ხეტიალი, სამიკიტნო, თარი, ნარდი, ლეკური, მამულის გაყიდვა, ქრთამი, თვალთმაქცობა—აი შავი ჩოხა თავისი სიმბოლოთი.

კავკასიის ერთი მთავარმართებელი მეთხმოციან წლებში სწერდა რუსის მეფის ქართველების შესახებ: „Грузины неспособны по характеру к систематическому преследованию определенной цели" (ნახე: „Всеподданнейшая записка" за 1882—1890 г. г. стр. 7).

განა ქარაფშუტა თავად-აზნაურობისა და მის ინტელიგენციაზე ზედ გამოჭრილი არ არის რუსის დიდი მოხელეს ეს აზრი? განა თანამედროვე ჩოხოსნები ამ ქარაფშუტების სრული განსახიერება არ არის? განა შეიძლება ამ ხალხთან რაიმეს გაკეთება?

რომელი ინჟინერი გამოიჭიმება დღეს ამ სიმბოლიური შავი ტანისამოსით, რომელი ქიმიკოსი იკადრებს ამ ტანისამოსს, რომელი ექიმი შეიარაღდება შავი ხანჯლით წარსულის მოსაგონებლად.

ასეთი ქარაფშუტა ინტელიგენტი არა თუ ზარმაცი და უსაქმო ხორამეტია ჩვენი ქვეყნის სხეულში, [illegible] მარებისა და ქვეყნის აყვავებისა.

კომუნისტები ინდუსტრიალიზაციას ქადაგებენო. ხა, ხა, ხა,—ხითხითებს იგი. რის ინდუსტრიალიზაცია, რისა ინდუსტრიალიზაცია, საქართველოში ვის გაუგონია ქარხანა და ფაბრიკები, საქართველოში ვინ დაარსებს მრეწველობასო.

ზღაპარია ყველაფერი. ჩვენს ნაქებ ზაჰესსაც ერთი დიდი ნიაღვარი წალეკავს და თქვენი ტურბინებიც არ ამოძრავდებაო—ჭორაობენ ისინი.

ვის, რად, რისთვის სჭირია ეს სისინი? რასაკვირველია, შავ ჩოხოსანთა ამყოლ-დამყოლნი საქართველოში ვერ დაარსებენ ვერავითარ ქარხანას, მაგრამ განა ხელ[illegible]ლება მათ იმყარება?—არასოდეს.

ჩვენ გვაქვს ფული, ჩვენ გვაქვს ნებისყოფა, ჩვენ გვაქვს დიდი დახმარება რუსეთიდან და ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყანა ავაყვავოთ.

ინდუსტრიალიზაცია არ არის ერთი და ორი დღის საქმე, ის მოითხოვს დღე ღამით ენერგიულ მუშაობას, გატაცებას, სიყვარულს, აღფრთოვანებას, ჩვენ გვჭირია მთელი ხალხის აღტყინებული მუშაობა, ჩვენ გვჭირია ერთობა, გაერთიანებული შრომის ფრონტი და არა რუსთაველის პროსპექტის მტკეპნელი ხალხი.

ქართველი ინტელიგენციის ხსენებულ ნაწილს მართებს კვლავ გადაათვალიეროს თავისი მოქმედების გეგმა, ვისაც რითაც შეუძლია გაბედულად და უპირობოთ შეეჭრან ჩვენ საამშენებლო მუშაობაში ან და უფრო გაბედულად გაეხვიონ თავიანთ შავ ჩოხებში შავი სანადირო ხანჯლით, რომ თავიანთ სანუკვარ წარსულის გზებით მიაღწიონ საწადელს.

პროლეტარიატის დიქტატურას, მოგეხსენებათ, ძალიან კარგად ეხერხება წარსულისაკენ მიმავალ ძალების წასულის უფსკრულში სამუდამოდ გადარეკა.

თედო ღლონტი.

◆

ნაბიჯი მშვიდობიანობის წინააღმდეგ

(„პრავდა"-ს მოწინავე წერილი)

მყვირალა და ცარიელ ფრაზებით მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ, რომლის სურნელებით სავსეა შვეიცარიის სახელგანთქმული ქალაქი ჟენევა, უცხოეთის ბურჟუაზიას სურს დაფაროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ მიმართული ინტრიგა და ძირი გამოუთხაროს მშვიდობიანობას აღმოსავლეთ-ევროპაში.

როგორც სჩანს, უცხოეთის ბურჟუაზიას განზრახული აქვს მოიმარჯვოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ქვა, რომელიც მას მზად ჰქონდა. პოლონეთის მთავრობის მხრივ უკვე მეტად მნიშვნელოვანი აგრესიული ნაბიჯია გადადგმული საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ. ჩვენი კავშირის ყოველმა შეგნებულმა მუშამ და გლეხმა ღირსეულად უნდა შეაფასოს პოლონეთის ახალი ნაბიჯი და ღრმად ჩაუკვირდეს მას.

საბჭოთა დიპლომატიამ, რომელიც ისევე, როგორც ჩვენი კავშირის მთელი მუშურ-გლეხური მოსახლეობა, გულწრფელად მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ, — წინადადება მისცა ჩვენს მეზობელ დასავლეთ სახელმწიფოს დაედოთ ჩვენთან ხელშეკრულებები ურთიერთ ნეიტრალიტეტის და თავდაუსხმელობის შესახებ, როგორც ეს ჩვენთან ოსმალეთმა და გერმანიამ დასდეს.

საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ შეუწყვეტია მშვიდობიანობისათვის პრაქტიკული მუშაობა, წინააღმდეგ იმ პოლიტიკისა, რომელსაც აწარმოებენ ერთა ლიგის ხელმძღვანელი სახელმწიფოები, რომელნიც მშვიდობიანობის საკითხში კმაყოფილდებიან იაფ-ფასიანი, ყოველგვარ ძალას მოკლებულ პაციფისტური ფრაზეოლოგიით. ჩვენს სამშვიდობო პოლიტიკის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებს წინადადება მივეცით დაედოთ ჩვენთან ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ.

ვფიქრობდი, რომ ერთა ლიგა, რომელიც ყოყოჩობს თავისი „პაციპიზმით", გავლენას იქონიებდა ჩვენს მეზობლებზე იმ მხრივ, რომ მათ ჩვენთან მშვიდობიანობა ჩამოეგდოთ, მაგრამ იმ სახელმწიფოების გავლენა, რომელნიც ერთა ლიგას განაგებენ, ნამდვილად სულ სხვანაირი „გავლენა" გამოდგა.

ანტანტის აგენტი—პოლონეთი არ დაეთანხმა ჩვენს წინადადებას. ჩვენთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების მაგიერ, პოლონეთი კისრულობს „ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობის და მთლიანობის დაცვის" მისიას. პოლონეთი როგორც „ნოვი კურიერ პოლსკი" რიხიანად იტყობინება, თვითონ ეძებს გზებს ევროპის აღმოსავლეთის „გასამაგრებლად" ასე გამოდის, რომ ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, ე. ი. ხელშეკრულება, რომლის მიზანი მხოლოდ მშვიდობიანობაა, „პოლონეთისათვის არ არის ხელსაყრელი".

პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, მზადდება პოლონეთ-ბალტიის სახელმწიფოთა საიდუმლო შეთანხმება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. იმ ხელშეკრულებით, რომლის დადება განზრახულია, პოლონეთი კისრულობს სამხედრო დახმარება გაუწიოს ლიტვასა და ესტონეთს, თუ მათ ომი მოუხდათ საბჭოთა კავშირთან.

პოლონეთის აგრესიულ გეგმასთან დაკავშირებით, ივლისის ბოლო რიცხვებში იკრიბება პოლონეთის, ლატვიის და ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრების მორიგი კონფერენცია. თუ ამასთანავე მოვიგონებთ ამას წინანდელ განცხადებას პოლ ბონკურის, რომელიც რამოდენიმე ხანია ერთგულად ამშვენებს საერთაშორისო სოციალ-გამყიდველების და რენეგატების მოწინავე რიგებს, განცხადებას, სადაც ის ხოტბას ასხამს პოლონეთის სამხედრო პოსტის „ცივილიზატორულ" დამსახურებას და მის ისტორიულ დანიშნულებას—იყოს ევროპის „დამცველი" ბოლშევიზმისგან,—ნათელი გახდება, თუ საით იხრება პოლონეთის საგარეო პოლიტიკის გეზი.

ჩვენ ვხედავთ, როგორ ცოცხლდება ფეხს იკიდებს ანტისაბჭოთა სამხედრო ზღუდის შექმნის და პოლონეთის ჰეგემონიის იდეა. თურმე ისტორიის არქივს როდი ჩაბარდა „ბალტიის ზღვიდან შავს ზღვამდე" არსებულ სახელმწიფოთა ბლოკის შექმნის ცდა, იმ ბლოკის, რომლის მახვილი სოციალისტური რევოლუციის ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული.

პოლონეთის მილიტარისტებმა, იმათი აშკარა კარნახით ვისაც თავის ხელთ უპყრია ვითომდა დამოუკიდებელ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის საიდუმლო და ინტიმური ძაფები, ეძებენ საბჭოთა კავშირის სამხედრო გარემოცვის გზებს და ამ ბინძურ საქმეში ითრევენ ბალტიის განაპირა სახელმწიფოების მთელს ჯგუფს.

მეტად საინტერესოა, როგორ გამოეხმაურებიან პოლონეთის გამოსვლებს ბალტიის განაპირა სახელმწიფოები. ფინეთი, როგორც სჩანს, თითქოს დიდი თანაგრძნობით არ უცქერის პოლონელ მილიტარისტების ინიციატივას. სამაგიეროდ ლატვია და ესტონეთი ძალიან დაინტერესდნენ პოლონეთის წინადადებით და თავგამოდებით არჩევენ მას პოლონეთის ელჩებთან ერთად რიგაში და რეველში. ესტონელი და ლატვიელი სახელმწიფო მოღვაწენი პოლონეთთან ერთად მზად არიან იარაღი აღმართონ ჩვენს წინააღმდეგ.

ისინი ამას სჩადიან თვით ესტონეთის და ლატვიის მშრომელი მოსახლეობის სურვილისა და მშვიდობიანი მისწრაფებების წინააღმდეგ. ისინი ამას სჩადიან წინააღმდეგ მათი საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისა აღმოსავლეთში, რომელთაც სათანადოდ უზრუნველჰყოფს არა სამხედრო ინტრიგების პოლიტიკა, არამედ პოლიტიკა მეგობრობისა და მშვიდობიანობისა საბჭოთა კავშირის მიმართ. როგორც სჩანს, ამას ისინი სჩადიან იმ „უმაღლეს" ფარულ პატრონების კარნახით, რომელთათვის ამაზე უფრო არასასიამოვნო ფაქტი არ შეიძლება, როგორც მშვიდობიანობა ევროპის აღმოსავლეთით. უნდა მოვაგონოთ ესტონელ და ლატვიელ პოლიტიკოსებს, რომ ასეთი საქციელით ისინი უფრო მეტად თავის თავს ავნებენ და [illegible].

რაც შეეხება ჩვენი კავშირის მუშებს და გლეხებს, ისინი ფხიზლად იქნებიან და შეუსუსტებლად თვალყურს ადევნებენ მილიტარისტების ინტრიგების სისხლის მღვრელ ოინებს. ჩვენი კავშირის მუშათა და გლეხთა მასები ვერ მოითმენენ სახელმწიფოთა მტრულ სამხედრო კავშირს დასავლეთ საზღვარზე. საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისათვის მშვიდობიანობის საკითხი პირველხარისხოვან მნიშვნელობის საკითხად რჩება.

(გადმოღებულია ტელეგრაფით)

ინგლისმა იგრძნო მაღაროს მუშათა გაფიცვის შედეგი

დაიხურა ვაგონების საამშენებლო ქარხანა.—შეწყდა მუშაობა ფოლადის მრეწველობაში

ნახშირის ეკონომიის მიზნით შემცირებულია სარკინიგზო მიმოსვლა

კოოპერატიულმა კონგრესმა ბელფასტში თანაგრძნობა გამოუცხადა გაფიცულ მუშებს

ბალდუინი ქადაგობს

ლონდონი, 26 მაისი. იმ მწვავე კრიზისის გამო, რომელსაც ქვეყანა განიცდის, დიდ ინტერესს იწვევს მომავალი საპარლამენტო არჩევნები ჩრდილოეთ-ჰამერსმიტში. უკანასკნელ საერთო არჩევნებში ძლიერი ბრძოლის შემდეგ 2000 ხმით გაიმარჯვა კონსერვატორების კანდიდატმა და გაზავებულ იქნა მუშათა პარტიის კანდიდატი. მომავალ არჩევნებში ბრძოლა ექნება სამ პარტიას, ვინაიდან ლიბერალების კანდიდატიც არის წამოყენებული. ფიქრობენ, რომ არჩევნების შედეგები გამოხატავს შექმნილ საზოგადოებრივ სულიერ განწყობილებას.

ერთ წერილში კონსერვატორების კანდიდატი სემუელ გლუკსტეინისადმი ბალდუინი მოწოდებით მიმართავს მუშა-ამომრჩევლებს. პრემიერი აღნიშნავს, რომ უკანასკნელმა სამწუხარო ამბებმა გამოიწვიეს ჩვეულებრივი პოლიტიკური მეტოქეობა და დასძინს:

„საყოველთაო გაფიცვას არაფერი გაუკეთებია მაღაროების მუშების მოსალონიერებლად და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშათა პარტია ამაოდ ცდილობს საზოგადოებრივი აზრის გაღიზიანებას უკანასკნელი ამბების მნიშვნელობით. ერმა მთლიანად დაიკავა ის მდგომარეობა, რომელსაც ის ყოველთვის იცავდა. ამ ჟამად ჩვენი მოვალეობაა—და ეს ვალი თვითეულ ჩვენთაგანს აწევს კისერზე—ვსჭვრეტდეთ მომავალს და ბრძნულად, სალად გზას ვუკაფავდეთ ნაციონალური კეთილდღეობის აღორძინებას. მწარმოებლები და მუშები თანაბარ მონაწილეობას უნდა იღებდენ ამ საქმეში. მიუხედავად იმ სიძნელეებისა, რომელიც ჩვენს წინაშე კიდევ სდგას, მე ღრმად დარწმუნებული ვარ ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარებაში".

გაფიცვის შედეგები

ლონდონი, 25 მაისი. [illegible] ბი ხდება ინგლისის მრეწველობის მთელ რიგ დარგებში.

ლეიჩესტერშაირში ვაგონების საამშენებლო დიდი ქარხანა დაიხურა. სამხრეთ უელსში მუშაობა თითქმის შეწყვეტილია ფოლადის მრეწველობაში და თუნუქის ნაწარმოებთა ფაბრიკებში. ბოლტანში ნახშირის მრეწველობის სახელმწიფო კონტროლიორმა ნება დართო მიმდინარე კვირაში საფეიქრო ფაბრიკებში მუშაობა სრული დატვირთვით სწარმოებდეს, მაგრამ განაცხადა, რომ მომავალ კვირაში წარმოება საგრძნობლად შემცირებული იქნება.

კოოპერატიული კონგრესის თანაგრძნობა

ლონდონი, 25 მაისი. ჩრდილოეთ-ირლანდიის დედა-ქალაქში, ბელფასტში გაიხსნა კოოპერატიული კონგრესი, რომელსაც 2000 დელეგატი ესწრება.

კონგრესის სხდომებს ესწრებიან ფინეთის, გერმანიის, პოლონეთის, უკრაინის და აგრეთვე საბჭოთა კავშირის კოოპერაციის დელეგატები.

კონგრესის გახსნისას შემოტანილ იქნა საგანგებო რეზოლიუცია, რომელშიაც **კონგრესი თანაგრძნობას უცხადებს ინგლისელ გაფიცულ სამთომადნო მუშებს.** დელეგატების საგრძნობმა უმრავლესობამ ეს რეზოლიუცია ძალიან სუსტ და უსიცოცხლო რეზოლიუციად ჩასთვალა, ამიტომ რეზოლიუცია გადაეცა კომისიას, რომელსაც ევალება გააძლიეროს და უფრო პრაქტიკული და საქმიანი გახადოს ის.

ამ გადაწყვეტილებას მქუხარე ტაშით შეხვდენ.

სარგებლობენ გაფიცვით

ლონდონი, 23 მაისი. ზოგიერთ რაიონში მაღაროების მეპატრონეები სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით და აძვირებენ ნახშირს. გლაზგოს რაიონში **ლოკაუტის გამოცხადების დღიდან ერთი ტონა ნახშირი 22 შილინგით გაძვირდა.**

სარკინიგზო მოძრაობას ამცირებენ

ლონდონი, 25 მაისი. მთავრობა დაჟინებით მოითხოვს სასწრაფოდ იქნეს გატარებული სარკინიგზო მოძრაობის შემცირება, რათა რკინისგზებზე არსებული ნახშირის მარაგი სხვა მიზნებისათვის იქნეს გამოყენებული.

სამაგიეროს უხდიან

ლონდონი, 25 მაისი. ბირმინგამში კომუნისტ ტრეტრეს 3 თვის ციხე მიუსაჯეს, რადგან მან სიტყვა წარმოსთქვა [illegible] მების [illegible] ცვის დროს შეადგინეს.

მიდლსბოროში ორი თვის ციხე მიუსაჯეს ერთ დოკერს, რომელიც დაემუქრა შტრეიკბრეხერებს.

გაფიცულთა აყვანა მზრუნველობაზე

ლონდონი, 25 მაისი. ლონდონის სამხრეთ ნაწილის სამრეწველო რაიონში—ბერმანდსიში შემოღებულია ცალკე გაფიცულ რაიონების მზრუნველობაზე აყვანის სისტემა; მზრუნველობაზე აჰყავთ უმთავრესად უფრო გაჭირვებული რაიონები.

გაფიცულთა სასარგებლოდ

ლონდონი, 25 მაისი. სამრეწველო გაერთიანებათა მუშების ნაციონალურმა კავშირმა დაადგინა ათასი გირვანქა სტერლინგი შესწიროს ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციას და დაავალოს კავშირის ყოველ წევრს ყოველ კვირეულად თითო შილინგი შეიტანოს გაფიცულ სამთამადნო მუშების დახმარების ფონდში.

მაშინ, როცა ინგლისის **პროფკავშირთა აღმასკომი არავითარ ფულად დახმარებას არ უწევს სამთამადნო მუშებს, პროფკავშირების ადგილობრივი განყოფილებები მთელს სახელმწიფოში ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ პროფკავშირების საბჭოების და მუშათა პარტიის ორგანიზაციების საშუალებით, აგროვებენ შეწირულებებს სამთამადნო მუშების სასარგებლოდ.** ამ რიგად შეგროვილ ფონდებს ანაწილებენ მახლობელ სანახშირო რაიონებში.

დახმარება გაფიცულთა ცოლ-შვილთ

ლონდონი, 25 მაისი. მუშათა პარტიის წევრ მუშა ქალების მიერ მოწყობილია გაფიცულ სამთამადნო მუშების ცოლ-შვილთა დამხმარე კომიტეტი. ამ კომიტეტმა შეადგინა დახმარების ახალი გეგმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ იმ პირებმა, რომელნიც მუშათა პარტიას თანაუგრძნობენ, იკისრონ გაფიცულ მუშების ბავშვთა შენახვა ლოკაუტის მოხსნამდე.

მუშათა პარტიის წევრმა ცნობილმა მოღვაწე ქალმა ლედი **უორვიკმა** იკისრა ასი ბავშვის წაყვანა თავის მამულში.

ასეთივე წინადადებები მოდის ადგილებიდანაც.

რკინისგზელთა დეკლარაცია

მოსკოვი, 25 მაისი. საბჭოთა კავშირში 6 კვირის განმავლობაში ყოფნის შემდეგ ინგლისის რკინისგზელებმა რკინისგზელების ცეკას დაუტოვეს დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნა[illegible] „ყოველ [illegible] დებით, რომ საბჭოთა კავშირის ერების ცხოვრება ძმურ თანამშრომლობაში მიმდინარეობს.

დელეგაცია სავსებით კმაყოფილია ყოველივე იმით, რაც კეთდება საბჭოთა კავშირში გლეხებისა და მუშების ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღსადგენათ. დელეგაცია დარწმუნდა, რომ მშრომელი ხალხი სავსებით ადასტურებს და მხარს უჭერს საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებს.

სამთა-მადნო მუშების ფედერაციის მოწოდება

ლონდონი, 24 მაისი. ინგლისის სამთა-მადნო მუშების ფედერაციამ გამოაქვეყნა **სმიტის** და **კუკის** მიერ ხელმოწერილი მოწოდება ინგლისის შეკავშირებულ მუშებისა და ყველა ქვეყნის მშრომელებისადმი.

მოწოდებაში ნათქვამია:

„ინგლისის სამთა-მადნო მუშების სადელეგატო კონფერენცია აცნობებს მრეწველობის ყველა დარგის მუშებს, რომ ინგლისის სამთა-მადნო მუშებს წარუდგინეს მოთხოვნილება, რომლის თანხმად სამუშაო ხელფასი დაუყოვნებლივ 10 პროცენტით შემცირებული უნდა იქნეს, რასაც შემდეგშიაც მოჰყვება შემდეგი შემცირება, აგრეთვე უნდა დაწესდეს სავალდებულო არბიტრაჟი შრომის პირობების მოსაწესრიგებლად.

სამთამადნო მუშებმა, რომელთაც წარმოდგენილი აქვთ, რომ ბრძოლის გაგრძობა მრავალ ათას ინგლისელს საშინელ გაჭირვებაში ჩააგდებს, მაინც უარჰყვეს ეს მოთხოვნილება, რომლის მიღება მათი არსებობის ისედაც მძიმე პირობებს კიდევ უფრო გააუარესებს.

ამ წინადადებათა უარყოფით სამთამადნო მუშები მავე დროს ყველა მუშების ინტერესებს იცავენ.

ინგლისის მუშებმა ბრწყინვალედ დაამტკიცეს თავისი სოლიდარობა.

მრავალ სხვა ქვეყნის მუშებიც გვიწევენ დახმარებას, ხელს უშლიან ქვანახშირის გამოგზავნას ინგლისში და გვზავნიან დასახმარებლად ფულს.

მივმართავთ ინგლისის მუშებს და მთელი მსოფლიოს პროლეტარიებს თხოვნით განაგრძონ დახმარების აღმოჩენა.

გთხოვთ აგრეთვე გაადიდოთ მატერიალური დახმარება.

ყოველი ტონა ნახშირი, გამოგზავნილი [illegible] ნავთსადგურების მუშების შემწეობით, გადმოტვირთული ინგლისის ტრანსპორტის მუშებისა და გადმოზიდული ინგლისელ რკინისგზელების მიერ, მაღაროს მუშის ბავშვებს ლუკმა პურს წაართმევს.

ყოველი შილინგი, რომელსაც მუშები შეაგროვებენ ჩვენს სასარგებლოდ, საშუალებას მოგვცემს გადავდგათ ნაბიჯი წინ არსებობის ადამიანურ პირობების მოსაპოვებლად.

პილსუდსკის რეფორმები

ვარშავა, 25 მაისი. პოლონეთის პრემიერმა ბარტელმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მთავრობა ადგენს პროექტს, რომლის თანახმად პოლონეთის პრეზიდენტს გარდამავალ პერიოდში ენიჭება განსაკუთრებული უფლებები, რომელიც საშუალებას აძლევს მას ზომები მიიღოს სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციისა და გაჯანსაღების მიზნით. ერთ-ერთ ასეთ ზომას ახალი საარჩევნო კანონის შემოღება წარმოაგენს.

შემდეგ ბარტელმა აღნიშნა, რომ მთავრობა იძულებულია ანგარიში გაუწიოს შემდეგ გარემოებას: საზოგადოებრივ აზრს **საჭიროდ მიაჩნია პრეზიდენტისათვის საკანონმდებლო პალატების დათხოვნის უფლების მინიჭება**, საზოგადოებრივი აზრი აგრეთვე დაჟინებით მოითხოვს ეხლანდელ სეიმის და სენატის დათხოვნას. პოლონეთის კანონებში საჭირო ცვლილებების შეტანა მოგვეიხდება მარტივი საშუალებით, სახელდობრ, პრეზიდენტისათვის განსაკუთრებულ უფლებების მინიჭების შემწეობით, ვინაიდან მათი გატარება საკანონმდებლო გზით თითქმის შეუძლებელია.

პეტლიურას მოკვლა

პარიზი, 25 მაისი. ქუჩაში მიმავალ პეტლიურას მიუახლოვდა უკრაინელი, განუცხადა, რომ იგი შურს იძიებს პეტლიურას მიერ უკრაინაში დახოცილ მრავალ რუს და ებრაელ მოქალაქის მაგიერ და რევოლვერი ესროლა. პეტლიურა მოკლულია.

პეტლიურას მკვლელი

ლონდონი, 26 მაისი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ პეტლიურას მოკვლა მოხდა ლათინთა უბნის ცენტრში. პეტლიურა გარდაიცვალა, სანამ მას საავადმყოფოში მიიყვანდენ.

თავდამსხმელი ეროვნებით რუსია, მას საათის სახელოსნო აქვს პარიზში. ის დამორჩილდა ხელისუფლების წარმომადგენელს და განაცხადა, რომ მან პეტლიურა იმიტომ მოკლა, რომ უკანასკნელმა უკრაინის რესპუბლიკის აღდგენის ცდის დროს ბრძანება გასცა მთელ რიგ ებრაელების ამოჟლეტის შესახებ.

◆

აბდ-ელ-ქერიმის წინააღმდეგ

პარიზი, 25 მაისი. ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ მინისტრთა საბჭომ განიხილა აბდ-ელ-ქერიმის წერილი, რომელიც მან გაუგზავნა საფრანგეთის კომისარს მაროკოში — სტემს, და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აბდ-ელ-ქერიმის წერილი ყოველგვარ გარკვეულ ხასიათს, ავტორიტეტსა და გარანტიას მოკლებულია.

ამიტომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა განაგრძოს მაროკოში დაწყებული ოპერაციები.

ბრიანმა კაბინეტის სხდომის დამთავრების შემდეგ განაცხადა, რომ აბდ-ელ-ქერიმთან საჭიროც აღარ არის მოლაპარაკება, რადგან ის ამიერიდან უკვე არავის არ წარმოადგენს და მხოლოდ დროს მოგება სურს იმისათვის, რომ ზოგიერთ პუნქტში გამაგრდეს.

◆

პოლონეთი და გერმანია

ლონდონი, 26 მაისი. საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლომ ჰააგაში გამოაქვეყნა განაჩენი გერმანია-პოლონეთის კონფლიქტის შესახებ. გადაწყვეტილება შეეხება სარჩელს, რომელიც ზემო-სილეზიაში მცხოვრებ გერმანელებმა წარუდგინეს პოლონეთის მთავრობას მათი კერძო საკუთრების კონფერენციის გამო.

გადაწყვეტილება უფრო გერმანელებს აკმაყოფილებს.

ემიგრანტების გაზეთებიდან

პროკოპოვიჩი, კერენსკი და კრედიტის საკითხი

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ არის ერთი ასეთი ეკონომისტი, პროკოპოვიჩი. ის ემიგრანტია. ცხოვრობს მუდამ ქ. პრაღაში. ვინაიდან მას ემიგრაციაში დრო (და სახსარიც) ხელს უწყობს, ის კითხულობს მრავალტანიან ტომებს, აგროვებს მასალებს, სწერს წიგნებს და ამას გარდა დრო-გამოშვებით გამოდის ხოლმე მოხსენებებითაც თავის პოლიტიკურ მეგობრების ვიწრო წრეში.

აგერ წინაზე ეწვია ის პარიზს. მიიარ-მოიარა დიდი ქალაქი, შემდეგ შეუხვია „დნი"-ს რედაქციაში და ერთი ასეთი მოხსენება წაიკითხა ამ გაზეთის თანამშრომლებისა და „საზოგადო მოღვაწეების" თანადასწრებით. მოხსენების თემა იყო: „უცხოეთის კრედიტები საბჭოთა რუსეთისათვის". როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, მოხსენებას მოჰყვა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვათა შორის კერენსკიმ (ანგარიში ამ მოხსენებისა და კამათის შესახებ მოყვანილია ზემოხსენებულ გაზეთში). მან თავისი სიტყვა დაიწყო ასე: „ყოველისფერი, რასაც ჩვენ ვლაპარაკობთ აქ, უცხოეთში, რუსული აუდიტორიის წინაშე, დამალული და გაუმჟღავნებელი არ დარჩება უცხოელებისათვის. ასე რომ ტყუილად „გვანუგეშებს" მომხსენებელი, რომ ის ლაპარაკობს მხოლოდ რუს მსმენელებისათვის"-ო. („лишь перед русской публикой").

მე განზრახ მოვიყვანე თავიდანვე კერენსკის ეს სიტყვები სანამ თვით პროკოპოვიჩის მოხსენებაზე ვიტყოდი რამეს. მოვიყვანე იმიტომ, რომ ის ძალიან დამახასიათებელია და იმის მაჩვენებელი, თუ რა უბადრუკობისა და პოლიტიკურ-ზნეობრივი გახრწნის წუმპეში არიან ჩაძირული მისი ავტორის ყაიდის „საზოგადო მოღვაწეები" კონტრ-რევოლიუციონური ემიგრაციიდან.

ამ უკანასკნელ ხანებში კერენსკი გრძელ-გრძელ წერილებს აქვეყნებს რადიკალ-სოციალისტების გაზ. „კოტიდიენ"-ში. ამ წერილების მიზანია დაამტკიცოს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს, რომ რუსეთში ბოლშევიკებმა ყოველისფერი დალუპეს. მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის შორის მოლაპარაკება სწარმოებს პარიზში, ის მიმართავს ფრანგებს და ეუბნება მათ: არ დაუჯეროთ ბოლშევიკებს, არ მისცეთ სესხი საბჭოებს, ისინი მოგატყუებენო.

ბუნებრივია კერენსკის ეშინია საზღვარგარედ სიმართლე გაიგონ და როდესაც პროკოპოვიჩი ამ სიმართლის ერთი პატარა ნაწილი გამოიტანა „რუს მსმენელების" წინაშე, სიმართლის მოყვარული კერენსკი შეკრთა, ვაი თუ ეს ამბავი გაიგონ უცხოელებმაცო. მარა რაღა დროის არის. ეს სიმართლე გაიგეს, კიდევ მეტს გაიგებენ. მაგრამ საინტერესოა როდესაც ამ სიმართლეს, თუ გინდა ნაწილობრივ, თვითი ემიგრანტი აღიარებს, როგორც ეს მოუვიდა პროკოპოვიჩს.

რა სთქვა მან? ისეთი არაფერი, რაც ჩვენში პიონერებმაც არ იციან.

„კრედიტების საკითხს—ასე გადმოგვცემს გაზ. „დნი"—მომხსენებელი არჩევს დაკავშირებით უფრო საერთო საკითხთან იმის შესახებ, ეცემა სახალხო მეურნეობა, თუ ვითარდება ის. ამის გამოსარკვევად—ამბობს ის—დამახასიათებელი მაჩვენებელია რკინისგზების მუშაობა და ბიუჯეტის მდგომარეობა. მოჰყავს რა ცნობები ტვირთის ტრიალის შესახებ, ს. ნ. პროკოპოვიჩი ხედავს ამ ტვირთის ტრიალის ზრდაში სახალხო მეურნეობის განვითარებას. რაც შეეხება ბიუჯეტს, მომხსენებლის აზრით, ამ მხრით შეუწყვეტელ გაუმჯობესებას აქვს ადგილი, რაც იმაში გამოიხატება, რომ 1924—25 წლის ბიუჯეტს თითქმის არ ჰქონია საემისიო შემოსავალი" (ხაზგასმულია თვით გაზეთში [illegible]).

რა არის აქ მართალი? ვისთვის—თუ გინდ იმავე კერენსკისთვის—შეადგენს საიდუმლოებას ის, რომ საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობა შეუწყვეტლივ ვითარდება, რომ ბიუჯეტი ჯანსაღდება და სხვ. და სხვ.? ეს ცხადია. მაგრამ ამას ლაპარაკობს არა ბოლშევიკი, არა ჩვეულებრივი საბჭოთა მოქალაქე, ან და ვინმე თვალებახელილი უცხოელი, არამედ ემიგრანტი, მტერი საბჭოების და კერენსკის მეგობარი. ეს გვარიანი „ღვთის წყალობაა". როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, თუმცა ახლა მტრებსაც საკმაოდ ხშირად წამოსცდებათ ხოლმე ეს, მათთვის საუბედუროდ, „ამბავი".

რაც შეეხება კრედიტებს, პროკოპოვიჩის აზრით უცხოეთის კრედიტი უეჭველად საჭიროა სახალხო მეურნეობის გასანაყოფიერებლად. მაგრამ იბადება ერთი წყეული კითხვა. მოვუსმინოთ მომხსენებელს:

„მაგრამ ამ საკითხში—ამბობს ის—არის უარყოფითი მხარეებიც. კრედიტი ხომ საჭიროა არა მარტო ხალხისათვის, არამედ მთავრობისათვისაც მისი საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად. ამით კი შეიძლება განმტკიცდეს ამ მთავრობის მდგომარეობა... ამიტომ, როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია კრედიტების საკითხში? შეგვიძლია თუ არა გავილაშქროთ ჩვენ კრედიტების წინააღმდეგ იმიტომ, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება ბოროტებას სჩადის. მე ვფიქრობ, რომ კაცი, რომელიც ასეთ პოზიციას დაიკავებს, არ იქნება გაგებული რუსეთში და თუ გაუგებენ რამეს, მას გამოაცხადებენ ხალხის მტრად".

ამნაირად პროკოპოვიჩი არ არის წინააღმდეგი, რომ სესხი მისცეს საბჭოთა მთავრობას. მაგრამ საჭიროა, რომ ეს კრედიტი გამოყენებული იქნეს მიზანშეწონილად. ასეთი აზრი კი კერენსკის ვერ მოუნელებია. ვერც მოინელებს. სანამ თვით მას და საზოგადოთ მის მსგავსებს, მთელ კონტრ-რევოლიუციონურ ემიგრაციას, დრო და ჟამი საბოლოოთ არ „მოინელებს"...

◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელ. 10-49

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდება „კომუნისტი"-ს ხელის მომწერლებს
ჟურნალი „დროშა"

უკანასკნელი ცნობები

ამხ. კუკის ავადმყოფობა.

ლონდონი, 26 მაისი. გულის წასვლის შემდეგ კუკს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება, რის შემდეგ მისი მდგომარეობა თვალსაჩინოთ გაუმჯობესდა. მას იმედი აქვს, რომ დღესვე გაემგზავრება ლონდონში.

დუმერგის განცხადება

პარიზი, 26 მაისი. დუმერგმა შემდეგი განაცხადა სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხების შესახებ, რომლებიც ძლიერ აღელვებს საზოგადოებას.

გაიხსენა რა საფრანგეთის ღონისძიებები მშვიდობიანობის დასამყარებლად, მან ხთქვა: **„ჩვენ ვიცით და აგრეთვე საზღვარგარეთაც ბევრმა იცის, რომ მშვიდობიანობა არ იქნება მტკიცე, თუ საშიშროებისაგან არ ვიქნებით უზრუნველყოფილი. უზრუნველსაყოფათ კი აუცილებელია, რომ საფრანგეთი ძლიერი იქნეს და არას გზით არ დაუშვათ მისი შესუსტება".**

ფრანკის კურსის დაცემის შესახებ მან სთქვა: **„თუ ჩვენი უკიდურესი ღონისძიებები ბიუჯეტის წონასწორობის შესაქმნელად უნაყოფო შეიქნა, ყოველ შემთხვევაში არა მარტო ჩვენ დაგვატყდება მისი საშიში შედეგები. მთელ საერთაშორისო ეკონომიკას დაატყდება დიდი რისხვა და მრავალი წლობით თვალსაჩინოთ შემცირდება საქმეების საერთო რიცხვი".**

ირაქის პრემიერი ანგორაში

ანგორა, 26 მაისი. გაზეთ „აქშამის" ცნობით ანგორაში მიდის ირაქის პრემიერი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ინგლის-ოსმალეთის მოლაპარაკებაში მოსულის საკითხის შესახებ.

სირიის მთავრობის პროგრამა

პარიზი, 26 მაისი. სირიის მთავრობამ რომელიც იძულებულია ანგორაში გაუწიოს ნაციონალურ მოძრაობის ზრდას, მოქმედების შემდეგი პროგრამა მიიღო: დამფუძნებელი კრების მოწვევა სირიის კონსტიტუციის შესამუშავებლად, სირიაზე საფრანგეთის მანდატის შეცვლა საფრანგეთ - სირიის ხელშეკრულობით 30 წლით. გარდა ამისა დამფუძნებელმა კრებამ უნდა მოახდინოს მთელი რიგი ადმინისტრატიულ, ფინანსიურ და პოლიტიკურ რეფორმისა, შექმნას არმია, გამოაცხადოს პოლიტიკური ამნისტია და სხ.

საბჭოთა დელეგაცია გიუში

პარიზი, 26 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა დელეგაციის წევრები: სემაშკო და რუბაკინი ჰიგიენის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც პარიზში უნდა შესდგეს, ჩავიდნენ გიუში და დაათვალიერეს ადგილობრივ საავადმყოფო.

პილსუდსკის განცხადება

ვარშავა, 26 მაისი. ჟურნალისტებთან საუბარში პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მე არ მინდა პირდაპირი პასუხი გავსცე ჩემი კანდიდატურის წამოყენების შესახებ პრეზიდენტობაზე, რადგა პრეზიდენტის პოსტზე რამდენიმე კანდიდატი უნდა იქნეს წამოყენებული.

პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მე ველი ამ კანდიდატების გვარების გამოცხადებასო. შემდეგ შევკრებ მათ და შევეცდები დავითანხმო ისინი მიიღონ დეკლარაცია, რომ [illegible] და კონცერნებს.

საფრანგეთი და მაროკო

პარიზი, 26 მაისი. საფრანგეთის ბურჟუაზიის დამოკიდებულებას მაროკოს ამბებისადმი ყველაზე უფრო ახასიათებს მემარცხენე ბლოკის ორგანოს „ევრის" სიტყვები, რომელიც აცხადებს, რომ „რიფების სახელმწიფო და რიფებისნაცია, რომელზედაც ასე ბევრს ლაპარაკობდენ, უკვე აღარ არსებობს. კონფერენცია უჯდაში მეტი აღარ განმეორდება. აბდ-ელ-ქერიმი საფრანგეთის კეთილშობილებას მიმართავს, ის გამოიჩენს ამ კეთილშობილებას, მაგრამ ჯერ მან გაანთავისუფლოს ტყვეები და დასტოვოს რიფების საზღვრები.

პალატის სესიის განცხადება

პარიზი, 26 მაისი. ხვალ განახლდება პალატის სესია. მთავრობა მოითხოვს მაროკოსა და სირიის შესახებ შეკითხვების გადადებას ამ ქვეყნებში მდგომარეობის გაუმჯობესების გამო.

პერე მოითხოვს ფრანკის დაცემისა და ფინანსიური ხელშეკრულების შესახებ შეკითხვის გადადებას, სანამ თავის აზრს არ გამოსთქვამენ ფინანსიური და გარეშე საქმეთა კომისიები.

დიუხანი შეიტანს წინადადებას საარჩევნო რეფორმის შესახებ და დასვამს ნდობის საკითხს.

შეტაკება

პარიზი, 26 მაისი. ბერლინში მოხდა შეტაკება კომუნისტებსა და მემარჯვენე ფრონტოვიკებს შორის.

ბიბლიოთეკების გამგეთა თათბირი

ფოთი, 26 მაისი. შესდგა ფოთის ბიბლიოთეკების გამგეთა თათბირი. გადაწყდა ასეთი თათბირი მოეწყოს თვეში ერთხელ.

სახლი რკინისგზელთათვის

ფოთი, 26 მაისი. შეუდგნენ ფოთის რკინის გზის სადგურის მოსამსახურეთათვის დიდი სახლის აგებას.

გლეხკომების გადარჩევა

ოზურგეთი, 26 მაისი. ცენტრის განკარგულების თანახმად მთელ გურიაში გლეხკომების გადარჩევა დაიწყება 1 ივნისიდან.

ლოიდ-ჯორჯისა და ასკვიტის მიწერ-მოწერა

ლონდონი, 25 მაისი. ინგლისის პოლიტიკურ წრეებში დიდი სენსაცია გამოიწვია ლიბერალების ერთ-ერთ ბელადის ასკვიტის წერილმა თემთა პალატის ლიბერალური ფრაქციის ბელადის ლოიდ-ჯორჯისადმი.

ამ წერილში ასკვიტი მწუხარებას აღნიშნავს, რომ ლოიდ-ჯორჯმა სრულიად არადამაკმაყოფილებელი ახსნა - განმარტება წარმოადგინა ლიბერალური პარტიის ბელადების კრებაზე გამოუცხადებლობის გამო 10 მაისს.

ასკვიტი აღნიშნავს, რომ უმთავრესი მოტივი, რომლითაც ხსნის ლოიდ-ჯორჯი თავის კრებაზე გამოუცხადებლობას, მდგომარეობს იმაში, რომ მას არ შეუძლია შეუერთდეს იმ განცხადებას, რომელიც კიცხავს საერთო გაფიცვას და ამავე დროს თავს იკავებს მთავრობის გაკიცხვისგან, რომელიც პასუხისმგებელი იყო შექმნილ მდგომარეობისთვის.

„საერთო გაფიცვის დროს—სწერს ასკვიტი—როდესაც კრიტიკული მომენტი დადგა, ლიბერალური პარტიის პოლიტიკისთვის ყველა პასუხისმგებელი პირების მოვალეობას შეადგენდა, და მათ შორის ლოიდ-ჯორჯისაც, რასაკვირველია, შეკრებილიყვნენ და ყოველმხრივ განეხილათ შექმნილი მდგომარეობა".

შემდეგ ასკვიტი კიცხავს ამერიკის გაზეთებში გამოქვეყნებულ ლოიდ-ჯორჯის წერილს, რომელშიაც ლოიდ-ჯორჯი ინგლისში შექმნილ მდგომარეობას ძლიერ უიმედოთ უყურებს და ამბობს, რომ საერთო გაფიცვა დიდხანს გასტანს. ასეთ ცუდ მდგომარეობას უხატავს გარეშე ქვეყნების ყოფილი პრემიერი და პარლამენტის ლიბერალური ფრაქციის დღევანდელი თავმჯდომარე".

თავის პასუხში ლოიდ-ჯორჯი იცავს თავის პოზიციას საერთო გაფიცვის დროს, და აცხადებს, რომ მას არ შეეძლო 10 მაისს ლიბერალური პარტიის ბელადების კრებაზე დასწრება, რადგან ასკვიტის და სხვა ბელადების მიერ წარმოთქმული სიტყვები, ლიბერალური პარტიისი პოლიტიკიდან გადახვევას ნიშნავდა. ლოიდ-ჯორჯი აცხადებს, რომ მისი სტატია ამერიკულ გაზეთებში არაა სწორად გაგებული. ამასთანავე ლოიდ-ჯორჯი აცხადებს, რომ შეცდომა დაუშვა მდგომარეობის შეფასებაში.

ფრანგ სოციალისტების ყრილობა

პარიზი, 25 მაისი. მემარცხენე ბლოკის პოლიტიკის ჩაშლის და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის მუშურ ნაწილში ერთიან პროლეტარულ ფრონტისადმი მისწრაფების გაძლიერების გამო, პარტიის ყრილობა კლერმან—ფორონში ერთგვარი გამემარცხენების ნიშნის ქვეშ ტარდება.

ეხლა დავა სწარმოებს არა ბურჟუაზიულ მთავრობაში სოციალისტების მონაწილეობის საკითხის, არამედ იმის გარშემო — დაუჭირონ მხარი ბურჟუაზიულ დემოკრატიას, თუ ბლოკი შეკრან კომუნისტებთან.

კამპერ მორელი აღნიშნავს, რომ სოციალისტების წინაშე სდგას ასეთი დილემა: მიიღონ მონაწილეობა ნაციონალური გაერთიანების მთავრობაში, თუ შექმნან პროლეტარული ფრონტი; **მისი აზრით, საჭიროა სოციალისტების და კომუნისტების გაერთიანება.**

სოციალისტური რევოლიუციონური მოქმედების კომიტეტის სახელით გამოსული ორატორები მოითხოვდენ კონტაქტის დამყარებას კომპარტიასთან. მიუხედავათ ამისა, ერთიანი ფრონტის მოწინააღმდეგეებს უმრავლესობა უჭერს მხარს ყრილობაზე.

◆

პოლიტიკური კრიზისი ეგვიპტეში

ლონდონი, 25 მაისი. ეგვიპტის ახალი პარლამენტის მუშაობა ივნისის შუა რიცხვებში უნდა დაიწყოს.

აქამდი გამოურკვეველია, გადადგება თუ არ ეგვიპტის ეხლანდელი პრემიერი ზივარ-ფაშა. იმ შემთხვევაში, თუ ეხლანდელი მთავრობა დარჩა ხელისუფლების სათავეში და პარლამენტის გახსნისას მეფემ თავის სიტყვაში ზივარ-ფაშას პოლიტიკა მოიწონა, შესაძლოა პოლიტიკური კრიზისი კვლავ გაგრძელდეს, უკანასკნელ შემთხვევაში პარლამენტის დათხოვნაც არის მოსალოდნელი.

ინგლისელი კონსერვატორების აღშფოთება

ლონდონი, 25 მაისი. ინგლისის კონსერვატიული პრესა აალაპარაკა იმ პარტიის გამარჯვებამ, რომელსაც ზაგლულ-ფაშა მეთაურობს (ამ პარტიას ეწოდება „ვაფდ" და წარმოადგენს ეგვიპტეში ყველაზე უფრო გავლენიან ნაციონალურ პარტიას, რომელიც ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავს).

„ტაიმს" ფიქრობს, რომ ზაგლულ-ფაშასაგან აუცილებლად უნდა მივიღოთ იმის გარანტია, რომ თუ ის ხელისუფლების სათავეში დაბრუნდა, არ წარმოადგენს ისეთ „უაზრო" პრეტენზიებს, რომელიც მან 1924 წელს მაკდონალდის მთავრობას წარუდგინა. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ 1927 წელს ვადა გაუდის კონტრაქტებს ინგლისელ მოხელეებისას, რომელნიც ეგვიპტის მთავრობას ემსახურებიან.

ამის გამო გაზეთი შიშს გამოსთქვამს, პარტია „ვაფდ"-ის მთავრობამ შეიძლება უარი სთქვას ამ კონტრაქტების განახლებაზე და მოხელეები სხვა ქვეყნებიდან დანიშნოს.

რეაქციონური **„მორნინგ პოსტ"** და კონსერვატიული **„დეილი ექსპრეს"** საერთოდ ძალიან თავდაჭერილად ლაპარაკობენ, მაგრამ აფრთხილებენ ზაგლულ-ფაშას არ სცადოს მან ინგლისის მდგომარეობის შერყევა სუდანში.

კონსერვატიული **„დეილი მეილ"** ფიქრობს, რომ ინგლისის მთავრობამ უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ზაგლულ-ფაშას გამარჯვებას. გაზეთი მუქარით აცხადებს, რომ ინგლისის ძლიერი მთავრობა არ მოითხოვს ინტრიგების გაღვივებას ეგვიპტეში.

◆

კანტონი და უ-პეი-ფუ

პეკინი, 25 მაისი. კანტონის მთავრობა ემზადება გაუგზავნოს დამხმარე ჯარი ხუ-ნან-ტანის გუბერნატორს — შენ-ჩის, რომელიც უ-პეი-ფუს წინააღმდეგ აჯანყდა.

ჩინეთის სააგენტოების ცნობით, რეაქციონერი გენერალი ჩენ-ძუ-მანი, რომელიც კანტონის ჯარებმა დაამარცხეს 1925 წ., სცდილობს ხელშეკრულება დასდოს უ-პეი-ფუსთან კანტონის წინააღმდეგ საბრძოლველად.

◆

რადიჩს მოკვლას უპირებდნენ

ვენა, 25 მაისი. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, სტეფანე რადიჩზე, რომელიც ხორვატიის გლეხთა პარტიის ყრილობაზე გამოვიდა ტრაპასოვში, თავდასხმა მზადდებოდა.

შეპყრობილმა, რომელიც ემზადებოდა რადიჩისათვის ყუმბარის სასროლად, განაცხადა, რომ პოლიტიკურ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა.

◆

სავაჭრო კონფერენცია

ლონდონი, 26 მაისი. დღეს პარლამენტის შენობაში გაიხსნა საერთაშორისო საპარლამენტო სავაჭრო კონფერენცია.

◆

ყალბი ფულის მკეთებელთა საქმე

ლონდონი, 26 მაისი. ბუდაპესტიდან მიღებული ცნობით, ყალბი ფულის მკეთებელთა პროცესი დასრულდა. სასამართლოს განაჩენი ხვალ იქნება გამოცხადებული.

სკანდინავიის მშრომელი ახალგაზრდობის დელეგაცია

სტოკჰოლმი, 25 მაისი. სტოკჰოლმიდან საბჭოთა კავშირში მოემგზავრება სკანდინავიის მშრომელ ახალგაზრდობის დელეგაცია, რომელშიაც შედიან შვედები, ნორვეგიელები და დანიელები, სულ 7 კაცი.

დელეგაცია საბჭოთა კავშირში მოიპატიჟა საკავშირო კომკავშირის ცეკამ. შვეციის, ნორვეგიის და დანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადებმა სასტიკი კამპანია ჩაატარეს დელეგაციის გამგზავრების წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დელეგატების არჩევა ყველგან დიდი წარმატებით ჩატარდა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

პროფ. დონერის ჩამოსვლა

მოსკოვი, 25 მაისი. 25 მაისს ნოვოჩერკასკში ჩამოვიდა ამერიკელი საზოგადოების მოღვაწე პროფ. დონერი, რომელიც დედამიწის ირგვლივ შემოვლას აპირებს.

დონერი შეერთებულ შტატებისა და ს. ს. რ. კ-ის დაახლოების მომხრეა, სენატორ ბორას მეგობარი. საბჭოთა კავშირში ის დარჩება 2 თვეს.

ამინდი

მოსკოვი, 25 მაისი. საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ცენტრის ჩრდილო აღმოსავლეთის და ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ტემპერატურა ეცემა.

უკრაინა

ემიგრანტების ჩამოსვლა

ოდესა, 25 მაისი. **საფრანგეთიდან ოდესაში ჩამოვიდა მუშა-ემიგრანტების პირველი ჯგუფი და მეზღვაურების მეორე ჯგუფი.** ჩამოსული მუშა-ემიგრანტები საფრანგეთში ეკუთვნოდენ „სამშობლოში დაბრუნების კავშირს".

ემიგრანტები ამბობდენ, რომ **რუს თეთრგვარდიელებს შორის საფრანგეთში სამშობლოში დაბრუნების დიდი სურვილი ემჩნევათ.** „სამშობლოში დაბრუნების კავშირს" ამ ჟამად ჰყავს 3000 წევრი და თავის მუშაობას ანვითარებს საფრანგეთის ყველა ქალაქებში. ამ ახლო ხანში პარიზში მოეწყო საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ რუს მუშათა კავშირი. ეს კავშირი „სამშობლოში დაბრუნების" კავშირთან ერთად მალე დაამთავრებს ჰაეროპლან „ვოზვრაშჩენიეს" აშენებას, რომელიც წითელ ჯარს მიეძღვნება.

მუშათა სოლიდარობა

დახმარება ნორვეგიის მუშებს

მოსკოვი, 25 მაისი. კომუნალურ მუშაკთა პლენუმმა, რომლის სხდომები მოსკოვში სწარმოებს, 1.000 დოლარი გადასდო ლოკაუტისაგან დაზარალებულ ნორვეგიელ მუშათა დასახმარებლად.

ავსტრიის და საბჭოთა კავშირის კომუნალურ მუშაკთა შეხვედრა

მოსკოვი, 25 მაისი. ავსტრიის კომუნალურ მუშაკთა კავშირმა წინადადება მისცა კომუნალურ მუშაკთა ცეკას, რომ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში მოხდეს შეხვედრა მეგობრულ დამოკიდებულების დასამყარებლად.

კომუნალურ მუშაკთა ცეკას პლენუმმა თანხმობა განაცხადა და ამასთან ერთად წინადადება მისცა ავსტრიის კომუნალურ მუშაკებს დელეგაცია გამოგზავნონ საბჭოთა კავშირში კომუნალურ მეურნეობისა და კომ. მუშაკთა ცხოვრების გასაცნობად.

საზოგადო სამუშაოები

მოსკოვი, 25 მაისი. ს. ს. რ. კ-ის შრომის კომისარიატის ცნობების მიხედვით დაწყებულია საზოგადოებრივი მუშაობა მთელ საბჭოთა კავშირის [illegible] რომელნიც მძიმე მდგომარეობაში არიან უმუშევრობის გამო. რ. ს. ფ. ს. რ-ში, ამ.-კავკ. ს. ს. ფ. კავშირში და უკრაინაში მუშაობა სწარმოებს აგრეთვე სოფლად იმ მიზნით, რომ შეჩერებულ იქნას სოფლის მცხოვრებთა ჩამოსვლა ქალაქებში და ქალაქის უმუშევართა რიცხვის გადიდება; მთელი სეზონის განმავლობაში სამუშაოს მიიღებს 70.000-მდე გლეხი.

საზოგადოებრივ მუშაობისათვის თანხების გაღებაზე მომჭირნეობის რეჟიმმა არ იმოქმედა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

როგორ უნდა ჩატარდეს მომჭირნეობა ტრესტებში

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამომუშავებულია ინსტრუქცია ს. მ. უ. საბჭოს ქვემდებარე ტრესტების მომჭირნეობის კამპანიის ჩასატარებლად. ამ ჟამად ყოველ დღიურად ტრესტებში იმართება კრებები, რომელზედაც განსახილველად წარდგენილია წარმოებათა რაციონალიზაციის საკითხები და წლიური ხარჯთაღრიცხვის გადასინჯვა. გამომუშავებულია აგრეთვე ტრესტების საწარმოო წლიური პროგრამების გადასინჯვის გეგმები და სიები. წარმოებებში მომჭირნეობის ჩასატარებლად ხდება კომერციული აპარატების გამოკვლევა, წარმოებათა თანხების ბრუნვის სისწრაფის შემოწმება და დანართი ხარჯების დაუყოვნებლივ შემცირება.

ჯერჯერობით გამოკვლეულ იქნა თამბაქოს ტრესტი, ზეთის სახელი ტრესტი და პოლიგრაფიული წარმოება. ზემოხსენებულ წარმოებებში მომჭირნეობის რეჟიმის ჩასატარებლად წარმოებული კამპანიის შედეგები მოკლე ხანში იქნება გამოქვეყნებული. წარმოებებთან მოწყობილ თათბირებში მონაწილეობენ პროფესიონალური, პარტიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. **მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების დროს მთავარი ყურადღება ექცევა არა იმდენად მუშა-მოსამსახურეთა შტატის შემცირებას წარმოებებში, რამდენად წარმოებათა შესწავლას და რაციონალიზაციას საკრედიტო ასიგნობათა და დასახარჯი თანხების შემოწმებას** და იმ საკითხის გამორკვევას, თუ რა საშუალება უნდა იქნეს გამონახული ხარჯების შემცირების შემდეგ. ნაყოფიერება კი არ დაეცეს, არამედ გაიზარდოს.

ვ. ბ.

რა იწვევს ზედმეტ ხარჯებს სტამბებში

(თათბირი პოლიგრაფტრესტში)

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელმა კომისიამ პოლიგრაფიულ წარმოებათა ტრესტში მოაწყო თათბირი ზედნადები ხარჯების შემცირების მიზნით გარკვეულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ყველა სტამბების წარმომადგენლებმა, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა, საწარმოო თათბირის ბიუროს წევრებმა და სხვებმა. ამხ. **ჯანაშიამ** თათბირს გააცნო მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ ცენტრალურ კომისიის მიერ დამუშავებული ინსტრუქცია.

შემდეგ მოხსენებები გააკეთეს წარმოებებთან ახლო მდგომ ამხანაგებმა. რომელთა ცნობებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ სტამბებში ადგილი აქვს სამუშაო დროის გაცდენას; დიდ ტვირთად აწევება აგრეთვე წარმოებებს სტამბების შენობების ქირა, რომელიც 26.000 მანეთს აღწევს. ბინის ქირის ტარიფი სწორად არ არის ყველგან გამოანგარიშებული. და წარმოებას უხდება ნორმალურ ქირაზე მეტის გადახდა. მაგალითად ერთი სტამბის შენობის ქირად ტრესტი იხდის 700 მანეთს, ხოლო მეორე სტამბის ისეთივე ზომის შენობის ქირად კი 1.200 მანეთს.

ხარჯებს ზრდის აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ზოგიერთ სტამბებში უქმად არის მუშა-ხელი მომავალი შეკვეთების მოლოდინში. ამავე დროს ზოგ წარმოებებში ჯერ კიდევ გაუქმებული არ არის ზედმეტი სამუშაოები. ზოგი ამხანაგები საჭიროდ სცნობდენ ფაქტორის შემცირებას, რადგან მისი საქმე ადვილად შეიძლება დაეკისროს თვით სტამბის გამგეს.

დასასრულ თათბირმა წინადადება მისცა ტრესტის გამგეობას სასწრაფოდ შეადგინოს სპეციალური კომისია, კონკრეტიულ ღონისძიებათა დასამუშავებლად და ზედნართი ხარჯის შემცირებისა და წარმოებათა რაციონალიზაციისათვის.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საჭიროა თუ არა რეკლამა?

როგორც ვიცით რეკლამის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ზედნართი ხარჯების შემცირების მიზნით. ამის შესახებ გამოიცა საგანგებო ბრძანება ამხ. ძერჟინსკის ხელმოწერით, სადაც სამეურნეო ორგანოებს კატეგორიული წინადადება ეძლეოდათ სარეკლამო ხარჯების შემცირების შესახებ.

ეს ბრძანება დროული და მიზანშეწონილი იყო, რადგან საქონლის ნაკლებობის პირობებში, რომელსაც ჩვენ დღეს განვიცდით, ბაზრის მოთხოვნილება ისედაც დიდია და აქ სარეკლამო ბევრი არაფერია. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება, ამ საქმეშიაც ადგილი დაურჩა რეკლამების გადაჭარბებულ შეკვეცას, რასაც შეუძლია საგრძნობი ზიანი მიაყენოს ჩვენს სამეურნეო ორგანოებს.

სარეკლამო ხარჯების წინააღმდეგ წარმოებული კამპანია მიზნად ისახავ[illegible]დებას, რომელსაც უკანასკნელ ხანამდე ადგილი ჰქონდა ამ დარგში. სრულიადაც არ შეიძლება ამ კამპანიის იმნაირად გაგება, რომ რეკლამა ხელაღებით უნდა დაყვანილ იქნას მინიმუმამდე მაშინაც კი, როცა ზოგიერთ შემთხვევაში მდგომარეობა ითხოვს ფართე რეკლამის წარმოებას.

ამ საკითხს ეხება მოსკოვის გაზეთი „ტრუდ"-ი (110), სადაც ის სწერს:

„ამხ. ძერჟინსკის ცნობილ ბრძანების შემდეგ, რომელიც შეეხებოდა მომჭირნეობის რეჟიმს, ტრესტებმა სრულიად შესწყვიტეს თავიანთ პროდუქციის რეკლამა. ზოგიერთ გამომცემლობამ საგრძნობლად დაუკლო ტარიფებს რეკლამაზე („მოსრეკლამა"—25 პროცენტით, „ტრანსპეჩატ"-ი—50 პროცენტი და სხვ.), მაგრამ მათი შემოსავალი უკანასკნელ თვეებში უმნიშვნელოა. ამავე დროს გაისმის ხმები, რომ რეკლამის შემოკლების საქმეში ადგილი აქვს მავნე გადახრას რეკლამათა გადაჭარბებულ შემცირებისაკენ. **რაციონალურად დაყენებული და ეკონომიური რეკლამა ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ დარგში სასარგებლო და აუცილებელიც არის.** მრეწველობისა და ვაჭრობის საბჭოს ყრილობამაც გამოსთქვა თავისი შეხედულება რეკლამის შენარჩუნების მიზანშეწონილობის შესახებ, მაგრამ უფრო სერიოზული და მიზანშეწონილი რეკლამის, ვიდრე ეს დღემდე იყო".

ამის შესახებ გაზეთი გვატყობინებს ზედნართი ხარჯების შემამცირებელ ცენტრალურ კომისიის სხდომის ანგარიშებს, სადაც აგრეთვე მდგარა საკითხი რეკლამის შესახებ. ამ კომისიის სხდომაზე ამხ. კრილენკოს, გაზეთის გადმოცემით განუცხადებია:

„სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დაქვემდებარებულ სამეურნეო ორგანოებიდან შეიძლება გამოიყოს ისეთები, რომელნიც მართლაც საჭიროებენ [illegible] ნება დახარჯონ განსაზღვრული თანხები ასეთ საჭიროებისათვის.

შემდეგში ჩვენ არ უნდა ვაწარმოოთ ფირმების რეკლამა, არამედ უნდა მიუთითოთ მყიდველს საქონელზე, რომელიც მისთვის ყველაზე მეტად სასარგებლო და ხელსაყრელია. **არსებითად რეკლამა, უმეტეს შემთხვევაში, — სამრეწველო პროპაგანდაა".**

ეს მოსაზრებები უნდა მიიღონ მხედველობაში ჩვენმა სამეურნეო ორგანოებმაც. არა წარმოებისა და სავაჭრო ფირმების რეკლამა, რაც ძველ ვაჭრობას მოგვაგონებს, არამედ მომხმარებელი მასების ინტერესები და სამრეწველო პროპაგანდა, აი რა უნდა გვახსოვდეს ჩვენ რეკლამის საქმეში.

თბ. აღმასკომში

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ მომჭირნეობის რეჟიმის ჩასატარებლად მოწყობილმა კომისიამ უკვე გამოიმუშავა საგანგებო ინსტრუქცია თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებების და კომუნალური წარმოებისათვის. ზემოხსენებული ინსტრუქცია დამუშავებულია მომჭირნეობის ჩამტარებელ უჯრედებისათვის, რომელნიც ამჟამად უკვე მოწყობილია ყველა წარმოებასთან და განყოფილებებთან.

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ მთავარ კომისიის ამოცანას წარმოადგენს ყველა იმ დიდ წარმოებათა და დაწესებულებათა გამოკვლევა, რომელნიც დიდ თანხებს აბრუნებენ და წარმოადგენენ ქალაქის მეურნეობის საფუძველს. გარდა ამისა კომისიას განზრახვა აქვს მთელ რიგ დაწესებულებებში მოსამსახურეთა შტატების შემცირება და თბილისის მაზრის აპარატის განტვირთვა. ამ ღონისძიების გატარება კომისიის აზრით, გამოიწვევს რამოდენიმე ათეული ათასი მანეთის დაზოგვას. ამჟამად ადმინისტრატიულ განყოფილება ამუშავებს თბილისის მაზრის ახალ ადმინისტრატიულ დაყოფის გეგმას. ამ ღონისძიების გატარებას მოჰყვება აპარატის ხარჯების შემცირება.

კომუნალურ წარმოებებში დაიწყო მუშაობა ზედნადები ხარჯების შესამცირებლად და იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეესაბამებიან საკრედიტო ასიგნობანი სამშენებლო და სამეურნეო გეგმებს.

მოკლე ხანში დაიწყება ყველა კომუნალურ წარმოებათა გამოკვლევა იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს იმ თანხების რაოდენობა, რომელნიც აუცილებლად შემცირებული უნდა იქნენ.

უპატრონობით მასალა ლპება

(თელავი).

თელავის მაზრ-აღმასკომის მიერ შეკეთებული იქმნა ალაზნის ხიდი. დარჩენილი მასალა, რომელიც იქნება 200 ფიცრამდე და კიდევ რამოდენიმე კოჭი მუხისა დღემდე ყრია მაზრ-აღმასკომის ეზოში და უყურადღებოთ ლპება.

ეს მასალა გაიყიდება არა ნაკლებ 500 მანეთისა. რა არის მიზეზი რომ ამ მასალას ალპობენ? ამის მიზეზი დაუდევრობაა და კარგი იქნება სათანადო ორგანოებმა იზრუნონ ამ მასალის მშრალში შესატანად.

ადგილი აქვს მოვლენებს, როდესაც აღმასკომის ცხენების მომვლელები დაუყრიან თივას და რაც ცხენებს დარჩება, ამ თივას აძლევენ საჯინიბოსთან ახლო მცხოვრებ კერძო პირს.

საკვირველია თუ აღმასკომის ცხენები არ სჭამენ იმ თივას, როგორ სჭამს კერძო პირის ფური და ვირი?

ამას უნდა მალე მიექცეს ყურადღება.

ნადიკვრელი.

ქრონიკა

მმართველობის ეკონომია

შინ. საქ. სახ. კომისარიატის საორგანიზაციო განყოფილებამ უკვე დაამთავრა წინასწარი მუშაობა რესპუბლიკაში ზოგიერთი თემების გაუქმებისა და მათი სხვა ადმინისტრატიულ ერთეულებზე მიწერის შესახებ.

სამაზრო აღმასკომის მიერ ამის გარშემო დამუშავებული მასალები უკვე მიღებულია. ვარაუდით მთელ რესპუბლიკაში გაუქმებული უნდა იქნეს 130 თემი. ეს თემები ყველანი ითვლებიან დეფიციტიან ერთეულებათ. თითო თემის ბიუჯეტი რომ ვიანგარიშოთ საშუალოთ 3.000 მანეთი,—ეკონომია გამოვა 400.000 ათას მანეთამდე.

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ფასები

შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ შეადგინა სია იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, რომელზედაც ფასები დაკლებული უნდა იქნეს. შინა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულებს დაევალათ ჩაატარონ თათბირები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების (პურის, ერბოს, ხორცის, თევზის, ყველის, კარტოფილის, ბოსტნეულის) ფასების შესამცირებლად კოოპერაციას ევალება ფასები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე დააწესონ შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულებთან შეთანხმებით. კოოპერატიულ ორგანოებს წინადადება მიეცათ სას.-სამ. პროდუქტების შეძენა აწარმოონ სოფლებში.

რესპუბლიკანური კომისიები ფასების შესამცირებლად

შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიზანშეწონილად სცნო რესპუბლიკანური კომისიები ფასების შესამცირებლად მოეწყოს ეკონომიურ საბჭოებთან. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულთ წინადადება მიეცათ დაუყოვნებლივ შეუდგენ ფასების შემამცირებელი კომისიების მოწყობას.

მენშევიკური ბელადების გახრწნის დოკუმენტები

როგორ ხდებოდა ინგლისის შემთანხმებელთა კაპიტულაცია

მოლაპარაკების ოქმი ინგლისის მთავრობასა და ტრედიუნიონების გენ. საბჭოს წარმომადგენელთა შორის

(ორშაბათს, 12 მაისს, 1926 წ. შუადღის 12 ს. 20 წ. მომხდარ სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში)

დასწრნენ: სერ **სტენლი ბოლდუინი** (პრემიერ—მინისტრი), სერ **ლ. ვორტინგტონ—ივენსი** (სამხედრო საქმეთა მინისტრი), გრაფი **ბირკენხედი** (ინდოეთის საქმეთა მინისტრი), **ვ. ს. ბრიჯმენი** საადმირალოს პირველი ლორდი), **ნევილ ჩემბერლენი** (ჯანმრთელობის მინისტრი), **არტურ სტილ-მეიტლენდი** (შრ. მინისტრი), **ბ. რ. ლეინ - ფოკსი** (სამთო მრეწველობის საქმეთა მდივანი), **ჰორას ვილსონი** (შრომის სამინისტროს მდივანი), **ი. ე. ჰოვერსი** (სამთო მრეწველობის დეპარტამენტის შეუცვლელი უმცროსი მდივანი) **ი. ტ. ჯენსი** (კაბინეტის კანცელიარიის მდივნის თანაშემწე).

ტრედიუნიონების კონგრესის გენერალურ საბჭოს წარმომადგენელნი: არტურ პიუ (თავმჯდომარე), ე. ბ. სუელსი (თავმჯდომარის მოადგილე), ვ. მ. სიტრინი (გენერალურ მდივნის თანამდებობის აღმასრულებელი) და სხვანი.

პრემიერ - მინისტრი. ბ-ნო პიუ, იქნებ კეთილს ინებებთ და მოხსენებას გააკეთებთ?

ბ-ნი პიუ. დიახ, ბატონო! როდესაც ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ერთი კვირის წინად, ორივე მხარე ვსცნობდით, რომ საბოლოო მიზანი საკითხის მოგვარება უნდა იყოს მოლაპარაკების გზით. გამოთქმულიც იყო ეს აზრი. ასე რომ, თუმცა კონფლიქტმა მეტად ფართო ხასიათი მიიღო, მას შემდეგ ბევრი რამ მოხდა, მაგრამ როგორც ორივე მხარეს, ისე ყველა პარტიებს, უეჭველია, მხედველობაში ჰქონდათ ის, რაც მათ უნდა ხსომებოდათ, სახელდობრ: აუცილებლად უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას, რომ კონფლიქტმა კეთილ - სასურველი ბოლო მიიღოს. როგორც არ უნდა ყოფილიყო ამბების მსვლელობა, ჩვენ და თქვენც მთელი გულისყური აქეთკენ უნდა მიგვემართა, ყოველგვარი შესაძლებლობა და საზოგადოებრივი აზრი უნდა გამოგვეყენებია, რომ მოლაპარაკება განგვეახლებია. ასეთი აზრი გამოსთქვით, ბატონო, თქვენც იმ განცხადებაში, რომელიც რადიო - სადგურის საშუალებით გადაეცა მოსახლეობას. ამ ფაქტის გვერდის ახვევა რასკვირველია ჩვენ არ შეგვეძლო.

მეორეს მხრით, ჩვენ გამოვიყენეთ სხვა შესაძლებლობანი იმ ფაქტის სრულის შეგნებით, რომ რაც არ უნდა მოხდეს, როგორ ხანგრძლივადაც არ უნდა გაგრძელდეს ეხლანდელი მდგომარეობა და როგორც არ უნდა იყოს მისი შედეგები, მოლაპარაკება ასე თუ ისე მაინც ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი. და აი, თქვენი განცხადების მიხედვით, —რომ ყოველი ნაბიჯი გამოყენებულ უნდა იქნას მოლაპარაკების განსაახლებლად,— და რადგან ჩვენც ამ მიმართულებით ვანვითარებდით მოლაპარაკების განახლების შესაძლებლობას, ჩვენ მოვედით აქ, ბატონო, რომ გითხრათ, რომ საყოველთაო გაფიცვა შესწყდება, რათა შესაძლო გახდეს მოლაპარაკების გაგრძელება, რომელსაც როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, მივიყვანთ კეთილ-სასურველ ბოლომდე. აი, ის განცხადება, რომელიც გენერალურმა საბჭომ დამავალა თქვენს წინაშე გამეკეთებია.

პრემიერ - მინისტრი. ამგვარად, საყოველთაო გაფიცვა დაუყოვნებლივ შეწყვეტილი იქნება?

ბ-ნი პიუ. იგი შეწყვეტილი იქნება დაუყოვნებლივ. საკითხი მხოლოდ იმაშია, რომ მიღებულ იქნას სათანადო ზომები; ფაქტიურად იგი შეწყვეტილია... საჭიროა მხოლოდ სათანადო საშუალებათა გამოძებნა, რომ ეს ისეთ განხორციელდეს, რომ რაც შეიძლება ნაკლები მღელვარება გამოიწვიოს.

პრემიერ - მინისტრი. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, ორივე მხარემ, დიდი მუშაობა უნდა შევასრულოთ. მე შემიძლიან მხოლოდ ერთი რამ გიპასუხოთ: ვმადლობ ღმერთს თქვენი გადაწყვეტილებისათვის. მე შემიძლიან მხოლოდ ვსთქვა, რომ ეხლანდელ მომენტს არა ვსთვლი შესაფერად გრძელი მოლაპარაკების საწარმოებლად; მე ვაღიარებ და ვადასტურებ ყოველივე იმას, რაცა ვსთქვი რადიოთი გადაცემულ სიტყვის უკანასკნელ ნაწილში. მე დაუყოვნებლივ მოვიწვევ ჩემს კაბინეტს, გადავცემ მინისტრებს ყოველივე იმას, რაც თქვენ სთქვით. დაუყოვნებლივ ყოველგვარ ღონისძიებას მივიღებ ორივე მხარის შესარიგებლად და ყველაფერს, ვიზამ რაც შემიძლია, რომ კონფლიქტის სამართლიან და მტკიცედ მოწესრიგებას მივაღწიო. მე ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში მოვახერხებ იმ გზების ჩვენებას, რომლითაც ამ მიზანს მივაღწევთ.

ტომასი. მხოლოდ ერთს ან ორ ჩვენთაგანს სურს ცოტაოდენი რამ სთქვას, ძალიან მოკლედ. თქვენ გვიპასუხეთ ისე, როგორც ველოდით, თქვენ აღიარეთ, რომ ჩვენ დიდი საქმე გავაკეთეთ, როცა პასუხისმგებლობა ვიკისრეთ, თქვენც დიდი საქმით გვიპასუხებთ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ერთი ან ორი დღე, ან მთელი კვირაც კი ძალიან მცირე დროა იმისათვის რომ ყველა სიძნელე იქნას გადალახული, მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს მნიშვნელობა ამ კონფლიქტისა,—რომელიც ეხლა თავდება,— ყველა იმ აზრისაა, რომ მის მოსაგვარებლად და წესრიგის დასამყარებლად აუცილებლად საჭიროა იმ მხარეების ურთიერთ დახმარება, რომელნიც 10 წუთის წინედ ორ მტრულად განწყობილ ბანაკში იმყოფებოდენ. აუცილებლად საჭიროა რომ ჩვენ ერთმანეთს მხარი დაუჭიროთ. ჩვენ განზრახული გვაქვს მხარი დაგიჭიროთ და ვიმედოვნებთ, რომ თქვენც შესძლებთ დახმარებას. მე არასოდეს არ მიყვარდა სიტყვა: „ომი" და არ მინდოდა მისი ხმარება,—ჩვენ გვსურს, რომ თქვენ დაგვეხმაროთ, რითაც ამ „კონფლიქტს" ბოლო მოეღება. ჩვენ გენდობით, როგორც პრემიერ-მინისტრს, და გთხოვთ, რომ დაგვეხმაროთ როგორც შეგიძლიათ: მოითხოვეთ მწარმოებლებისა და სხვა მოქალაქეებისაგან, რომ მათ ყოველი ძალღონე გამოიყენონ მდგომარეობის შესამსუბუქებლად და გასაადვილებლად. ერთად ერთი, რაც თავიდან უნდა იქნას აცილებული—ეს სამოქალაქო ომია. აქეთ უნდა მივმართოთ ორივე მხარემ ყველა ძალები. არაფერი არ იქნება იმაზე ცუდი, თუ ის დიდი გადაწყვეტილება, რომელიც მივიღეთ, სხვა აზრით იქნება გაგებული, და არა იმ აზრით, რომ სამართლიანად მოვიქცეთ ჩვენი მრეწველობის მძიმე პერიოდში.

ბევინი. მე ვფიქრობ, თქვენ [illegible]თანხმებით, რომ ჩვენს წინაშე დიდი სიძნელენი იდგენ და. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ დიდ „რისკზე" წავედით, როცა გაფიცვა მოვხსენით. მე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ნაბიჯი უნდა ჩაითვალოს არა ჩვენი სისუსტის, არამედ ძლიერების ნიშნად. მე ვლაპარაკობ არა ფიზიკურ ძალაზე, არამედ იმაზე, რომ საჭირო იყო ერთგვარი სიმხნევე იმ ნაბიჯის გადასადგმათ, რომელიც ჩვენ გადავდგით. მე მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რაც მისტერ ტომასმა სთქვა, და შეგეკითხოთ თქვენ, როგორც მთავრობის მეთაურს, შეგიძლიათ თუ არა შეგვპირდეთ, რომ მოითხოვთ წინანდელ მდგომარეობის აღდგენას, და დაუყოვნებლივ ღონისძიებებს მიიღებთ ამ მხრივ? მდგომარეობა ასეთია: ცხადია, ზოგიერთი წარმოება, რომელთაც გაფიცვა შეეხო, ისეთ ორგანიზაციების გავლენის ქვეშ იმყოფება, რომელთანაც ერთბაშად კავშირის დაჭერა შეუძლებელია, ვინაიდან ისინი მთელს ქვეყანაში არიან გაბნეული. თუ ეს პრესაში გამოქვეყნდა, არაჩვეულებრივ მითქმა - მოთქმას გამოიწვევს, მაგრამ თუ თქვენ თანახმა იქნებით გამოხვიდეთ განცხადებით, ჩემი აზრით, ეს საქმეს გაადვილებს, ვინაიდან მწარმოებლები, რომელნიც უსათუოდ მთავრობასთან შეთანხმებულად მოქმედებდენ ბრძოლის დროს, უსათუოდ გამოეხმაურებიან ასეთ განცხადებას. მე თქვენ გარწმუნებთ, რომ ეს ერთი საუკეთესო საშუალებაა, მოფიქრებული საქმის განსახორციელებლად.

ერთ-ერთი დებულება, რომელიც მე მინდა მოვიყვანო, შემდეგში მდგომარეობს: ასეთი ნგრევის დროს, რომელსაც ეხლა განვცდით, წარმოება დიდათ ზარალობს, მაგრამ თუ მის აღდგენას კეთილი განზრახვით შეუდგებიან, ყველაფერი ძალიან ჩქარა წინანდელ მდგომარეობას დაუბრუნდება. მე მახსოვს, რომ 1912 წლის გაფიცვის შემდეგ, როცა ჩვენ დავმარცხდით, სერ ჯოზეფ ბრუდბენკმა ძალიან გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი საქმეს, და გადაზიდვა შემცირებული იქნა დაახლოვებით 25 პროცენტით, რაც ასევე დარჩა რამდენიმე ხნის განმავლობაში. ჩვენ ეს არ გვსურს. ჩვენ მოგვიხდა შეტაკება, ამან დაარღვია საქმის მსვლელობა, მაგრამ ჩვენ გვინდა თანამშრომლობა ჩვენს ხალხთან ერთად ზარალის გამოსასწორებლად ისევე, როგორც ეს მწარმოებლებს შეუძლიათ ამის გაადვილება. და მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი გამოეხმაურებიან თქვენს მოწოდებას, თუ თქვენ სათანადო განცხადებით გამოხვალთ. თქვენ დიდ დახმარებას გაგვიწევთ, თუ სანამ ამ შენობიდან გავიდოდეთ, რამეს შეგვპირდებით ამ მხრივ, ვინაიდან ჩვენ დეპეშები უნდა გავუგზავნოთ პროფკავშირებს, რომელთა ცენტრალური ორგანოები ლონდონში არ იმყოფებიან და რომლებთან ჩვენ პირად შეთანხმების საშუალება არ გვაქვს. თქვენ განცხადება ჩვენ გზას გვიჩვენებს, თუ როგორ მივუდგეთ ამ საქმეს. ბატონო, თქვენ სთქვით, რომ გსურთ დაინტერესებულ მხარეების მოწვევა იმისათვის, რომ მოახერხოთ კონფლიქტის სამართლიანად მოგვარება. ჩვენ მოვხსენით გაფიცვა და მუშაობა დაუყოვნებლივ განახლებული იქნება.

შესაძლოა, მე ზედმეტ ნებას ვაძლევ თავის თავს, მაგრამ მინდა, რომ გამაგებინოთ, რას ნიშნავს ეს: იმას, რომ მუშაობის განახლება სამთომადნო მრეწველობაში მიღწეული უნდა იქნეს ჩვენთან მოლაპარაკების გზით, თუ მოლაპარაკება უნდა სწარმოებდეს იმ დროს, სანამ სამთომადნო მუშებს კიდევ არ აქვთ მუშაობა განახლებული?

ტომასი. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ჩვენ თქვენი სიტყვა ისე განმარტეთ, როგორც, მე დარწმუნებული ვარ, ის მოფიქრებული იყო.

ბევინი. მან ჩვენ საშუალება მოგვცა გვესარგებლა შემთხვევით. მე პირადათ ვფიქრობდი: რასაკვირველია, ძალიან ძნელია რაიმე დასკვნამდე მისვლა. როცა მოლაპარაკების საშუალება არ გვაქვს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვიკისრებთ ინიციატივას და დაგარწმუნებთ თქვენ, რომ ჩვენ გვინდა მუშები სამუშაოზე დავაბრუნოთ—თავისუფალი და მიუდგომელი მოლაპარაკება მხარეებს შორის ძალიან სწრაფად ჩატარდება, ვინაიდან მრავალ ათას მუშას არ შეუძლია მუშაობის განახლება, სანამ მაღაროები კიდევ არ ამუშავებულან: სანამ სამთომადნო მუშები კიდევ გაფიცული არიან, ძალიან ძნელია მანქანის წესიერად ამუშავება. აი ის ორი მუხლი, რომელზედაც მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

პრემიერ-მინისტრი, ძალიან კარგი, მისტერ ბევინ, დღეს მეტს ვერაფერს გეტყვით. მე არ ვიცოდი, რომ თქვენ კიდევ სხვა საკითხებს აღძრავდით, და რომ რამეს იტყოდით იმ განცხადების გარეშე, რომელიც მისტერ პიუმ გააკეთა. წინადადება, რომელიც თქვენ წამოაყენეთ, მე უნდა განვიხილო და კიდეც განვიხილავ ეხლავე. მე მხოლოდ უნდა მითხრათ, რომ, ჩემი აზრით, ყველაზე უმჯობესი იქნება—თუ რაც შეიძლება ადრე დაიჭერთ კონტაქტს მწარმოებლებთან. მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო ადრე მიაღწევთ ამას, მით უფრო ნაკლებ შეხლა-შემოხლას ექნება ადგილი. ჩემს აზრს თქვენ იცნობთ, თქვენ იცნობთ ჩემი პოლიტიკის მიზანს, და ვფიქრობ, რომ მომანდობთ ყოველივე იმის განხილვას, რაც აქ ითქვა, რათა რაც შეიძლება ადვილად და ჩქარა აღვადგინოთ ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ყველას გვსურს ჩვენი ქვეყნისთვის. თქვენ დაგჭირდებათ ჩემი თანამშრომლობა, მე კი—თქვენი, რათა გამოვასწოროთ აღებ - მიცემობისათვის მიყენებული ზარალი და ვეცადოთ ქვეყანა იმაზე უკეთეს და უფრო ბედნიერ მდგომარეობაში ჩავაყენოთ, ვინემ ის იმყოფებოდა უკანასკნელ წელს. მე თავგამოდებით ვიზრუნებ ამისთვის, და როცა კონფლიქტს აღმოვფხვრით, თქვენ მოგმართავთ დახმარებისათვის, მე ჩემს საქმეს გავაკეთებ და ეჭვი არ შემდის, რომ თქვენც გააკეთებთ თქვენსას.

რაც შეეხება მეორე მუხლს, მე კიდევ არ შემიძლია ეხლა ვსთქვა, რა მოხდება, ვინაიდან ეს საკითხი მხარეებთან ერთად უნდა განვიხილო. რასაკვირველია, ჩემი მიზანია რაც შეიძლება ადრე განახლდეს მუშაობა მაღაროებში და მიღწეულ იქნეს შეთანხმება. სანამ არ მოველაპარაკები დაინტერესებულ მხარეების წარმომადგენლობას, მე არ შემიძლია გითხრათ, რა გზით სჯობია, შეთანხმების მიღწევა; თქვენ შეგიძლიათ დაგვენდოთ მე და ჩემს კაბინეტს: ჩვენ არაფერს არ დავიშურებთ, ოღონდ კი ამ მიზანს მივაღწიოთ. ეხლა, მისტერ პიუ, როგორც მე უკვე ვსთქვი, ჩვენ ორთავეს მოგვიხდება დიდი, ძალიან საპასუხისმგებლო და ძნელი მუშაობის გაწევა, და ვფიქრობ, რომ რაც უფრო ადრე შევუდგებით ჩვენს მუშაობას, მით უკეთესი იქნება.

მ-ერ პიუ. დიახ, ასე უნდა შევაფასოთ ეხლანდელი მდგომარეობა.

მ-რ ბევინ. მაპატიეთ დაჟინება. მე არ მინდა თქვენი მოცდენა, მაგრამ მინდოდა გამეგო, როდის შეგვეძლება ამ ორი მუხლის განხილვა?

პრემიერ-მინისტრი. ამის თქმა არ შემიძლია, მისტერ ბევინ. მე ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, როგორი გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული, ყველაზე უფრო შესაფერი ადგილი მის გამოსაქვეყნებლად თემთა პალატა იქნება. ეხლა კი მე არ შემიძლია ვსთქვა, რომელი უკეთესია,—გამოტანილ იქნეს ეს გადაწყვეტილება იქ, თუ ერთხელ კიდევ თქვენთან ერთად მოვახდინოთ მისი განხილვა. მაგრამ ჩვენ ასე თუ ისე ავირჩევთ იმას, რაც უმჯობესია.

ამით გათავდა თათბირი.

მისი უდიდებულესობის „საიდუმლო" ლაქიები

ანუ

პროლეტარიატის მოღალატენი

ქვემოთ მოყვანილი დოკუმენტი შეიცავს ტექსტს იმ ფიცისას, რომელიც უნდა დასდონ „მისი უდიდებულესობის, დიდი ბრიტანეთის მეფის, საიდუმლო მრჩევლებმა" ხანამ ისინი შეიქნებიან „მეფის საბჭოს" წევრებად. ასეთი ფიცი აქვთ დადებული ტომასს, ჰენდერსონს, კლაინსს და სხვებს. მკითხველები ხედავენ, რა „ხალხის" გავლენის ქვეშ იყო საყოველთაო გაფიცვის „ხელმძღვანელი" ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭო.

„ვფიცავ ყოვლის შემძლებელ ღმერთს, რომ მე, როგორც მისი უდიდებულესობის საიდუმლო საბჭოს წევრი, ვიქნები მისი ერთგული და თავგამოდებული მსახური, ჩემთვის უცხო და მიუწვდომელი იქნება ყოველივე, რაც შეიძლება დაწყებულ იქნას, გაკეთდეს ან ითქვას მისი უდიდებულესობის პიროვნებისა, პატივისა, გვირგვინისა ან მისი მეფური ღირსების წინააღმდეგ. მე ყოველი ღონისძიებით წინააღმდეგობას გავუწევ ამგვარ განზრახვებსა, საქმეებსა და სიტყვებს, თვით მის უდიდებულესობას მოვახსენებ ამის შესახებ ან საიდუმლო საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ მის უდიდებულესობას მოახსენონ. სამეფო საბჭოებში მე, როგორც ერთგულ ქვეშევრდომს შეეფერება, პატიოსნათ გამოვსთქვამ ჩემს აზრს, რომელსაც ჩემი გრძნობა და შეგნება მიკარნახებს და საიდუმლოდ შევინახავ ყოველივეს, რასაც გამანდობენ ან რაც სამეფო საბჭოებში გამოსააშკარავებლად არ იქნება ცნობილი: და თუ სამეფო საბჭოებში რომელიმე წევრს შეეხებიან. მე მას არაფერს გავუმხელ, სანამ ამას თვით მისი უდიდებულესობა ან სამეფო საბჭო არ გამოაქვეყნებს. მე სულით და გულით ერთგულად და თავგამოდებით ვემსახურები მის უდიდებულესობას, დავიცავ ყველა უფლებებსა, ტიტულებსა და უპირატესობას, რომელიც სამეფო გვირგვინს პარლამენტის დეკრეტებით ან სხვა გზით აქვს მინიჭებული, დავიცავ უცხოელი პრინცებისა, ეკლესიის თავადების ან ბრძანებლების წინააღმდეგ და საზოგადოთ ყველაფერში ისე მოვიქცევი, როგორც მისი უდიდებულესობის ერთგულ ქვეშევრდომს შეეფერება. ღმერთო, შემეწიე ამ საქმეში".

პარტიული ცხოვრება

ცეკას პლენუმი

30 მაისს, საღამოს 6 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს შენობაში გაიხსნება

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მორიგი პლენუმი.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი ლ. ქართველიშვილი.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

საშეფო მუშაობის საკითხები

საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა მოხსენება ცეკას აგიტპროპგანყოფილებასთან შემდგარ საშეფო თათბირის შესახებ და მოიწონა თათბირის დადგენილებები. ამასთანავე ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა ყველა პარტორგანიზაციებს, გააძლიერონ პარტხელმძღვანელობა საშეფო საზოგადოებათა მუშაობაზე მათში პროლეტარული გავლენის გაძლიერებით, ყველა არჩეულ ორგანოებთან ფრაქციების ჩამოყალიბებით და მათ მიერ სათანადო პარტიულ კომიტეტებისათვის ანგარიშების ჩაბარებით და ამ საზოგადოებათა ყოველდღიური საქმიანობის სისტემატიურ შემოწმებით.

ცეკა სთვლის, რომ უნდა გაგრძელდეს საზოგადოებაში ახალ წევრების ჩაბმა, სრული ნებაყოფლობის ნიადაგზე. საზოგადოებაში ჩაბმულ უნდა იქნენ მუშათა ახალი ფენები, უმთავრესად ისეთები, რომლებიც არ იღებენ მონაწილეობას სხვა ნებაყოფლობითი საზოგადოებებში და აგრეთვე ა. ლ. კომკავშირის საქალაქო უჯრედების წევრები და ქალები.

საშეფო საზოგადოებათა შინა მუშაობაში უნდა იქნეს აღებული კურსი წევრთა თვითმოქმედების განვითარებისაკენ და საზოგადოების საერთო მუშაობაში წევრთა ფართო მასის ჩაბმისაკენ.

ამ მიზნით საშეფო საზოგადოებების მიერ დაარსებული კურსები, სოფლის შემსწავლელი წრეები, სექციები, სოფლად მუშაობის პრაქტიკულ საკითხების დამმუშავებელი კომისიები და სხვა შევსებულ უნდა იქნეს საზოგადოების მორიგ წევრებით, პირველ რიგში უპარტიოებით.

ამასთანავე ერთად, საშეფო საზოგადოებებში უფრო ფართედ უნდა იქნეს დაყენებული აქტიურ მუშაკთა წამოყენების და მომზადების და განსაკუთრებით სოფლად მუდმივი მუშაკების მომზადების საქმე.

სთვლის რა, რომ საშეფო საზოგადოებათა მუშაობა უმთავრესად ადგილობრივ ხასიათს ატარებს და უშუალოდ უნდა ექვემდებარებოდეს ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს, ცენტრალურ კომიტეტს არა მიზანშეწონილად მიაჩნია საშეფო მუშაობის ცენტრალიზაცია და რესპუბლიკანურ ან საოლქო საშეფო საზოგადოებათა დაარსება. საშეფო საზოგადოებათა გაერთიანება არ უნდა გასცილდეს გუბერნიის მასშტაბს, ხოლო გამოცდილებათა ურთიერთ გაცვლა და საშეფო მუშაობაში საერთო ხაზის გატარება უნდა მოეწყოს საოლქო და ეროვნულ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებთან არსებულ საშეფო კომისიების საშუალებით.

ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი

25 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგა ქალაქის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, რომელსაც დაესწრენ უჯრედების ბიუროს წევრები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შედეგებზე და 2) რაიკომის მუშაობის გეგმის დამტკიცება.

უჯრედთა ბიუროების ხელახალი არჩევნების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. დარახველიძემ.

ამხ. დარახველიძის მოხსენება

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუროების მიმდინარე არჩევნები გეგმიან ხასიათს ატარებდა და წარმატებით ჩატარდა. არჩევნები დაიწყო პირველ აპრილიდან და 1 მაისს უკვე ყველგან დამთავრდა. საარჩევნო კრებებზე მონაწილეობა მიიღო დაახლოებით პარტიის წევრთა 90 პროცენტმა.

ზოგიერთ უჯრედებში კი (მაგალითად მბეჭდავთა) 95 პროცენტამდე აღწევდა. უნდა აღინიშნოს, რომ გადარჩევისათვის მოსამზადებელი მუშაობა კარგად იქნა ჩატარებული. კრებების დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) უჯრედის ბიუროს ანგარიში, 2) ფაბქარხადგილკომების ფრაქციათა მოხსენებები, 3) მოხსენება სამეურნეო საკითხების შესახებ და 4) მოხსენებები წარმოების დარგის ან და დაწესებულებების ხელმძღვანელისა უკანასკნელთა მუშაობის შესახებ.

მთელ რაიონში ყველა უჯრედის ბიუროთა მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი ორის (მბეჭდავთა უჯრედების) გარდა.

მოხსენებების ირგვლივ გამართული კამათი ატარებდა საქმიან ხასიათს. კამათში მონაწილეობას ღებულობდა პარტიის ჩვეულებრივი წევრები. კამათში საშუალოდ მონაწილეობა მიიღო 12-15 კაცამდე თვითეულ უჯრედში. შეკითხვების რიცხვი კი 10-დან 15-დე ადიოდა.

გადარჩევის შედეგათ ბიუროთა შემადგენლობაში მუშების პროცენტმა იმატა. უჯრედების ბიუროთა წევრების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის რაიონში უჯრედების რიცხვი უდრიდა 50, ბიუროთა წევრების კი 261. ამჟამად რაიონში უჯრედების რიცხვი უდრის 77. ბიუროთა წევრების—321 კაცს.

1925 წ. - ოქტომბრისათვის ბიუროების შემადგენლობაში (წევრებად) იყო 119 მუშა, ამჟამად კი არის 150. დაიკლო მოსამსახურეთა და ქალების პროცენტმა.

საწარმოო უჯრედებში ბიუროთა გადარჩევა კარგად იქნა ჩატარებული. უმაღლეს სასწავლებელთა ბიუროების გადარჩევაც დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

უჯრედების ბიუროთა გადარჩევის შედეგებიდან მომხსენებელმა გამოიყვანა შემდეგი დასკვნები: 1) პარტიული მასის აქტივობა გაიზარდა, 2) პარტიულმა მასამ დიდი ყურადღება მიაქცია სამეურნეო ხასიათის საკითხებს, 3) თითქმის ყველა უჯრედებში მოიკოჭლებს მასიური მუშაობა, სუსტად სწარმოებდა უპარტიო აქტივის წამოყენება, 4) პარტიის წევრთა ნაწილი არ არის ჩაბმული საქმიან მუშაობაში. უმთავრესად მუშაობას აწარმოებენ უჯრედების მდივნები, 5) მუშაობის გეგმა არ ტარდება სავსებით, რასაც მომავალში უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელ რაიონში ბიუროთა შემადგენლობა გადახალისებულია 69 პროცენტით, უჯრედების მდივნები კი 36 პროც.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა საინფორმაციო მოხსენება რაიკომის მუშაობის გეგმის შესახებ.

პლენუმმა წარმოდგენილი გეგმა დაამტკიცა.

პოლიტგანათლების საქმე ავჭალის თემში

15 მაისს შესდგა ავჭალის თემის პოლიტგანათლების საბჭოს სხდომა. სხდომამ მოისმინა ამხ. პერანიძის მოხსენება პოლიტგანმანათლებელ მუშაობის მდგომარეობა თემში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საკითხველებში საკმაოთ მოიპოვება წიგნები, მაგრამ ისინი უმთავრესად სანიტარული, ჰიგიენური, ანტირელიგიური, სასოფლო სამეურნეო და ისტორიული ხასიათისაა, ხოლო მხატვრული ლიტერატურა ძალიან მცირეა, ზოგან კი სრულიად არ მოიპოვება.

თემში დაარსებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სალკვიდაციო 12 სკოლა. სკოლებში 300 კაცმა დაამთავრა. მომავალში განზრახულია წერა - კითხვის სრულიად უცოდინართათვის გაიხსნას 14 სკოლა მცირე მცოდნეთათვის კი 15 სკოლა. გაზეთის ხმამაღლა კითხვა ქოხ-სამკითხველოებში და წითელ კუთხეებში სისტემატიურად სწარმოებს კვირაში 4-ჯერ.

კედლის გაზეთი სისტემატიურათ გამოდის თვეში 2-ჯერ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს: მასწავლებლობა, კომკავშირელები და ნაწილობრივ გლეხობაც. დამოკიდებულობა თემაღმასკომთან საერთოთ კარგია, მაგრამ ფინანსიური საკითხი ვერ არის სავსებით მოწესრიგებული. ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხიდან მიღებულია მხოლოდ 25 პროც., რაც დიდათ უშლის ხელს მუშაობას.

ნ. ბაძე.

საბჭოთა საქართველო

ჩვენი აგარაკები
(წერილი სენაკის მაზრიდან)

ჩვენს მაზრას თავისი კურორტები აქვს. ეს არის: ლებარდე და ჩეგოლა, ცნობილნი თავიანთ ადგილმდებარეობით, ჰაერით და საუკეთესო წყლებით. მრავალი ასეული გლეხი და მუშა მიდის ყოველ ზაფხულობით აქ მრავალ მძიმე ავადმყოფს კურნავს ჩვენი ლებარდე და ჩეგოლა!..

წელს სამაზრო აღმასკომი გაცხოველებით შეუდგა აღნიშნულ კურორტების მოწყობას:

ლებარდეში მივლინებული იქნება 1 ექიმი, თანაშემწით, ჩეგოლაში კი 1 ექიმი. გარდა ამისა ლებარდეში გაიხსნება აფთიაქი. აგარაკებზე მოეწყობა განათება გაზის ფარნებით.

სავაჭრო სექციის მიერ გაშენდა ლებარდეში ფურნე.

მოაგარაკეთათვის საჭმელის მიწოდების მოსაგვარებლად გაიმართება საჭირო მოლაპარაკება ამხანაგობა „მეჯოგე“-სთან.

ლებარდესაკენ მიმავალი გზის შუა ალაგას — ქობალიასკართან — გაკეთდა დასასვენებელი და საკვები პუნქტი.

ეცნობა სენაკის, ფოთის, და ზუგდიდის დამზღვ. სალაროებს, რომ სამაზრო აღმასკომს სასურველად მიაჩნია თუ ისინი იმეცადინებენ თავიანთ საჭიროებისათვის საკურორტო სახლების აგებას. საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ჯანმრ. ინსპექციას.

ამნაირად კურორტების საქმე მიმდინარე წელს უზრუნველყოფილია.

რაც შეეხება ნოქალაქევის აბანოს მოწყობას—სამაზრო აღმასკომი აქაც აწარმოებს საჭირო მუშაობას.

ბ. უჩანეიშვილი.

ინტელიგენცია სძინავს
(ამაღლების თ., გურია)

ამაღლება კულტურულ ძალებით მდიდარი თემია. მაგრამ რა? თუ არც ერთი მათგანი არ იზრუნებს კულტურ. საქმეებისთვის. ისინი გაბნეულნი არიან თემის სხვადასხვა სოფლებში და ძალიან ნაკლებათ ზრუნავენ კულტმუშაობაზე.

აგერ თითქმის ერთი წელია, რაც ამაღლებაში არც ერთი საღამო-წარმოდგენა არ გამართულა, აბა ლექცია-რეფერატებმა „ჯავარი“ დაგწერათ. ამიტომ ხშირად გაიგონებთ [illegible] საყვედურს გლეხობისაგან: „ჩვენი ნასწავლები არ ვარგან, არ არიან დაინტერესებული კულტურულ საქმითა“-ო და სხვა. აქ ბრალი არ ედება კულტსექციას, რომელმაც ბევრჯერ მოიწვია ისინი, მაგრამ არც ერთი არ გამოცხადდა დანიშნულ დროსა და ადგილს.

საინტერესო არის, თუ რა აკავებთ მათ და რა უშლის ხელს კულტსაქმიანობაში მონაწილეობის მიღებაში; საკვირველია რატომ თემის მასწავლებლობა მაინც არ ზრუნავს მეტათ კულტსაქმეზედ, რადგან სხვა გაემიჯნა მას.

საჭიროა თემის მასწავლებლობამ მაინც გამონახოს საშუალება მუშაობის გამოსაცოცხლებლათ.

იგივე.

გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა
(ქვემო-ჭალა, გორის მაზრა)

1925 წლის ოქტომბერში ქვემო-ჭალის კომისარიატმა აქ გახსნა ახალი ტიპის „სოფლის გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

ეს სკოლა საქართველოში, ასეთი ტიპის სკოლებს შორის, ითვლება ცენტრალურ სკოლად.

სკოლას აქვს საცდელი ბაღი, სადაც აგრონომის ხელმძღვანელობით კულტურულად ამუშავებენ სხვადასხვა ბოსტნეულს, პურეულს და ხეხილსაც.

სკოლა გლეხობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ყოველ წუთში მადლს უთვლიან მის დამაარსებელს და შიგ მომუშავე მასწავლებლებს. საერთოდ ამ თემის გლეხობა დაინტერესებულია სკოლის მუშაობით. თითქმის ყოველ დღე ათვალიერებენ სკოლას და აგრეთვე საცდელ ბაღს.

გ. კიკნაძე.

ახალი გზით
(ს. ყვიბისი, გორ. მ.)

სოფ. ყვიბისში „კვირაცხოვლობამ“ საუკეთესოთ ჩაიარა. გლეხებმა დღეობა არ გადიხადეს. მთელი სოფელი ამ დღეს თავისი სურვილით გამოვიდა სამუშაოთ გზების შესაკეთებლად და ბევრი გზაც შეაკეთა. ქეიფი, ლოთობა და სხვა ასეთები სრულებით არ ყოფილა. სტუმრებიც, ვინაიდან გამოცხადებული იყო გაზეთებში, არ მოსულან. იყვნენ თითო ოროლა მახლობელ სოფლიდან, მაგრამ როცა გაიგეს დღეობას არ იხდიანო, ისინიც უკან გაბრუნდენ.

შალ.

გვეყოფა მოსვენება
(ლეჩხუმი)

მთელ მაზრაში ერთი კლუბი არ არის. ეს კი დიდათ აფერხებს კულტურულ მუშაობის წარმოებას. თუმცა ქოხ-სამკითხველოები გვაქვს, მაგრამ ისინიც/ცოტა არის და მასთან სათანადოთ მოუწყობელი არიან. კლუბის მოწყობა მაზრის ცენტრში მაინც შეიძლებოდა.

გასულ წელს დაიწყეს ერთი სახლის კეთება, რომელშიც კლუბი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იქ აღმასკომი მოთავსდა და ისევ უკლუბოთ დავრჩით. ამნაირათ არაფერი კულტურული გასართობი არ არის, ისევ ძილს უნდა მივმართოთ და იძინო, რამდენიც გინდა.

თეატრის მოთავებას არაფერი ეღირსა. ამდენი ხანია რემონტს უშვრებიან და ჯერ ნახევარიც არ არის გაკეთებული. თუ შეკეთება გარედან ესაჭიროება, შიგნივ კი შეიძლება დაიწყოს სასცენო მუშაობა. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს თეატრის გამგეობამ და დროზე დაიწყოს წარმოდგენების დადგმა.

მ—ლი.

წერილებიდან

შილდა (თელავის მაზრა).

ძველი ყაიდის მოხელე. აქაური ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ჯანიაშვილი ცნობილია თავის ლოთობით და მოკრივეობით. ამას წინად რაიმილიციის შენობაში კინაღამ ამოულიტა ხალხი სიმთვრალის დროს. გარდა ამისა, მთვრალმა ჯანიაშვილმა თოფის ცემით ლამის მოკლა კოოპერატივ „კონცხის“ მუშები. ამას წინათ შილდელი ავადმყოფი გლეხები ენისლიდან ექიმს მოელოდენ. ჯანიაშვილმა ყვირილით გამოაგდო ტელეფონიდან ანდრია ხუროშვილი, რომელსაც უნდოდა გაეგო, როდის გამოვიდოდა ექიმი. კარგა ხანია ჯანიაშვილზე საჩივრებია შილდელი გლეხების მიერ, მაგრამ რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს.

შილდელი მი—შა.

გარე-კახეთი.

დახმარებას ველით. სოფელი ანთოკი და მარიამჯვარი კულტურულად ჩამორჩენილი კუთხეები იყვნენ საგარეჯოს თემში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქ კულტურული მუშაობა წინ წავიდა. ამ ბოლო ხანს ჩვენს სოფლებზე შეფობა აიღო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა, რომელიც დიდ დახმარებას დაჰპირდა გლეხებს. სოფელი დაპირებათა განაღდების მოლოდინშია.

გარეჯელი გლეხკორი.

დ. ჭრებალო (ლეჩხუმი)

მოქეიფე პრეზიდიუმი. ჩვენი თემის აღმასკომის თავმჯდომარე და მისი მდივანი ხშირათ იქეიფებიან. ამას წინათ, მოწაფეთა სასარგებლოთ გამართულ საღამოზე, ორივე გაილეშა. ამ დღეს უნდა შემდგარიყო საბჭოს კრება, მაგრამ მდივან-თავმჯდომარე თავიანთ ნარწყევშივე გორაობდენ. აღმასკომის პრეზიდიუმს ძალიან უყვარს წუნუა. ამას წინათ თავმჯდომარე დათვრა ს. სადმელში, სადაც ქორწილში ტოლუმბაშათ იყო და შემდეგ გლეხებს დაერია მათრახით. მდივან-თავმჯდომარეს ცხენებზე ჯირითიც უყვართ ძველი აზნაურებივით. იყო შემთხვევა, როცა მდივანმა გადაჯეკა ცხენით ჭრებალოში გლეხი სინო ფრუიძე. როდის ალაგმება ეს ხორცმეტები?

გლეხვინ.

გ ო რ ი

ვაჭრები გათამამდენ. აქ საზაფხულოთ დაბანაკდა წითელი ლაშქრის ერთი ნაწილი. ამან ვაჭრები ისე გაათამამა, რომ ბაზარზე ყველაფერმა ერთი-ორათ აიწია. ბინებიც საშინლად გაძვირდა. თითო პატარა ოთახი თვეში 25—30 მ. ღირს. გირვანქა თეთრ პურმა 11 კაპიკს გადააჭარბა. ადგილობრივ ხელისუფლებამ და კოოპერაციამ უნდა მიაქციოს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება.

გ. ალალიანი.

ბერეთი (გორ. მ.)

უხიდობამ კაცები იმსხვერპლა. პატარა ლიახვზე ხიდი არ არის. გორში მოგზაურობის დროს გლეხებს უხდებათ წყალში გატოპვა. ამას წინათ 3 გლეხი იმსხვერპლა ადიდებულმა ლიახვმა. ეს პირველი მაგალითი არაა. ლიახვში ყოველწლიურათ იღუპება 3—4 მგზავრი. როდის უნდა მოვიცილოთ ამ მდინარეზე ხიდის გასაკეთებლათ?

გ. კაპანაძე.

როდის შესრულდება აღმასკომის დადგენილება

გასული წლის შემოდგომაზე, თბილისის აღმასკომის წინაშე დაისვა საკითხი ბაღების ახალი იჯარით გაცემის შესახებ. იჯარა უნდა ყოფილიყო 9 და 3 წლის ვადით, ვინაიდან ერთი წლის ვადით არც მოიჯარადრე არ იყო დაინტერესებული ბაღ-ბოსტანში კულტურული მცენარეები და ხეხილები მოეშენებია.

ბაღების ყოფილი პატრონები ვერ ინელებენ, რომ ბაღები აღმასკომის ხელში გადავიდა, ეს რამოდენიმე წელია და მათ საექსპლოატაციო სალარო ხელიდან გამოეცალათ. თუ რომელიმე მათგანს რაიმე საშუალება კი ჰქონდათ—შეჯიბრების დროს ხელოვნურად უწევდენ საიჯარო ფასებს და იძულებულს ხდიდენ მუშა-მებაღეებს და აგრონომიულ ინსტიტუტის მოსწავლე ახალგაზრდობას ხელი აელოთ ბაღებიდან. მათ ხელს უწყობდენ ზოგიერთი პირები აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებაში.

აღმასკომის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე გაირჩა ქალაქის ბაღების მოვლა-პატრონობის საკითხი, სადაც მეც დავესწარი, როგორც მებაღე მუშების ორგანიზაციის რწმუნებული. პროექტის თანახმად, რომელიც წარმოდგენილი იყო ამ კრებაზე, ბაღები უნდა გადაეცათ იჯარით მუშა მებაღეების კოლექტივებისათვის. ამრიგად შეჯიბრების დროს უპირატესობას მიღებული პროექტის თანახმად, პრეზიდიუმი ანიჭებდა კომუნებს, არტელებს, კოლექტივებს და იმ ცალ-ცალკე მებაღე-მებოსტნეებს, რომელნიც თუმცა დამოუკიდებლივ იმუშავებდენ, მაგრამ მაინც საკუთარი ძალით მოუვლიდენ ბაღ-ბოსტანს. თუ ამის შემდეგ გადარჩებოდა ბაღები, ისინი გადაეცემოდა ისეთ მოიჯარადრეებს, რომელნიც ამ დარგში შრომის ექსპლოატაციას აწარმოებენ.

ამ დადგენილების შემდეგ არტელ—„ბაღის შრომას“, რომელიც შესდგება რამოდენიმე კოლექტივისაგან, უნდა განეგრძო თბილისის ბაღ-ბოსტნებში დაწყებული მუშაობა. საადგილ-მამულო განყოფილებამაც აღუთქვა ამ არტელს ყოველგვარი დახმარება.

მაგრამ სინამდვილეში ყველა ეს დაპირებანი ლიტონ სიტყვებად დარჩა. საქმემ მიიღო ისეთი მსვლელობა, როგორც სურდათ სპეკულიანტ-ექსპლოატატორებს. მიუხედავათ ამხ. სუხიშვილის და ვ. მესხის არა ერთი ფიცხელი განკარგულებისა, მიუხედავათ „წარმოკავშირის“ შუამდგომლობისა, მიუხედავათ ცეკას კოოპერსექციის და ამხ. ფილიპე მახარაძის მითითებისა, დღესაც არ არის ხელშეკრულება დადებული მუშა-მებაღეებთან. პირიქით, აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება იქიდანაც ერეკება არტელის წევრებს, სადაც ისინი თითონ მან შეასახლა.

მას შემდეგ, რაც მივმართეთ ყველა უმაღლეს პრაქტიულ და სახელმწიფო ორგანოებს და ვერავითარი შედეგი ვერ მივიღეთ, ჩვენ იძულებული ვხდებით პრესის საშუალებით ავიმაღლოთ ხმა იმ ღრმა რწმენით, რომ ბოლოს და ბოლოს აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება გატარებული იქნება ცხოვრებაში.

შ. მურავიოვი.

სატელეგრაფო კავშირი
კავშირი ოსმალეთთან და სპარსეთთან

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ტექნიკური ნაწილის გამგე ამხ. კურაბცევმა ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ტელეფონის და ტელეგრაფის განვითარების შესახებ განაცხადა შემდეგი:

— დეპეშების გადაცემა ამიერ-კავკასიის ტელეგრაფის ხაზზე საგრძნობლად გაუმჯობესდა. გაიზარდა დეპეშების გადაცემის სისწრაფე. დეპეშის გავლის საშუალო სისწრაფე უდრის 38 წუთს.

ახალი ხაზებიდან აღსანიშნავია სატელეგრაფო ხაზის გაყვანა სვანეთში; სვანეთში აქამდი ტელეგრაფი არ იყო.

თბილის-მოსკოვის ხაზზე დადგმულია თვითმბეჭდავი მანქანა „ბოდო“. თბილისის და ქუთაისის კანტორებში იუზის აპარატების ნაწილი გადაყვანილია ქართულ შრიფტზე და ამჟამად შესაძლებელია დეპეშების მიღება-გადაცემა ქართული, რუსული და ლათინური ასოებით.

აღდგენილია ახალი სატელეგრაფო კავშირი ბათომსა და ფოთს შორის.

მიღწეულია შეთანხმება სპარსეთთან თეირან-ასტარას სატელეგრაფო ხაზის მოწესრიგების შესახებ.

შეთანხმება დადებულია აგრეთვე ოსმალეთთან, რომლის ძალით ლენინაკანსა და ყარსს შორის მდებარე ნეიტრალურ ზონაში გაიგზავნენ მექანიკოსები სატელეგრაფო ხაზის შესაკეთებლად.

სატელეგრაფო ქსელის გაფართოების გეგმაში გათვალისწინებულია ახალი სატელეგრაფო მავთულის გაყვანა თბილისსა და ოდესას შორის; მავთული გაივლის სოხუმზე და ნოვოროსისკზე.

მდინარეების ადიდება

მდ. რიონი

ხანგრძლივი წვიმების და აგრეთვე მთებში თოვლის დნობის გამო ადიდდა მდ. რიონი. რაჭა-ლეჩხუმში, სადაც რიონი უმეტეს ნაწილად მთებს შუა მიმდინარეობს, მდინარის ადიდებული წყალი კალაპოტს არ გასცილებია. უვნებლად გადარჩა აგრეთვე ხიდები. ალაგ მდინარემ გაიტაცა ბორანები. კოკისპირულმა წვიმებმა და ნიაღვრებმა საგრძნობლად დააზარალეს ზემოხსენებულ ორ მაზრაში გზატკეცილები და საურმე გზები. წვიმების გამო შეუძლებელი გახდა საგაზაფხულო მუშაობა. სამტრედიის დაბლა რიონი გადავიდა ნაპირებზე და წყლით დაჰფარა ახლო მდებარე საყანე ადგილები.

ცხენისწყალი

უფრო საშიში ხასიათი მიიღო მდ. ცხენისწყლის ადიდებამ, რომელიც მაისის დამდეგში დაიწყო. ქუთაისის და სენაკის საზღვრებზე სოფელ ლეხაინდრავოს მახლობლად მდ. ცხენისწყალმა გადალახა ნაპირი და შეიჭრა პატარა მდინარე ნოღელას კალაპოტში, რომელმაც ვერ დაიტია მოზღვავებული წყალი. წყალი გადმოვიდა ნაპირებზე და 30 ვერსის სიგრძეზე მოედვა სოფლებს. წყალდიდობით დაზარალდა 2.000 მოსახლე. წყალი მოდებული იყო 200 საჟენის სიგანეზე, ხოლო ალაგ წყლის სიღრმე უდრიდა რამოდენიმე ათეულ საჟენს. წყალდიდობამ შეაჩერა საგაზაფხულო სამუშაოები. ცხენისწყლის ნაპირების გასამაგრებლად მუშაობა დაიწყება მაისის დამდეგს. გლეხების მიერ შეკრებილ იქნა 12 ათას მანეთამდე. ჯებირების აგება იკისრა ქუთაისის წყალთა საოლქო სამმართველომ. მთავარ სახიფათო ადგილს ჯებირების აგება უკვე დამთავრდა. წყალდიდობისაგან გამოწვეული ზარალი ამ რაიონში რამოდენიმე ათეულ ათას მანეთს აღწევს.

მდ. ჭოროხი და მისი შენაკადები

მთებში თოვლის დნობის და აგრეთვე ხანგრძლივი წვიმების გამო ადიდდა მდ. ჭოროხი და მისი შენაკადები. მდ. აჭარისწყალმა და ყოროლისწყალმა გადმოლახეს კალაპოტები და წყლით დაჰფარეს დაბლობი მინდორ-ველები. მდ. ჭოროხის დონე 2 მეტრით გადიდდა. წყლის გადიდებამ შეაჩერა საგაზაფხულო სამუშაოების წარმოება.

მდ. ლიახვის და ქსანის ადიდება

დიდი ნიაღვრების გამო ადიდდა ქართლის პატარა მდინარეები. ხეობები, სადაც მდინარეები მიმდინარეობენ მთლად წყლით დაიფარა. მდინარეების პირად გაშენებულ სოფლებს წყალდიდობამ საგრძნობი ზარალი მიაყენა: დაანგრია შენობები, გაიტაცა საქონელი, წყლით დაჰფარა ყანები, ბოსტნები და ვენახები.

ეკონომიური ცხოვრება

სამრეწველო საქონლის წესიერი განაწილებისათვის

ქალაქებს და სოფლებს შორის სამრეწველო საქონლის წესიერი განაწილების მიზნით, შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა, რომ გენერალური ხელშეკრულების დადების დროს მიღებული იქნეს მხედველობაში სასოფლო რაიონების მოთხოვნილება სამრეწველო საქონელზე.

შინა ვაჭრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით კოოპერატ. ცენტრებმა ძირითად კოოპერატივებზე სამრეწველო საქონელი უნდა გასცენ იმ ანგარიშით, რომ კოოპერატივებს შეეძლოთ ამ საქონლის ცალობით გაყიდვა იმ დანართი ხარჯების ნორმის დაცვით, რომელიც შ. ვ. სახ. კომისარიატის მიერ არის დაწესებული.

შ. ვ. კომისარიატის დადგენილებით უნდა მოეწყოს სამაზრო კომიტეტები, რომელთა დანიშნულება იქნება სამრეწველო საქონლის განაწილება ცალობით მოვაჭრეთა შორის. სამაზრო კომიტეტებში შევლენ განსაკუთრებით ცალობით მოვაჭრენი.

ჩაის ფაბრიკა

ჩვენში ერთად-ერთი კეთილმოწყობილი ჩაის ფაბრიკა არსებობს მხოლოდ ჩაქვაში, სადაც უმთავრესად მუშავდება ჩაის მთელი მოსავალი. ფაბრიკის მახლობლად აგებულია ერთი დიდი ფარდული, რომლის კედლები ფარღალალად არის დალაგებული იმ მიზნით, რომ ფარდულში ჰაერი თავისუფლად მოძრაობდეს.

ფარდული ორსართულიანია. ქვედა სართულში მოაქვთ პლანტაციებიდან ახლად დაკრეფილი ჩაის ფოთოლი და იქვე ცემენტის იატაკზე ჰყრიან სქელ ფენებად, რომლის სისქე 4 ვერშოკს უდრის.

მეორე სართულში წყება-წყებად ერთი-მეორის ზევით გაჭიმულია ფართო ტილოები. აქ ქვედა სართულიდან ამოაქვთ ჩაის ფოთოლი და ტილოებზე აფენენ თხელ ფენად (თითო-თითო ფოთოლს). ტილოებზე დღე-ღამის განმავლობაში გაფენილი ფოთოლი ნედლდება და ახლად სახვევი ხდება.

განედლებული ფოთოლი ფარდულებიდან იგზავნება მანქანებში. ჩაის დასამუშავებელი მანქანა შესდგება უამრავი ბარაბანისა და მოძრავი ძაბრისაგან. მანქანაში ჩაშვებული ჩაის ფოთოლი სამი საათის დამუშავების შემდეგ იგრიხება პატარ-პატარა შილებად. ამგვარად დაგრეხილი ფოთოლი ლაგდება ხის პრტყელ მოძრავ ყუთებში. მოძრავ ყუთებში დაგრეხილი ფოთოლი 3—4 საათის განმავლობაში თანდათან შეჭკნება და ღებულობს ყავის ფერს. ყუთებში ტრიალის დროს ჩაი ხურდება და იკუმშება. შემდეგ სწარმოებს ჩაის გახმობა.

გასახმობად ჩაის თხელ კონებად ალაგებენ ცემენტის იატაკზე (თუ მზიანი დღეა). უფრო ხშირად ჩაის გახმობა სწარმოებს მექანიკურად. ჩაი მექანიკურ გახმობას ორჯერ საჭიროებს: პირველად მექანიკური სახმობი ქარხანა ხურდება 250 გრადუსამდე, მეორეთ—220 გრადუსამდე. გახმობის შემდეგ ჩაი იგზავნება სახარისხო განყოფილებაში, სადაც ჩაის დახარისხება მექანიკურად სწარმოებს.

დახარისხების დამთავრებისთანავე ჩაის გზავნიან საწონ განყოფილებაში, სადაც [illegible] დახარისხებული ჩაის გასუფთავება, აწონვა და შეკვრა-ჩალაგება.

ამჟამად ჩაქვის ჩაის ფაბრიკა შეუდგა ჩაის პირველი მოსავლის დამუშავებას.

ა.-კ. ფინსახკომში

ახალი ანარიცხები

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, შემოღებულია ახალი პროცენტული ანარიცხები საერთო-საკავშირო მნიშვნელობის შემოსავლიდან მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტში.

ამ დადგენილების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და საშემოსავლო გადასახადიდან გადარიცხული უნდა იქნეს რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში 90 პროც.; ამასთანავე სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გადასახადიდან ანარიცხები აღებული უნდა იქნეს იმ ნაწილიდან, რომელიც დარჩება სათანადო რესპუბლიკების ადგილობრივ ბიუჯეტში გადარიცხულ თანხების გამოკლების შემდეგ.

საღერბო გადასახადიდან რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გადარიცხული უნდა იქნეს 65 პროც. რაც შეეხება მაღაროებიდან შემოსულ თანხებს, ის საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან მთლიანად გადარიცხული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტში.

პროცენტების გაუქმება

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა აცნობა ადგილებს, რომ 1926 წლის პირველი იანვრიდან გაუქმებულია პროცენტების დარიცხვა იმ საავანსო თანხებზე, რომლებიც შეაქვთ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებს და წარმოებებს მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკში.

სავაჭრო წიგნების შემოღება

ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა წინადადება მისცა ადგილებს, თვალყური ადევნოს ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც ეხება სავაჭრო წიგნების შემოღებას.

ამ დადგენილების დამრღვევნი მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში.

მუშათა ცხოვრება

უღირსი ექიმი
(ქუთ. მაზრ. აღმასკომის ჯანინსპექციის საყურადღებოდ)

ა/წ. 16 მაისს დაზღვეულ თანამშრომელს ამხ. გოცირიძეს დილით მოულოდნელად გადაექცა ბავშვი და კვდებოდა, ამ დროს თვით აღნიშნული პირი ე. ი. გოცირიძე იყო წასული ბაზარზე სანოვაგის სასყიდლად და სახლში კი ჰყავდა დატოვებული ცოლი და თავისი და, აღნიშნულ პირებმა ეს გარემოება გააგებინეს მეზობლებს და უცბად გაგზავნეს კაცი იქვე მეზობლად მყოფ რაიონის ექიმ ბადრიძესთან სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ექიმი არ წამოყოლოდა; მეორეთ და მესამეთ კიდევ იქნენ მასთან გაგზავნილი სხვადასხვა პირები, მაგრამ მან გაგზავნილი მთხოვნელები ყვირილით გამოაგდო გარეთ, ჩაუკეტა კარები და მიაყვირა: „არ მოვდივარ, რა გინდა, წადი და იჩივლე, სადაც გინდაო“. არ იყო ჩხუბის და აყალ-მაყალის დრო და რომ ბავშვი გვეხსნა უბედურებიდან, მივმართეთ სხვა ექიმს, რომელმაც აღმოუჩინა საჭირო დახმარება.

ნუ თუ დღემდე ვერ შეუგნია ექ. ბ-ნ ბადრიძეს, რომ მას ასეთი ჯიუტობა არ გამოადგება საბჭოთა წესწყობილების დროს? ამ შეუგნებელ ადამიანს შეაგნებიეთ თავისი მოვალეობა. რომ შემდეგში არ განიმეოროს ასეთი რამ.

მაყურებელი.

ამ „ექიმს“ ჭკუა ასწავლეთ.
(ქუთ. ჯანმრთ. განყ. საყურადღებოდ).

ქუთაისში არის უბანი „მწვანე-ყვავილა“; ეს უბანი თითქმის მთლიანად დასახლებულია მუშებით.

ამ უბნის მუშა-მოსამსახურეებს საექიმო დახმარებისათვის უხდებათ გელათის ქუჩაზე არსებულ ამბულატორიაში მიმართვა, სადაც არის ექიმი მინოვიჩი, ახალგაზრდა, გამოუცდელი და საქმის არმცოდნე. როდესაც არ უნდა მიხვიდეთ მასთან საექიმო დახმარებისათვის, თუ არის უქმე, ის არაფრის გულისათვის არ წამოგყვებათ.

თვით მე მქონდა შემთხვევა ასეთი: 17 მაისს გამიხდა ორი შვილი ავად. 19 მაისს მივედი ამბულატორიაში. მინდოდა გამომეწერა საექიმო ორდერი, მაგრამ, საუბედუროდ, პასუხად მივიღე: „19 მაისიდან 23 მაისამდე არის ებრაელთა უქმე და ამისათვის 23 მაისამდე საექიმოდ წასვლა არ შემიძლია“-ო.

საჭიროა ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილებამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და ასწავლოს მოქ. მინოვიჩს ჭკუა და მუშაობა.

მუშა ვ. სულაქველიძე.

გაუსწორებელი „დედაკაცი“

სწორედ მოურჯულებელზე მოურჯულებელია ეს „ადამიანი“ ელისაბედის ქუჩა № 83 სახლში მცხოვრები მოქ. **მარია პეტროსიანი.** მისგან ყველა მდგმურები შეწუხებული არიან და თვით მ-10 კომისარიატიც კი მობეზრებულია. ეს ქალი აგინებს ყველას ბინძურის სიტყვებით, ლანძღავს, ემუქრება და სხვა. მას მე-10 კომისარიატმა არა ერთხელ ჩამოართვა გამაფრთხილებელი ხელწერილი, მაგრამ მის გაფრთხილებას და გამოსწორებას საშველი არ დაადგა.

როდესაც კომისარიატში გამოუძახებენ მას წინადადების მისაცემად, რომ მან მოქალაქეს შეურაცყოფა აღარ მიაყენოს, პეტროსიანისა ისე აკაპასდება, რომ მის სიახლოვეს გაჩერება შეუძლებელია. წაიქცევა ტყვილა, ასტეხს ყვირილს, ვითომ გული წაუვიდა და გაიშხლართება იატაკზე. ამას წინად სახალხო სასამართლოშიც გაირჩა მისი საქმე, მაგრამ სასამართლომ როგორც წვრილი შვილების პატრონი და მასთან „ორსული“ გაანთავისუფლა იგი.

იქნებ ამხ. ხმალაძემ მაინც მოარჯულოს ეს მოურჯულებელი და კაპასი დედაკაცი.

მუშკორი **ზღვისპირელი.**

წვრილფეხა სპეკულიანტებიც უნდა მოისპოს

თითქმის ყოველ დღე შეხვდებით სალდათის ბაზარში აუარებელ წვრილფეხა სპეკულიანტებს, რომლებსაც გამოაქვთ მოქალაქეებისაგან შესყიდული ძველი ტანისამოსი და სხვა საგნები, უცდიან ბაზარზე მუშებს და სოფლელებს, რომელთაც ოჯახური პირობების გამო ვერ შეუძენიათ ახალი ტანისამოსი და მსხვერპლი ხდებიან ამ არამზადა ელემენტებისა. 9 მაისს ზემოხსენებულ ბაზარში შემთხვევით წავაწყდი სპეკულიანტების ხროვას, რომლებიც ხმა-მაღლა რაღაცაზედ მსჯელობდენ, ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მოვისურვე გაგება. დავინახე, რომ ერთი სოფლელი ჩაეგდოთ ხელში და აჩეჩებდნენ სრულიად დაკონკილ მაზარას „შინელს“, რომელშიაც თხოვდნენ 20 მ. ჩემი ყურადღება მიიპყრო სოფლელი გლეხის გამომეტყველებამ: იგი, როგორც დამნაშავე, ისე გამოიყურებოდა, თითქმის შველას ელოდა. ერთი იმათგანი მაზარას აჩეჩებდა ხელში, მეორე ფულს თხოვდა, მესამე უმტკიცებდა, რომ ახალი იყო და ასე ამგვარად ყველა ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას ერთი სოფლელის „გატყავებაში“ ასე უაზროდ დიდხანს ყიყინებდნენ, მაგრამ ბოლო დროს ერთმა იმათგანმა მიმართა უკიდურეს საშუალებას და მოთხოვა ეჩვენებინა ფული თუ რამდენი ქონდა, მანაც უსიტყვოდ ამოიღო—და აღმოაჩნდა 15—მ. და 50 კ. როდესაც დარწმუნდნენ მეტი ფული არ ქონდა თითქოს მოლბა ამ მხეცის გული და გაუწოდა ხელი ფულის ჩამოსართმევად. სოფლელმა 50 კ. თავისთვის დაიტოვა. მაგრამ სპეკულიანტმა ამ უკანასკნელს დაავლო ხელი და თვალის დახამხამებაში ორივემ სამიკიტნოში ამოყვეს თავი.

საჭიროა ასეთი ხალხის ასალაგმავად იქნეს რადიკალური ზომები.

პ. გოგიშვილი.

ექსკურსიებისათვის ვემზადებით!
(სენაკელი მუშკორისაგან)

საზაფხულო კულტმუშაობის ღერძს ექსკურსიების მოწყობა და მასში მუშა-მოსამსახურეთა დიდი უმრავლესობის ჩაბმა წარმოადგენს.

ჩვენმა პროფკავშირებმა ამას დროზე აუღეს ალღო და სამაზრო პროფბიუროსთან შესდგა სამაზრო საექსკურსიო ბიურო სამი კაცის შემადგენლობით.

ბიურო შეუდგა სამზადისს. ამ დღეებში იხსნება ექსკურსიების ხელმძღვანელთა კურსები ათი დღის ვადით.

შემდეგ მოეწყობა, როგორც ახლო მდებარე ადგილებზე ერთდღიური ექსკურსიები, ისე ორი-სამი და ოთხდღიური. განზრახულია მოეწყოს ექსკურსიები: „ზაჰესში“, „აბესში“, მარანში, ზუგდიდში, შავი-ზღვის რკ. გზაზე და სხვ...

კავშირებმა ხელი უნდა შეუწყონ ამ ექსკურსიებს განსაკუთრებით მატერიალურად. კულტფონდის ნაწილი ამ საქმეს უნდა მოხმარდეს.

თვით მოსამსახურეებმა დრო ტყუილად არ უნდა დაჰკარგონ. მათ დღეიდან უნდა ემზადონ და არ უნდა დარჩეს არავინ, რომ ამა თუ იმ ექსკურსიაზე მონაწილეობა არ მიიღოს.

მუშკორი ბ. უჩანეიშვილი.

ჭკუა ასწავლეთ თავხედ დედაკაცს

შერემეტიევის ქ. № 20-ში ცხოვრობს ერთი თავხედი დედაკაცი სათენიკ წიწუაშვილისა, რომელიც აქ მცხ. მუშა-მოსამსახურეებს არ აძლევს მოსვენებას! ყველას ლანძღავს. ვინ გინდათ, რომ იმისგან არ იყოს გალანძღული. იმ ეზოში მდგმურებს შორის ეწევა ინტრიგობას და პროვოკაციას.

მოარჯულეთ ეს ურჯული დედაკაცი.

მუშკორი **გველეშაპი.**

გამოგზავნილი წერილებიდან

— **სტიპენდია უნდა მიეცეთ იმათ, ვინც ამის ღირსია.** თბილისის მესამე საცდელ-საჩვენებელ შრომის სკოლაში დაუნიშნეს სტიპენდიები ღარიბებს მოწაფეთ. ეს კარგი და მოსაწონია, თუ მართლა ღარიბებს მისცეს სტიპენდია. მაგრამ არ ვიცით თუ რა საბუთით იქნა ცნობილი ღარიბათ ესა თუ ის მოწაფე. არავითარი სიღარიბის გამოკვლევა არ უწარმოებიათ ისე გაანაწილეს სტიპენდიები. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ სტიპენდიებში მოხდა ასე, თუ ისე შეძლებული ოჯახის წევრი თამარა მექვაბიშვილი.

ეს ჩემი აზრით, არა არის სამართლიანი.

მთიული.

— **შავი ზღვის რკინისგზის სამმართველო მუშებისათვის ზრუნავს.** შავი ზღვის რკინისგზის მუშებმა მოითხოვეს, რომ მათთვის მოეწყოთ მოძრავი კოოპერატივი, სადაც ისინი მიიღებდენ დაკლებულ ფასებში სურსათ-სანოვაგეს. სამმართველომ მუშათა მოთხოვნა დააკმაყოფილა: მან ამისათვის დანიშნა სპეციალური ვაგონი—კოოპერატივი საჭირო სურსათ-სანოვაგით. ვაგონი დაჰყვება მუშათა მატარებელს და მუშებს აწვდის საჭირო საგნებს. მუშები ამით ძალზე კმაყოფილი არიან დიდ მადლობას უძღვნიან სამმართველოს.

მუშკორი ფ—ლი.

— **ჩვენი მუშების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.** მდ. ხობზე (ზუგდიდის მაზრა)—აკეთებენ რკინისგზისათვის ხიდს; ამას გარდა ამ მდინარიდან გზის გასასწორებლად ამოაქვთ ხრეში, სილა და ბალახი. აქაც თავმოყრილია დიდძალი მუშა-ხელი. ამ მუშებისათვის გზის სამმართველომ გახსნა „წითელი სასადილო“, სამკითხველო, კლუბი, სადაც იდგმება რევოლიუც. წარმოდგენები. აღნიშნულ მუშებში ბევრია წ. კ. ულოდინარი. საჭირო მიღებული იქნეს სათანადო ზომები და მასთან გაზეთების საჯარო კითხვა შემოღებულ იქნეს მუშებისათვის.

მუშკორი—ლი.

— **უღირსი „სპეცი“.** თბილისის შ. გ. სალაროს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულმა ა. წ. 17 მაისს დაადგინა, ეთხოვოს საქართველოს ფინსახკომს, რათა ბუხჰალტერი ლუსინაკოვი დათხოვნილი იქნეს სამსახურიდან, როგორც ყოვლად უღირსი ადამიანი, საქმის არ მცოდნე და პროვოკატორი.

დ. პ.

მუშათა ქრონიკა

1-ლ ტყავტრესტის ქარხანაში.

— **სასადილოს შეკეთება.** ტყავტრესტის ქარხკომმა სთხოვა ადმინისტრაციას დაჩქარებით შეაკეთოს მუშების სასადილო.

— **იატაკის შეკეთება.** ვინაიდან დაბახანის ცემენტის იატაკი დაზიანებულია, შრომის დაცვის კომისიამ დაავალა ადმინისტრაციას შეაკეთოს იგი დაუყოვნებლივ.

— **წინსაფრების დარიგება.** ტყავტრესტის ადმინისტრაციამ ქარხნის მუშებს დაურიგა ახალი წინსაფრები.

— **სპეცტანთსაცმელების დარიგება.** ტყავტრესტის შრომის დაცვის კომისიამ სთხოვა ადმინისტრაციას მუშებისთვის დაერიგებია სპეცტანსაცმელები. ადმინისტრაციამ უკვე დაურიგა მუშებს ასეთები.

— **წყალის ასადუღებელი კუბების მოწყობა.** ტყავტრესტის შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა—ქარხანაში მოეწყოს წყლის ასადუღებელი კუბები და დამზადებული იქნეს მუშებისათვის ნაყინი წყალი.

— **აბანოს მოწყობა.** ტყავტრესტის ადმინისტრაციამ მიიღო ზომები და მუშებისათვის ქარხანაში აბანოს აწყობს. მუშაობა ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია.

„საქართველოს მარგანეცი“

17 ინჟინერის ჩამოსვლა

2 ივნისს გემ „აბბაცი“-თ ამერიკიდან ბათომში ჩამოვა საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი“-ს მთავარი ინჟინერი **ჯონ ვირსი,** რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ჭიათურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზის ფართო ლიანდაგად გადაკეთებას.

ჯონ ვირსთან ერთად ჩამოვა 16 მისი თანაშემწე—ინჟინერი.

მუშაობა ლიანდაგის დასაგებად დაიწყება წინასწარი გამოკვლევის დამთავრების შემდეგ; წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია.

წითელი ჯარი

ჯარის გარეშე მომზადება

წითელი ჯარი მშვიდობიანობის დროს იმდენათ შემცირებულია რიცხობრივ, რომ სამხედრო ვალდებულ ახალგაზრდობის დიდ ნაწილს უხდება სამხედრო სწავლების გავლა ჯარის გარეშე.

ყოველ წლიურად ყაზარმის გარეშე რჩება ზედმეტი ახალწვეულები, რომელნიც სრულიად ვარგისნი არიან სამხედრო სამსახურისათვის. მათი უყურადღებოთ დატოვება იმიტომ, რომ წითელი ჯარი შემცირებულია, არ შეიძლება. მათი სამხედრო აღზრდა უნდა სწარმოებდეს ჯარის გარეშე.

სრულიად საკავშირო ცენტრ. აღმ. კომიტეტის 1923 წ. 8 აგვისტოს დეკრეტს გათვალისწინებული აქვს ეს მდგომარეობა. ამ დეკრეტის თანახმად ზემო ნაჩვენებ ახალწვეულებთან სამხედრო მეცადინეობა სწარმოებს პერიოდიულათ ხუთი წლის განმავლობაში წელიწადში არა უმეტეს ორი თვისა.

ეს გარემოება ნაკარნახევია კიდევ შემდეგი მიზეზით: ჯარში სამსახურის ვადა იმდენათ შემცირებულია, რომ სამხედრო ვალდებულების მომზადება უეჭველად უნდა დაიწყოს მათ ჯარში გაწვევამდე, რომ მიზანი მზადების მიღწეულ იქნეს.

სამხედრო ვალდებულ ახალგაზრდების სწავლება, რომლებსაც არ მიუღწევიათ ჯარში გაწვევის ჰასაკამდე, იყოფა სამ ჯგუფად:

1) სასკოლო (16 წლამდე), 2) წინასწარი (16 წლიდან—18 წლამდე) და 3) სამხედრო-წვევამდე მზადება (18 წლიდან ჯარში გაწვევამდე). მოსახლეობის სასკოლო მზადება ევალება განათლების სახალხო კომისარიატის სამხედრო ორგანოების ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით.

სწავლების ამ პერიოდში ახალგაზრდობა ვითარდება ფიზიკურად, რაც აუცილებელია ყოველივე მოქალაქისთვის და აგრეთვე კარგ მებრძოლისათვის.

წინასწარ მზადების ყურადღების ცენტრში სდგას აგრეთვე ახალგაზრდობის ფიზიკურად აღზრდა. მხოლოდ, თანახმად 8 აგვისტოს დეკრეტისა, სამხედრო უწყებას აქვს უფლება წინასწარი სამხედრო სწავლება გახადოს სავალდებულოთ და ახალგაზრდობა 16 წლიდანნ 18 წლამდე ჩააბას მეცადინეობაში ვადით არა უმეტეს ოთხი კვირის, ანუ 160 საათის.

ამ პერიოდში ფიზიკური მომზადება ხორციელდება სამოქალაქო ორგანიზაციების საშუალებით. ამ ხანში (16-18 წლები) ნაწილი ახალგაზრდობისა იმყოფება სამსახურში, ნაწილი ახ. კომ. კავშირში. ამიტომ ფიზიკური აღზრდა ევალება ახკომკავშირს და პროფკავშირებს.

სამხედრო-წვევამდე მზადება იწყება 18 წლიდან და გრძელდება ჯარში გაწვევამდე. სწავლება სწარმოებს სამოსწავლო წერტებზე შეკრებების საშუალებით. თითო შეკრება გრძელდება არა უმეტეს 7-10 დღისა.

ახალგაზრდობის სამხედრო მზადება დავალებული აქვს წითელი ჯარის და სათადარიგო მეთაურთა შემადგენლობას.

სამხედრო მეცადინეობასთან ერთად სწარმოებს აგრეთვე პოლიტიკური მზადება სპეციალურ პროგრამის მიხედვით. პოლიტმზადებას ხელმძღვანელობს სათანადო ლეგიონის პოლიტაპარატი.

ე. ხუციშვილი.

გასამხედროების ფრონტზე

ჯავახეთი

№ ლეგიონის მე-8-ე ასეულის მიერ გახსნილია სამხედრო კუთხეები ქ. ახალციხის მუშათა კლუბში და სოფ. ვალეს და ურაველის ქოხ-სამკითხველოებში.

მეცადინეობას აწარმოებენ ცვალებადი წითელარმიელნი და ასეულის მეთაურნი.

ახკომკავშირის წევრნი და ცვალებადელნი ხალისიანად ესწრებიან მეცადინეობაზე.

გავლილია წითელი არმიის ისტორია და სასროლო და სასანგრე საქმე.

შორაპნის მაზრა

მე-4 ასეულის მიერ გახსნილი სამხედრო კუთხეები ზესტაფონში და სოფ. კლდეეთში, ქვემო ეზენოში, ჭიათურაში და ბერევისში. კუთხეებში საკმაოდ არის სამხედრო ხელსაწყოები და ლიტერატურა. მეცადინობა მიმდინარეობს სისტემატიურად. ადგილობრივი ახალგაზრდობა იღებს მხურვალე მონაწილეობას კუთხეების მუშაობაში.

ტ.

მწერლობა და კრიტიკა

პროლეტარული მწერლობის ამოცანები ჩვენში

II

ხელოვნების სპეციური ბუნება ფორმალურ მომენტებში უნდა ვეძიოთ. რასაკვირველია, მხატვრული იდეოლოგია შემეცნების ერთ-ერთი დარგია, მაგრამ შემეცნების სხვა დარგებისაგან ის მით განსხვავდება, რომ მხატვრულ ნაწარმოებს აქვს „შინაგანი“ უნარი ადამიანის ფსიხიკაზე ემოციონალურ (სულიერი) ზემოქმედების და მით ადამიანების გრძნობათა ორგანიზაციის. ამ რიგად ავტორსა (მხატვრულ ნაწარმოების სახით) და მკითხველ შორის მყარდება განსაზღვრული ურთიერთობა, რომლის ბუნება ყოველთვის და ყველგან განისაზღვრება ნაწარმოების ხასიათით. ხელოვნების ამოცანა სწორედ ამ ურთიერთობაში მდგომარეობს. მართლაც და მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც არაფერს არ ეუბნება ადამიანის „სულს“, მის განწყობილებას, რომელიც ვერ აბამს კავშირს მკითხველთან, ის მხატვრული ნაწარმოები არ არის, მას არ შეუძლია ადამიანის გრძნობათა წარმართვა არც უარყოფით და არც დადებით მიმართულებით. ამ შემთხვევაში მეტად დამახასიათებელი და ყურადსაღებია ლ. ტროცკის შეხედულება: „თქმა იმისა, თითქოს დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ გვაცნობს ჩვენ განსაზღვრულ ეპოქის, განსაზღვრული საზოგადოებრივი წრეების სულისკვეთებას და მეტს არაფერს, ნიშნავს ამ ნაწარმოების განიავებას, როგორც მხატვრული ფაქტის და მით მის ისტორიულ დოკუმენტად გადაქცევას“. „ღვთაებრივი კომედია“—ტროცკის აზრით, უნდა ჰკვებავდეს ჩემს გრძნობებს ან პესიმიზმით ან ოპტიმიზმით, მან უნდა აღამაღლოს ან დააქვეითოს ჩემი განწყობილება, მან უნდა უთხრას რაიმე ჩემს სულისკვეთებას, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე ურთიერთობაზე ლაპარაკი ავტორსა და მკითხველს შორის შეუძლებელია. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს აგრეთვე ნ. ბუხარინიც, რომელიც ხელოვნების ამოცანას და მის ფუნქციონალურ დანიშნულებას ჰხედავს ადამიანის ფსიხიკის ორგანიზაციაში.

მხატვრული ნაწარმოების შეფასება, როგორც სოციალოგიურად, აგრეთვე მხატვრულადაც შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ მკითხველსა და ავტორს შორის არსებულ ურთიერთობაში: რამდენად ძლიერია ლიტერატურული ნაწარმოები მხატვრულად, იმდენად ძლიერია მისი ზემოქმედება ადამიანის გრძნობებზე, ხოლო რამდენად ეს ნაწარმოები იდეოლოგიურად მისაღებია, იმდენად დადებითია ამ გრძნობათა ორგანიზაცია. შესაძლოა (ძალიან ხშირად) ნაწარმოები იდეოლოგიურად მიუღებელი, სავსებით გამართლებული იყვეს მხატვრულად, ან და პირიქით—იდეოლოგიურად მისაღები წარმოადგენდეს მხატვრულის მხრივ სიმახინჯეს. მაგრამ აქ როგორც პირველს, ისე მეორე შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მხატვრულ მოვლენასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ჩვენის აზრით მთლიანობაა მხატვრული ხერხების და მასში მოცემულ საზოგადოებრივ იდეის.

ყოველ ნაწარმოებში საზოგადოებრივი იდეა მხატვრულადაა მოცემული. ამ მხატვრული ხერხებით ხდება ავტორის მკითხველთან დაკავშირება. ამ მხრივ ფორმალურ ამოცანებს შემოქმედებაში განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს. რასაკვირველია, მხატვრულ ფაქტში ფორმა და შინაარსი ორგანიულ გაერთიანებას წარმოადგენ; აქ არ შეიძლება შინაარსი „სჭარბობდეს“ ფორმას, ან და ფორმა ვითარდებოდეს შინაარსის ხარჯზე: ფორმა და შინაარსი (საზოგადოებრივი იდეა) მხატვრულ ნაწარმოებში თანასწორ ღირებული მოვლენები არიან. ამდენად აბსოლიუტურად შემცდარია შეხედულება, რომელიც ხელოვნებას განსაზღვრავს, როგორც სტილისტიურ ხერხების ჯამს (ყოველი ჯურის ფორმალისტები) და აგრეთვე ის მოსაზრებაც, რომელიც ხელოვნურად უპირდაპირებს ერთმანეთს ფორმას და შინაარს, რაიც გამოიხატება შინაარსის პრიმატის (უპირატესობის) აღიარებაში. (ამაში განსაკუთრებით დახელოვნდენ ჟურნალისტები, „На посту“-დან და აგრეთვე ზოგი უნიჭო „პოეტი“). მხატვრული ნაწარმოები, როგორც ყოველი დარგი იდეოლოგიისა საბოლოო ანგარიშში ქვეყნის საწარმოო ძალთა მდგომარეობით განისაზღვრება: ყოველ მხატვრულ ფაქტში განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასის სულისკვეთებაა მოცემული, ეს სულისკვეთება, ეს ფსიქოლოგია, იმ ეკონომიური მდგომარეობით აიხსნება, რომელსაც განიცდის ესა თუ ის კლასი, ხოლო ეკონომიურ ურთიერთობის ყოველ სახეს ლი შინაარსი ახალ ფორმას მოითხოვს, ხოლო ახალი ფორმები იმიტომაა საჭირო, რომ განვითარებული შინაარსი ვერ თავსდებოდა ძველს ფორმებში, ძველს ფორმებში ვერ თავსდება იმიტომ, რომ შინაარსი განვითარდა, წინ წავიდა, ახალი მომენტებით დაიტვირთა და სხვ. ასეთ პირობებში შეუძლებელია იმის თქმა: ფორმა სჭარბობს შინაარს, თუ პირიქით, შინაარსი ფორმას. რა არის ფორმა მხატვრულ შემოქმედებაში? ეს იგივე შინაარსია მხატვრულ სიმაღლემდე აყვანილი. სრულიად მართალია ერთი ავტორი, როდესაც ლაპარაკობს: „Форма это—содержание, возведенное в степень искусства“.

ვიმეორებთ: მხატვრულ ფაქტში მოცემულია ორგანიული გამთლიანება ფორმისა და შინაარსის; მათი გაყოფა ხდება მხოლოდ თეორეტიული მოსაზრებით: რომ შეფასებულ იქნას ნაწარმოები, როგორც იდეოლოგიური, ისე მხატვრული მხრით.

საბჭოთა ხელისუფლების სამხატვრო პოლიტიკის ხელმძღვანელი ა. ლუნაჩარსკი ხელოვნების ყოველი დარგის განსაკუთრებულ ბუნებას ფორმალურ ამოცანებში ხედავს. ამ ამოცანებისათვის გვერდის ახვევას ან და მათთვის მეორე ხარისხოვან როლის მინიჭებას ა. ლუნაჩარსკი სთვლის ბარბაროსობად და დაცემად (იხ. მისი სტატია ვილ. გაუზენშტაინის შესახებ აკადემიის ჟურნალ „Искусство“-ში). გ. ვ. პლეხანოვიც, რომელიც ითვლება მარქსისტულ ესტეტიკის სულის ჩამდგმელად, ასეთივე აზრისაა. „კრიტიკის პირველი ამოცანა, სწერს პლეხანოვი, მდგომარეობს იმაში, რომ მან იდეა მხატვრული ნაწარმოებისა ხელოვნების ენიდან უნდა გადასთარგმნოს სოციოლოგიის ენაზე, რომ იპოვოს ის, რასაც ეწოდება მოცემულ ლიტერატურულ მოვლენის სოციოლოგიური ექვივალენტი“. „მაგრამ კრიტიკა ჰღალატობს თავის-თავს, თუ ფიქრობს, რომ საზოგადოებრივი ექვივალენტის პოვნით მან ამოსწურა თავისი ამოცანა. მას უნდა ახსოვდეს კარგად, რომ სოციოლოგიამ ამ შემთხვევაში კი არ უნდა ჩაუკეტოს კარები ესთეტიკას, არამედ პირიქით, ფართოდ გაუღოს ისინი, ვინაიდან კრიტიკის მეორე ამოცანას შეადგენს ესთეტიური შეფასება მოცემული ნაწარმოების“ („За 20 лет“, ხაზი ყველგან ავტორისაა).

„კანტემირის სატირებში მოცემულ აზრებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა (მაგ., აზრები აღზრდის შესახებ), მაგრამ ფორმა, რომელშიც მოცემულია ეს აზრები, დღეს ისეთი ძველია, რომ მათი წაკითხვა დიდის ძალდატანებით თუ შეიძლება“. (ხაზი ჩემია. შ. დ.).

მხატვრულ ნაწარმოებს იმდენად შეუძლია ადამიანის იდეური დაპყრობა, რამდენად მასში მოცემული საზოგადოებრივი იდეა გამოჰხატავს წინმსვლელობისა და ახალი კულტურის მატარებელ კლასის სულისკვეთებას და აგრეთვე, თუ ეს იდეა ნამდვილ მხატვრული ხერხებითაა მოცემული ლიტერატურულ ნაწარმოებში. აქედან ცხადია, თუ რა დიდი საზოგადოებრივი ფაქტის როლის შესრულება შეუძლია ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს მასების იდეურად აღზრდის საქმეში.

ისტორიული პროლეტარული მწერლობა მოწოდებულია დაიპყროს ჰეგემონია მწერლობის სფეროში. როდის შესძლებს ამას პროლეტარული მწერლობა? არ იქნება წინასწარმეტყველება, თუ ვიტყვით, რომ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავის შემოქმედებას პროლეტარული მწერლები მხატვრულ სიმაღლემდე აიყვანენ. თუ პროლეტარულ მწერლობამ ვერ მოუპოვა თავის-თავს მხატვრული გამართლება (რადგანაც იდეოლოგიურად ის უკვე გამართლებულია), ის ვერ გასცდება იმ საფეხურს, რომელზედაც ახლა იმყოფება, და ლაპარაკი მაშინ ჰეგემონიის მოპოვებაზე უნიადაგო მსჯელობა იქნება).

სისუსტე პროლეტ. მწერლობის, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის, ფორმალურ ამოცანებშია. მისი ლიტერატურული მრწამსი მხატვრული რეალიზმი უნდა იქნეს. მხატვრული რეალიზმი ნიშნავს სინამდვილის მხატვრულ ძლევას, ანუ სინამდვილის აშენებას შემოქმედებაში. აქედან დებულება: სინამდვილე უნდა განვიცადოთ და შევიმცნოთ არა მარტო იდეით, არამედ ფორმითაც; ფორმებით შემეცნება სინამდვილის, ნიშნავს მის განცდას ბგერებში. აქედან ბგერითი ელემენტმა სიტყვაში უნდა ჰპოვოს ორგანიული კავშირი სიტყვის აზრთან; თავის-თავად ცხადია, ასეთი კავშირი უფრო და თითქმის ყოველთვის სიტყვიერ მასალის განწესრიგებაში ყალიბდება.

რუსულ პოეზიაში ამ მიმართულებით, ე. ი. ბგერებით სინამდვილის შეცნობის მხრივ შემოქმედებაში დიდი მუშაობა სწარმოებს. (მაგ. მაიაკოვსკი და ზოგი მემარცხენე პოეტები. ქართველ პროლეტარულ მწერლებში, განსაკუთრებით მის ახალგაზრდა ნაწილში, აღსანიშნავია ნიჭიერი პოეტი მაშაშვილი—„დარიალი“, ნაწილობრივ ლორთქიფანიძეც). ძველ ქართულ მწერლობაშიც აქცევდენ ყურადღებას ბგერითი მომენტებს. ამ მხრივ კლასიკურია ბესიკი:

„ტანო ტატანო, გულწამტანო უცხოთ მარებო,
ზილფო, კაკებო, მომკლავებო, ვერსაკარებო,
წარბ, წამწამ-თვალნო მისათვალნო, შემაზარებო,
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო,
პირო მთვარეო, მომიგონე მზისა დარებო...“

ან და:

„თვალთა ნარგისი დამდაგისი შეგშვენის მწველად.
ყელსა, ბროლებსა უტოლებსა გველი გვევა მცველად,
გესხნეს ხალები, მაკრძალები ამარტის ველად...“

და სხვა.

ბესიკის ამ შემოქმედებაში ბგერების სახით განიცდით თავისებურ მუსიკას, თავისებურ სიმფონიას, რის გამოც ის მხატვრულის მხრივ აუცილებლად შედევრს წარმოადგენს. საბოლოო ანგარიშში პოეზია უნდა სცდილობდეს შექმნას მუსიკალური რითმი თავის შემოქმედებაში.

როგორც აღვნიშნეთ, პროლეტარული მწერლობა მოისუსტებს ფორმის მხრივ. მან ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო თავისი საკუთარი ლიტერატურული ორიენტაციის შექმნა. მაშასადამე, მან აი ამ მომენტებს უნდა მიაპყროს განსაკუთრებული გულისყური, რადგანაც ეს მხარე პროლეტარულ შემოქმედების, ვიმეორებ, სრულიად დაუმუშავებელია.

მეტად საყურადღებოა და განსაკუთრებული ღირებულების მქონე ცეკას რეზოლიუციის ის ადგილი, სადაც ლაპარაკია სწორედ აი იმ სუსტ მხარეებზე, „თუ პროლეტარიატის ხელში არსებობს დღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური შინაარსის შეუცდომელი კრიტერიუმი ყოველგვარ ლიტერატურულ ნაწარმოებისათვის, მას არ მოუპოვებია ასეთივე განსაზღვრული პასუხები ყველა საკითხზე სამხატვრო ფორმების შესახებ“. დასკვნა ნათელია: ეს ამოცანა ძლეულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ პროლეტარული მწერლები თავის შემოქმედებაში განსაკუთრებულ გულისყურს მიაქცევენ ფორმალურ ამოცანებს, ე. ი. იმ საკითხებს, რომელნიც სრულიად დაუმუშავებელია და რომელზედაც პროლეტარიატს გარკვეული პასუხი არ მოეპოვება.

საუბედუროდ, ცეკას რეზოლიუციის ამ ადგილს სავსებით ივიწყებენ ზოგი მწერლები და კრიტიკოსები. ჩვენში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და თითქმის რეკორდიც აიღეს ამ დებულების (ცეკას რეზოლიუციის დებულების) განიავებით ნოე ზომლეთელმა თავის შემოქმედებაში და პ. ქიქოძემ თავის კრიტიკულ ნაწერებში.

ფორმალური ამოცანების დამუშავება სრულიადაც არ ნიშნავს თემატიკის საკითხების მიჩქმალვას. როგორია ამ მხრივ მდგომარეობა პროლეტარულ მწერლობაში?

შ. დუდუჩავა.

სასოფლო მეურნეობა

მეაბრეშუმეობა

საზ. „აბრეშუმის“ ხელშეკრულება „შელკოტრესტთან“

საზ-ბა „აბრეშუმმა“ ხელშეკრულება დასდო „შელკოტრესტთან“ 20.000 ფუთი აბრეშუმის პარკის დამზადების შესახებ. დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსი ტრესტისაგან უკვე მიღებულია.

აბრეშუმის პარკის დამზადება

საქართველოს მეაბრეშუმეებს მიმდინარე წელში დაურიგდა 100.000 კოლოფზე მეტი ადგილობრივ და საზღვარ გარეთ დამზადებული აბრეშუმის თესლი.

ცუდი ამინდების გამო, ჭიების კვება დასავლეთ საქართველოში შეფერხდა.

ცუდი ამინდების გამო აბრეშუმის პარკის მოგროვება წრეულს შეიძლება 2—3 კვირით დაგვიანდეს.

პარკის ფასები საბოლოოდ ჯერ კიდევ არაა გამორკვეული, მაგრამ მოსალოდნელია მისი აწევა შარშანდელთან შედარებით.

ჩვენი აბრეშუმის პარკი იტალიაში

იტალიაში საქართველოს სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ მილანის კომერციულ ბანკთან დადებულ ხელშეკრულების შესახებ საზ-ბა „აბრეშუმი“-ს გამგეობაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს:

„ხელშეკრულება ითვალისწინებს მიმდინარე წლის მოსავლის 15.000 ფუთ მშრალ აბრეშუმის პარკის გატანას იტალიაში. აბრეშუმის პარკის დასამზადებლად საზ. „აბრეშუმს“ ეძლევა მილანის ბანკისაგან 7½ გირ. სტერლ. ყოველ ფუთზე.

უკვე მიღებულია სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორის საშუალებით ავანსი 60.000 გირვანქა სტერლინგი.

ქართული აბრეშუმის პარკის საზღვარგარეთის ბაზარზე გასვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ იტალიაში და საფრანგეთში აბრეშუმის პარკის ცუდი მოსავალია მოსალოდნელი.

ბამბის საწმენდი ქარხნები

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტის ცნობებით, ამჟამად სწარმოებს ბამბის საწმენდი ძველი ქარხნების რემონტი. სარემონტო და სამშენებლო მასალებით ქარხნები უზრუნველყოფილია.

დაიწყო დიზელების და ჰიდრო-პრესების დადგმა აზერბეიჯანის ბამბის საწმენდ ქარხნებში.

ამჟამად სწარმოებს რკინა-ბეტონის შენობის აგება ევლახის ბამბის საწმენდ ქარხნისათვის. ქარხანასთან აგებულია რკინა-ბეტონის ფარდული, რომელიც დაიტევს 20.000 ფუთ ნედლ ბამბას. სწარმოებს ორი შენობის აგება მუშა-მოსამსახურეებისათვის.

მიწათმოწყობა

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის მიწად-მოწყობის განყოფილებამ საქართველოს სხვადასხვა მაზრებში დაგზავნილ მიწისმზომელების საშუალებით აპრილის განმავლობაში ჩაატარა შემდეგი მთავარი სამუშაოები: სულ ამ ხნის განმავლობაში მიწად-მოწყობა დამთავრდა 90.116 დესეტინა მიწაზე, გაიმიჯნა 7.746 ნაკვეთი მიწა, შემოფარგლული და დასამანებული იქნა სხვადასხვა სოფლების საზღვრები 280 ნახ. ვერსის სიგრძეზე. ამავე ხნის განმავლობაში ჩამორთმეული იქნა ნორმაზე ზევით 442 დესეტინა. ნორმაში დატოვებული იქნა 1781 დესეტინა.

ამასთან ერთად სწარმოებდა სახელმწიფო ფონდში გადარიცხულ მიწების დანაწილება, რის დროსაც უმიწაწყლო გლეხებში განაწილებული იქნა 536 დესეტინა, სოფლებს სათიბად გადაეცათ 413 დესეტინა, ხოლო კულტურულ საჭიროებისათვის გადაირიცხა 20 დესეტინა.

ახალშენების მოსაწყობათ შემოფარგლული იქნა 12 ნახ. დესეტინაზე მიწა, რომელიც გამიჯნული და დასამანებული იქნა.

ამას გარდა სავსებით მოწყობილია 2 ახალშენი, რომლებზედაც უკვე დასახლებულნი არიან უმიწაწყლო გლეხები.

აგრეთვე გამორკვეული იქნა საზამთრო საძოვრების სივრცე 124.014 დესეტინის მანძილზე.

მებოსტნეობა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა 1926—1930 წლისათვის.

ამ გეგმის მიხედვით, მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებისათვის ხუთი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 3.299.043 მანეთი. აქედან სანერგეების მოსაწყობად 854.000 მანეთი, პერსონალის შესანახავად 77.800 მანეთი, გაუმჯობესებული თესლის შესაძენად და ბოსტნების მოსაწყობად 40.000 მანეთი, კონსერვების ფაბრიკის და ხილ-ბოსტნეულის საშრობის მოსაწყობათ—180.000 მანეთი, საბრუნავი თანხა კონსერვების ფაბრიკისა და საშრობი ფარდულებისათვის—900.000 მანეთი და ხილის შესანახავი საწყობის მოსაწყობად—[illegible] მანეთი.

მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებისათვის საჭირო საერთო თანხიდან 20.000 მანეთი გაღებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 311.883 მანეთი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, 1.887.840 მანეთი გრძელვადიანი კრედიტის და 1.079.320 მანეთი მოკლე ვადიანი კრედიტის სახით.

ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებულ ღონისძიებების გატარება დაიწყება მომავალ საბიუჯეტო წლიდან; ცალკე წლების მიხედვით საერთო თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: 1926 წელში საჭირო იქნება 440.843 მანეთი, 1927 წელში—759.700 მანეთი, 1928 წელში—489.800 მანეთი, 1929 წელში—724.600 მანეთი და 1930 წელში—6750.100 მანეთი.

ავიაცია

ცუდი ამინდების გამო აეროპლანი „დორნიე-კომეტა“ თბილისიდან ბაქოში არ გადაფრენილა. როგორც კი ამინდი გაუმჯობესდება, მიმოსვლა განახლდება.

ივნისის ბოლოდან განზრახულია ყოველდღიური მიმოსვლა.

უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სამმართველო [illegible] აეროპლანს.

ოსმალეთის სპორტსმენების ჩამოსვლა

ოსმალეთის სპორტსმენები, რომელთაც მაისის დასაწყისში ელოდენ, ივნისის პირველ რიცხვებში ჩამოვლენ.

ახალი თბილისი

ქალაქთა კეთილმოწყობის საკითხების ცნობილმა სპეციალისტმა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა **ივანიცკიმ** თბილისის აღმასკომში გამოგზავნა თავისი დასკვნა ქალაქ თბილისის და მისი ახლობელი რაიონების მომავალი დაგეგმვის შესახებ.

თბილისის დაგეგმვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქალაქის გაფართოების პერსპექტივა 50 წლის განმავლობაში. პროფ. ივანიცკის მიერ წამოყენებული საშუალებანი ეხებიან ქალაქის გარე უბნების, ახლობელი სოფლების, ბოტანიკურ ბაღს იქით მდებარე ბაღების და სხ. გაფართოებას. თბილისის რაციონალურ დაგეგმვის ერთი ძირითადი ამოცანათაგანი მდგომარეობს არსებულ მაგისტრალების გაფართოებაში, მდ. მტკვარზე ახალი ხიდების და გადასავლელების აგებაში და მტკვრის ნაპირის გასწვრივ სანაპიროების მოწყობაში. გეგმით გათვალისწინებულია მადათოვის კუნძულის რაციონალური გამოყენება, მტკვრის მარჯვენა მხარის გაფართოება და სხვ.

პროფ. ივანიცკი აღნიშნავს აღმასკომის მიერ წამოყენებულ ქალაქის კეთილ-მოწყობის მთელი რიგი ზომების მიზანშეწონილობას, კერძოდ გოგირდის წყაროების რაიონში საკურორტო ქალაქის მოწყობას, მტკვრის გასწვრივ სოფლების აშენებას, შეძლებისდაგვარად ქალაქის სამრეწველო რაიონების [illegible] და სხ.

რკინის გზებზე

ვაგონების დამტვრევა

25 მაისს დაახლოვებით ღამის 3 საათზე სადგ. განჯაში აწარმოებდენ ვაგონების მანევრებს. მატარებლის მოძრაობის დროს ორთქლმავალს მოხსნეს ხუთი ვაგონი. თავდაღმართიდან დაშვების დროს სამი ვაგონი გადავარდა და დაიმტვრა, ხოლო ორი ასცდა ლიანდაგს და მცირედ დაზიანდა.

ამ შემთხვევის მიზეზს იკვლევენ.

აცილებული დაჯახება

25 მაისს, ღამის 3 საათზე და 25 წუთზე სადგ. ნავთლუღში საბარგო მატარებელი № 191 მიღებულ იქნა მე-9 ხაზზე. ამავე ხაზზე შემოდიოდა ვაზიანიდან მატ. № 725. მიღებულ ზომებით მატარებლები დაყენებულ იქნენ 60 საჟენის მანძილზე ერთი-მეორიდან.

უბედურ შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე არ დაზიანებულან არც ხაზი და არც მატარებლები.

ამ.-კავკ. რკინისგზების ელექტროფიკაცია

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის მოქმედების დაწყებასთან ერთად ამ.-კავკ. რკინის გზების სამმართველოს ყველა თავის მსხვილ სახელოსნოები და დეპო ზაჰესის ელექტრო-ენერგიაზე გადაყავს.

ელექტროფიკაციის გატარების შემდეგ ყველა მატარებლები ელექტრონის ძალით იმოძრავებენ.

კალია

თბილისის და ბორჩალოს მაზრებში

მიწათმოქმედების კომისარიატთან- არსებულ მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს ცნობით თბილისის და ბორჩალოს მაზრებში—თელეთის, ასურეთის, ყარაიაზის და სარვანის რაიონებში გაჩნდა კალია. მარტო თბილისის მაზრაში კალია მოდებულია 7 ათას დესეტინის სივრცეზე. დამატებით მიღებულ ცნობებით თელეთის და სარვანის რაიონებში კალია მოედო სიმინდის და ბამბის ნათესებს, რის გამო აღნიშნულ ნათესებს მოელით განადგურება, თუ ზომები თავის დროზე არ იქნა მიღებული.

სიღნაღის მაზრაში

უკანასკნელად ტელეგრაფით მიღებულ ცნობებით კალია გაჩენილა სიღნაღის მაზრაშიაც. ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, თუ სახელდობრ, რომელ რაიონშია მოდებული კალია.

კალიას ჯიში

როგორც ირკვევა კალია არის ორი ჯიშის: ერთი იტალიური „პრუსი" და მეორე მაროკოს ჯიშის „კაბულკა".

ბრძოლა კალიასთან

მავნებლებთან ბრძოლის ბიურო შეუდგა სწრაფოდ განსაკუთრებულ რაზმების მოწყობას აღნიშნულ მაზრებში დასაგზავნად კალიასთან ბრძოლის მიზნით.

სასამართლო

მკვლელობა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **გლადკოვის** თავმჯდომარეობით დაიწყო **მურატ ბაგირ-ოღლის** და **გასპაროვის** საქმე.

მურატ ბაგირ-ოღლის და გასპაროვს ბრალდებათ მაშადი ალი-ოღლის მოკვლა.

1922 წ. ქალაქის სასაკლაოს დარაჯობის დროს ბრალდებულებმა მოჰკლეს გზათ გამვლელი მაშადი ალი-ოღლი. ამის შემდეგ მკვლელები მიიმალენ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ისინი დაპატიმრებული იქნენ.

ბრალს სდებს პროკურორი ლევან ლენტი, ბრალდებულებს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ამირაღოვი.

სასამართლოს წინაშე ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ მაშადი ალი-ოღლი მოჰკლეს იმის გამო, რომ ქურდი ეგონათ.

სასამართლოს კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ ალი-ოღლის ჰქონდა დიდძალი თანხა ბონებით.

ზოგიერთი მოწმეები გამოსთქვამენ იმ აზრს, რომ შესაძლებელია ბრალდებულებმა მკვლელობა ჩაიდინეს დაზარალებულის გაძარცვის მიზნით.

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს გამოძიება დასრულებულია. შემდეგ გაიმართა მხარეების კამათი.

სასამართლო გადავიდა განაჩენის გამოსატანად.

მოქ. ვეზირიშვილის საქმე

ოთხშაბათს, 26 მაისს, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **შურკაძის** თავმჯდომარეობით დაიწყო მოქალაქე **ვეზირიშვილის** საქმის გარჩევა.

ვეზირიშვილს ბრალათ ედება სამგზავრო ბილეთების ზედმეტ ფასებში გაყიდვა სად. რაიონის უფროსის თანაშემწეთ ყოფნის დროს.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავეთ და დასძინა, რომ ეს განძრახ შეთხზეს იმ პირებმა, რომლებიც წინეთ დავაჯარიმე სამგზავრო წესების დარღვევისათვის.

სასამართლომ დაჰკითხა 7 მოწმე, რომელთაც დაადასტურა ის გარემოება, რომ ბრალდებული 1 მან. და 30 კაპ. ბილეთს ჰყიდდა 2 მან. და 30 კაპ.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

4.695 მან. და 27 კაპ. მითვისება

წინასწარი გამოძიება ალექსანდრე ვაშაკიძის საქმეზე დასრულდა. მას ბრალათ ედება—4.695 მან. და 27 კაპ. სახაზინო თანხების მითვისება და გაფლანგვა თბილისის შემოსავალ-გასავლის სალაროს გამგეთ ყოფნის დროს.

წინასწარ გამოძიებისას ბრალდებულმა [illegible] რომ აღნიშნული თანხა კი არ მიმითვისებია, არამედ დავკარგეო. ამ საქმის გამო წარმოებულმა გამოძიებამ ეს გარემოება არ დაადასტურა.

გარდა ამისა ბრალდებულს სალაროს საჭიროებისათვის დაუხარჯავს 495 მან. და 79 კაპ. რისი უფლება მას არ ჰქონდა. აგრეთვე თანამშრომლებზე ჯამაგირის მოტების სახით გაუცია 1000 მანეთამდე.

საქმე გასარჩევად გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

ქრონიკა

ამხ. ლაშევიჩის გამგზავრება

ს. ს. რ. კ-ის სამხ.-რევ. საბჭოს თავმჯდომარის და სამხედრო-საზღვაო სახ. კომისარის მოადგილე ამხ. **ლაშევიჩი** 26 მაისს, დილით ჩქარი მატარებლით გაემგზავრა მოსკოვში.

ამხ. ლაშევიჩთან ერთად გაემგზავრა თბილისში მყოფი არმიის პოლიტსამმართველოს წარმომადგენელი ამხ. **ზორინი.**

ტრავმატიზმთან ბრძოლა.

წარმოება - დაწესებულებებში უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით დაარსდა ე. წ. ტრავმატიზმთან მებრძოლი ცენტრალური კომისია, რომელშიაც შედიან შრომის სახ. კომისარი, შრომის დაცვის განყოფილების გამგე. შრომის უფროსი ტეხნიკური ინსტრუქტორი, სოც. დაზღვევის, ს. მ. უ. ს., ს. პ. კ. ს. და ჯანსახკომის წარმომადგენლები.

ქუჩების გაწმენდა

აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება უკვე შეუდგა ნიაღვრისაგან მოსილულ ქუჩების გასუფთავებას. უკვე გაასუფთავეს ფეოდოსიევის ქუჩა და სწარმოებს მუშაობა საბჭოთა ქუჩის (ყოფ. ჩერქეზიშვილის) გასასუფთავებლათ. ნაძალადევის უბანში დროებით შეჩერებული ტრამვაის მიმოსვლა, (საბჭოთა ქუჩის ბოლოს) აღდგენილია. ყველა ამ ქუჩებზე გუშინ სწარმოებდა ჩამოსალული ხრეშის გადატანა.

მოსკოვის ქუჩის გასაწმენდათ ჯერ არ დაწყებულა მუშაობა, რადგანაც იქ ჯერ კიდევ მოდის წყალი.

თბ. აღმასკომში

— **ტრამვაის სახელოსნოების გადაკეთება.** ტრამვაის დირექციამ შეიმუშავა ტრამვაის სახელოსნოების გადასაკეთებელი გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვით ხარჯებისათვის საჭირო იქნება 80.000 მან.

— **თემაღმასკომების თავმჯდომარეთა** თათბირის დადგენილებით თემსაბჭოებმა თავიანთი მუშაობის ანგარიშები უნდა ჩააბარონ ამრჩევლებს 3 თვეში ერთხელ.

— **სანიტარული კომისიები.** მაზრაში სისუფთავის დასაცავად დაარსდა სანიტარული კომისიები.

— **კომუნალური ბანკის** ძირითადი თანხა განზრახულია გადიდებული იქნას 3 მილიონამდე.

ფინანსთა სახ. კომისარიატში.

— **სავაჭრო წიგნები.** ამიერ-კავკასიის ფინსახკომმა წინადადება მისცა ყველა თავის ქვემდებარე განყოფილებებს მტკიცეთ გაატარონ სავაჭრო დაწესებულებებში სავაჭრო წიგნების შემოღების შესახებ გამოცემული დადგენილება.

— **საღერბო მარკები.** გამოვიდა ახალი საღერბო მარკები და აგრეთვე 25 მან. სასამართლო-საგადასახადო მარკები.

წითელ-ჯვარში

— **საექიმო დახმარება.** წითელი ჯვრის საექიმო • სასანიტარო დაწესებულებებმა 1924 წ. უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინეს 197 ათას სულს.

— **ბრძოლა მალიარიასთან.** ციებ-ცხელებასთან ბრძოლის მიზნით უფასოთ გაცემული იქნა 150 კილო ქინა-ქინა.

— **საექიმო-სასანიტარო** განყოფილების გასაძლიერებლათ წელს გადადებულია 201.338 მან.

— **სანიტარული ტრანსპორტი.** წითელმა ჯვარმა გადასწყვიტა შეიძინოს სანიტარული ტრანსპორტების გასაძლიერებლად 8 სანიტ-ავტომობილი.

გლეხთა ცენტრალურ სახლში

— **გლეხთა ცენტრალურ** სახლთან არსებულ თავშესაფარში დაარსებიდან (1925 წ. 7 აპრ.) დღემდე გაიარა 12,699 გლეხმა.

— **საექიმო დახმარება.** სახლთან არსებულ ამბულატორიიდან და აფთიაქიდან პირველი საექიმო უფასო დახმარება გასულ წელს აღმოუჩინა 325 კაცს.

— **შემოსავალ-გასავალი.** გლეხთა ცენტრალურ სახლს გასულ წელს შემოუვიდა 73.402 მ. ამავე ხნის განმავლობაში დახარჯა—73.180 მან.

— **გლეხკომების გადარჩევა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა ინსტრუქციები გლეხკომის გადასარჩევ კამპანიის ჩასატარებლად. გლეხკომების გადარჩევა მთელ რესპუბლიკაში დაიწყება 1 ივნისიდან.

შრომის კომისარიატში

— **მომჭირნეობის რეჟიმის** გასატარებლად შრომის კომისარიატში დაარსდა კომისია ამხ. ვოგინაშვილის, ქავთარაძის და ქანიშვილის შემადგენლობით.

— **შრომის ფიზიოლოგიის** შემსწავლელ ლაბორატორიის მოსაწყობათ შრომის სახ. კომისარიატმა დამატებით გადასდო 1000 მან.

— **ჯანმრთელობის შემოწმება.** შრ. კომისარიატმა დაადგინა მოხდეს ტრამვაის ვატმანების ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება, მათთვის საჭირო დახმარების გასაწევად.

მიწად-მოქ. სახ. კომისარიატში

— **სახ.-სამ. ბანკის საბჭოში** მუდმივ წევრად მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა დანიშნა თავის წარმომადგენელი.

— **სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე** მიწად-მოქ. კომისარიატი აწყობს საკუთარ კუთხეს.

— **მიწადმოწყობა.** მიწად-მოწყობის განყოფილებამ შეადგინა მიწადმოწყობის 10 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

— **ახალციხის მაზრაში** საქონლის ჭირთან ბრძოლის ხელმძღვანელობის გასაწევად მიწად-მოქ. კომისარიატმა მიავლინა ექიმი ბეითალი მეტრეველი.

— **დოღი.** 23 მაისს დანიშნული დოღი. რომელიც ვერ შესდგა უამინდობის გამო, გაიმართება 30 მაისს, იმავე პროგრამით.

კრებები და მოხსენებები

— **ანგარიშის მუშაკთა ბიუროს მოხსენება.** კვირას, 30 მაისს, დილის 11 სათზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პატარა დარბაზში (მუშათა სასახლე) საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირთან არსებული „ანგარიშის მუშაკთა გაერთიანების ბიურო აწყობს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საანგარიშო თეორიები და მათი მნიშვნელობა პრაქტიკულ ცხოვრებაში. მოწვეულნი არიან ყველა საანგარიშო დარგში მომუშავე ამხანაგები. მოხსენებას გააკეთებს ამხ. კ. ვიგინეიშვილი ქართულ ენაზე.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** დღეს, საღამოს 8 საათზე, შესდგება საზოგადოების მორიგი კრება. დღის წესრიგი: **პროფ. თიკანაძე**—„რენტგენის სხივების გამოყენება მეანობაში"; **ექ. გელოვანი**—„შემთხვევა თირკმლის თავისებური ანომალიისა" და **ექ. ცეცხლაძე**—„რამოდენიმე ცდა ცხოველების დიდბადექონზე" პრეპარატების დემონსტრაციით.

— **დოც. გ. ნიკოლაძის მოხსენება.** კვირას, 30 მაისს, სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში დოც. გ. ნიკოლაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოების ექსპედიციის ასვლა იალბუზზე". მოხსენება დასურათებული იქნება ექსპედიციის მიერ გადაღებული მრავალი სურათების დიაპოზიტივებით. ნაჩვენები იქნება კავკასიონის ქედის პანორამები, მთები, ყინვრები, ასვლის მომენტები და სხვა. შემოსავალი მოხმარდება სვანეთ-იალბუზის ექსპედიციის გამოფენის მოწყობას.

სხვადასხვა

— **31 მაისს** თბილისში გაიხსნება ა.-კავკასიის სანიტარულ-ეპიდემიური მუშაკთა ყრილობა.

— **ამიერ-კავკასიის სატარიფო** თათბირი გადაიდო ივნისისათვის.

— **უმაღლეს სამ. საბჭოს** ტყავის ქარხნებმა გადაამუშავეს გასულ თვეში 5,643 მსხვილი და 2.698 წვრილფეხა საქონლის ტყავი.

— **სამეანო გინეკოლოგიური განყ. დახურვა.** 1 ივნისიდან ენკენისთვის 1-მდე შეკეთების გამო იხურება სამეანო-გინეკოლოგიურ ინსტიტუტის სამეანო გინეკოლოგიური განყოფილება (მესამე სართული).

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 25 მაისს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს იუზბაშევი, იახშიბეგოვი და ბაირამ ოღლი.

— ამავე დღეს ნაქურდალი ნივთებით შეიპყრეს ვართან ყაზაროვი, ნივთები ჩაბარდა პატრონს კალაშნიკოვს.

— **ქურდი ქალი.** შეპყრეს ქურდობისათვის საფო მუსტოევი.

— **ქურდობა.** 25 მაისს ტურგენევის ქ. 5 გაქურდეს ანნა ეგიაზაროვის ბინა. წაიღეს 2000 მან. ნივთები.

ნიაღვარის მსხვერპლი

4 გვამი

გუშინ ქალაქის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში მიღებული იქნა ცნობა, რომ მარტყოფის რაიონში, ფაშტრის ხევში იპოვეს ოთხი დამხრჩვალი გვამი.

გამოირკვა, რომ 23 მაისს გლეხები **ა. ძიძიშვილი, გ. ნიკოლაშვილი, შ. ცაგურიშვილი და ა. ფურცელაძე** მიდიოდენ ხევში; უეცრად მოვარდნილ ნიაღვრის გამო წყალმა ისე ჩქარა იწყო მატება, რომ გლეხებმა ვერ მოასწრეს ხევიდან ამოსვლა და დაიხრჩენ.

შრომის პირობების დარღვევისათვის

შრომის პირობების დარღვევისათვის დაწესებულება-წარმოებაზე დამსჯელ ტარიფის საფუძვლიანობის განსახილველად შრომის კომისარიატმა დაარსა კომისია ამხ. მორჩილაძის, გოგინაშვილის და ამიროვის შემადგენლობით. აგრეთვე კომისიაში მოწვეულნი არიან ს. პ. კ. ს. და ს. მ. უ. ს. წარმომადგენლები. კომისიას დაევალა პირველ რიგში შეუდგეს იმ წარმოება-დაწესებულებებზე დამსჯელ ტარიფის განხილვას, რომელიც იყო დადებული ხელშეკრულების გარეშე. აგრეთვე კომისიას დაევალა დამსჯელ ტარიფის გატარება შეუთანხმოს წარმოების ეკონომიურ მდგომარეობას მომჭირნეობის რეჟიმის მხედველობაში მიღების მიხედვით.

◆

ობსერვატორიის მუშაობა

საქართველოს გეოფიზიკურმა ობსერვატორიამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ გამოაცხოველა თავისი მუშაობა. წინეთ მუშაობის გაცხოველებას ხელს უშლიდა ობსერვატორიის სათანადო მოუწყობლობა. წელს კი საქმე შესამჩნევათ გამოკეთდა, ვინაიდან ობსერვატორიამ უკვე დაასრულა დიდი და მძლავრი რადიო-სადგურის მოწყობა, რომელიც ა.-კავკასიის უძლიერეს სადგურათ ითვლება ნავთლუღის რადიო-სადგურის შემდეგ. ამჟამად უკვე დამყარებულია რადიო-კავშირი ევროპისა და აზიის უდიდეს ობსერვატორიებთან. ობსერვატორია, მაგალითად, სისტემატიურათ ღებულობს ცნობებს ბუქარესტიდან, ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ობსერვატორიებიდან, ატლანტის ოკეანეს კუნძულებიდან და სანაპიროებიდან, ქაირიდან და სხ. საბჭოთა კავშირის შესახებ ობსერვატორია დღეში ორჯერ ღებულობს ცნობების სერიებს უშუალოთ „დეტსკოე სელოს" სადგურიდან. თვით საქართველოს პუნქტებიდან ჯერ-ჯერობით კავშირი დამყარებულია მხოლოთ ქალაქებთან.

◆

ხელოვნება

ცეკვის საღამო

ცეკვის საღამო, რომელიც პროლეტკულტის განყოფილების მასწავლებლებმა ორლოვსკაიამ და სტეპანოვამ გამართეს,— ხორეოგრაფიის დარგში სავსებით ახალი მოვლენაა. ორლოვსკაიამ და სტეპანოვამ ერთი წლის წინ დაამთავრეს აზარპეტიანის და ლისიციანის პლასტიკის ინსტიტუტი, მაგრამ მათ უკვე გვერდი აუხვიეს ამ ინსტიტუტის ხორეოგრაფიულ ხერხებს; მათი სწავლების მეთოდი იქითკენ არის მიმართული, რომ მთავარი ყურადღება ექცეოდეს სხეულის მიმოხვრას ცეკვის დროს. ამ გზით მათ თავის სკოლაში სხეულის თავისუფალი მიმოხვრა უმაღლეს წერტილზე აქვთ აყვანილი. ეს სკოლა სულ ერთი წელია, რაც მუშაობს, მაგრამ მიუხედავათ ამ მოკლე ხნისა მალე ზევრი მიღწევები აქვს ხორეოგრაფიის ამ დარგში. სანიმუშო ბალეტიდან დავინახეთ, რომ აღნიშნულ მასწავლებლებს დიდი მუშაობა გაუწევიათ. საღამოს პროგრამას უმთავრესად შეადგენდა მასწავლებლების ორლოვსკაიას და სტეპანოვას ცალკე გამოსვლები. ცალკე გამოსვლებიდან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მიმიკურმა სცენამ (შვეციის ცხოვრებიდან), ძალიან ლამაზია მხატვრული სურათი „ცეცხლის ალი" ორლოვსკაიას შესრულებით. აქ უტყუარად არის გადმოცემული ცეცხლის აელვარება და ჩაქრობა. კარგია პლასტიკა და მიმიკა, რომელიც სავსებით შეფარდებულია მუსიკასთან, ძალიან კარგად იყო შესრულებული სტეპანოვას და ორლოვსკაიას მიერ ლისტის „ტარანტელა", აგრეთვე ამერიკული ცეკვა „უან—სტეპ".

ჯგუფურ გამოსვლებს შორის უნდა აღინიშნოს ბავშვების მიერ შესრულებული ცეკვა რებიკოვის მუსიკით. კინო-სტუდიის № 3 კლასის მოწაფეების გამოსვლამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს [illegible], სემიღნოვი და სუტირინა.

ვ. ბ.

— **სომეხ-ხელოვანთა სახლში** 27 მაისს გაიმართება კონცერტი.

— **რუსთაველის თეატრში** დღეს მოსკოვის სატირის თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნება მეორედ „სიყვარულის გამო".

„არშინ-მალ-ალან". კვირას, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „არშინ-მალა-ლან".

— **კონსერვატორიის** ყველა ფაკულტეტზე გამოცდები დაიწყება 1 ივნისიდან და დამთავრდება 26 ივნისს.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორია ფრენის სისწრაფის საზღვარი.

ამჟამად ჰაეროპლანების ფრენის სისწრაფე 400 კილომეტრამდე აღწევს საათში. შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ფრენის სისწრაფე განუწყვეტლივ გაიზრდება?

ამტკიცებენ, რომ სისწრაფის განუწყვეტლივ ზრდა შეუძლებელიაო. კიდევ რამდენიმე ათეული კილომეტრი,—ამბობენ ტეხნიკები,—და ეს იქნება საზღვარი ჰაეროპლანების სისწრაფისათვის, ყოველ შემთხვევაში იმ ჰაეროპლანებისათვის, რომლებსაც მართავენ მფრინავები.

საქმე იმაშია, რომ არაჩვეულებრივად დიდი სისწრაფე შეუძლებლად ხდის ჰაეროპლანის მობრუნებას გზაში. ამერიკელმა მფრინავმა ვილიამსმა, როცა 380 კილომეტრის სისწრაფით მიფრინავდა, ერთბაშად მოაბრუნა ჰაეროპლანი და გული წაუვიდა, რამოდენიმე წუთის განმავლობაში უგრძნობლად იყო. კიდევ უფრო მეტი სისწრაფის პირობებში შესაძლებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი სისხლსადენი მილების გასკდომა. რაც შეეხება სიმაღლეს, მისი მაქსიმუმია,—ჟანგბადიანი აპარატებიც რომ მოიხმარონ,—45.000 ფუტი (თითქმის 7 ვერსი). ამაზე მეტ სიმაღლეზე მფრინავები სუსტდებიან, გრძნობას ჰკარგავენ და, შესაძლებელია, ჭკუაზეც შეირყენ.

მფრინავი ბომბა.

იტალიაში გამოიგონეს და გამოსცადეს მეტად ორიგინალური მფრინავი ბომბა. ბომბას ისვრიან ჰაეროპლანიდან, როცა ეს უკანასკნელი მტრის ზარბაზნებისათვის მიუწვდომელ მანძილზე იმყოფება. ბომბა მიფრინავს, ვარდება მტრის ბანაკში და სკდება. იწონის იგი 30 გირვანქას, სიგრძე 1½ მეტრს უდრის.



1500 მეტრის სიმაღლიდან ბომბა ხვდება ნიშანს, რომელიც ჰაეროპლანიდან 12 კილომეტრით არის დაშორებული.

თევზი დინამო-მანქანა.

ამერიკელმა მკვლევარმა **ბიბმა,** რომელიც გამოკვლევებს ახდენდა ე. წ. „სარგასის ზღვაში" (ატლანტის ოკეანეს ნაწილია) აღმოაჩინა სრულიად უცნობი ჯიშის თევზები. ეს თევზები ცხოვრობენ 5 კილომეტრის სიღრმეზე და ხედვის უნარს მოკლებული არიან. თვალების მაგიერ მათ აქვთ ფანარი, რომელიც ბურთისებურ დანამატს წარმოადგენს. დანამატი იმდენათ გრძელია, რომ თევზს შეუძლია საითაც უნდა, იქეთ გასწიოს, როგორც თათი. თავისი ფანარის წყალობით თევზები ადვილათ ამჩნევენ საკბილოს. ეს თევზი—დინამო-მანქანები—ძალიან დიდები არიან. ისინი იმდენ ელექტროენერგიას ამუშავებენ, რომ პატარა თევზებს კუდის ერთი დარტყმით ჰკლავენ.

ფილტვების ანთების მკურნალობა.

ამერიკელმა ექიმებმა **ფრიმენმა** და **გოპამა** აღმოაჩინეს ახალი საშუალება ფილტვების ანთების წინააღმდეგ. ეს საშუალება მდგომარეობს შემდეგში: სისხლსადენ მილებში (ვენაში) შეუშხაპუნებენ განსაკუთრებული ნივთიერების—ე. წ. „მერკიუროხრომ 220"-ის—ერთპროცენტ. ხსნილს. „მერკიუროხრომ 220" შესდგება ქიმიურად შეერთებულ სინდიყისაგან და ქრომიდან. ამ საშუალების მოქმედება იმაში მდგომარეობს, რომ ფილტვები მეტის რაოდენობით გამოყოფენ სითხეს, რომელიც ხელს უშლის ფილტვების ანთების მიკრობების გამრავლებას.

აღნიშნულმა ექიმებმა ეს საშუალება სცადეს 12 ავადმყოფზე. შეშხაპუნებიდან რამოდენიმე საათის გასვლის შემდეგ ავადმყოფ[illegible] მდგომარეობა შესამჩნევად გაუმ[illegible].

კინოთეატრი მოძრავი იატაკით.

ამერიკაში, ქ. ბუფფალოში,ააგეს მეტად ორიგინალური კონსტრუქციის კინო-თეატრი. თეატრის შენობა ისეა აგებული, რომ ერთი მისი კედელი იღება, როგორც ჭიშკარი. იატაკი დადგმულია ბორბლებზე, რომლებიც მოძრაობენ რელსებზე. ანტრაქტების დროს და სურათის ჩვენების გათავების შემდეგ, მაყურებლები [illegible]დან თავ-თავიანთ ადგილას, მაგრამ არა თეატრში, არამედ წმინდა ჰაერზე. ამისათვის ეკრანი იწევა მაღლა, კედელი იხსნება და იატაკი მაყურებლებით მიგორავს ბაღში.

პარტიული კალენდარი

შაბათს, 28 მაისს, დილის 10 საათზე მოწვეულია **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

შაბათს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში შესდგება **მიმღებ კომისიის სხდომა** და ამიტომ ქვემოხსენებულ ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა: ფირალოვი, ინაურა, ჟუკოვი, ენუქიძე ლ. და კვირიკაძე.

დღეს, 27 მაისს, საღ. 7 ს., დანიშნულია **ცეკას ბეჭდვითი სიტყვის კოლეგიის მორიგი სხდომა.**

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კახიანი, ასრიბეკოვი, მუშიშვილი, ბიბინეიშვილი, კიკნაძე, ტოროტაძე, საყვარელიძე, ჯაფარიძე, ძიგრაშვილი, ყუფარაძე, ყურულიშვილი, ჰელიძე, რუხაძე, ზომლეთელი, ანდღულაძე, პაპავა, რახმანი, ბზეკალავა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს; 27 მაისს, საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება **მეორე რაიონის მიმღებ კომისიის სხდომა.**

ავიაქიმის მეორე რაისაბჭო იტყობინება, რომ დღეს, 27 მაისს, საღამოს 7 საათზე, მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში (ლენინის კუთხე) მოწვეულია **ყველა მდივნების თათბირი** ავიაქიმის უჯრედების ბიუროებთან ერთად. ყველა მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ამხ. ბზიაშვილთან: კაკუშაძე ოლღა, პიანკოვი ივანე, ბაბაევი მამედ, ალექსანდრია ვ. დ., ლეჟავა ასლან, თენეიშვილი ვლადიმერ და დოლიძე გ. ს.

ქალაქის რაიკომის მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 27 მაისს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება **ქალთა ორგანიზატორების ქართული ჯგუფის მორიგი მეცადინეობა.**

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 27 მაისს, საღამოს სრულ 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში **შესდგება ქალაქის რაიკომის პლენუმი.**

პლენუმის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

დღეს, 27 მაისს, დღის 1½ საათზე, შესდგება საქ. ლენინელ კომკავშირის **თბილისის კომიტეტის საორგ. კოლეგიის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის საორგ. კოლეგიის წევრთა დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საარიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს 29 მაისს, საღამოს 6 საათზე, გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საარიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში: გაიაზოვი ადაიათ გაიაზის ძე, ლაფაჩაშვილი გიორგი გიორგის ძე, ბაქრაძე ესიკო, არუთინოვი არშაკ, ისოგულიანი არტაშეს, ოსიპოვი ივანე, ბაქაროვი სერგო, სპერანსკი გიორგი, პარაშკო ბიქტორი, ხარაზოვი გევორქი, პეტროსიანი არესტაკესი, სარქისოვი ტერენტი, ბარტყულაშვილი პანია, ციხიშვილი მარიამ, [illegible] ანნა, კუდინოვისა ეკატერინე, [illegible] ელენე, სარქისოვი ერვანდი, კუჯაევის მარიამი, აზგარიევი [illegible], მარტიროსოვი სარქის. ზოლგაშვილი ისიდორე, არაქელოვი სიმონ, მარქაროვი წყალობ, ბაგრატოვი ავეტის, ბურნაძე გიორგი, ბაკურაძე ვალერიან, პეტროსიანი ივანე, მარტიროსოვი სარქის, გორძეიანი მიხეილი, არუთინოვი ისააკი, ქანანოვი ანდრია, ბაციკაძე სერგო, კლიმოვისა მარიამი, ლარტაკიანი ლევაან, ხომერიკი ვასილი, დავლიანიძე ნიკოლოზ, თურქია ევტიმ, კვინტრაძე ალექსანდრე, ვართანოვი სონეკერი.

იურიდიული რჩევა [illegible]

კანონიერია თუ არა ასეთი ქორწინება და როგორ მოვიქცე

კითხვა

ვარ ქმრისაგან დატოვებული და ფაქტიურად განშორებული, მხოლოდ ოფიციალურად ეს განშორება არ მოგვიხდენია. მაქვს სასამართლოსაგან აღმასრულებელი ფურცელი, რომლის ძალით იგი ვალდებულია თვიურად ეძლია ჩემთვის 25 მანეთი, მაგრამ იგი დაითხოვეს სამსახურიდან ქურდობისათვის, რის შემდეგ ჩუმად მუშაობს სხვადასხვა ადგილას და შეირთო ცოლიც. გთხოვთ ახსნა-განმარტებას, ჰქონდა თუ არა მას უფლება ჩემთან ოფიციალურად გაუყრელად შეერთო ცოლი. სასამართლოს დადგენილების შეუსრულებლობისათვის როგორ მოვიქცე და ვის მივმართო.

უბედური ცოლი.

პასუხი

დეკრეტი № 28-ის მუხ. 70-ის თანახმად დაქორწინება არ შეუძლიან იმ პირთ, რომელთა ქორწინება უკვე არის აღნიშნული მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტში, ან რომელნიც იმყოფებიან ისეთ ქორწინებაში, რომელსაც აქვს კანონიერი ძალა და ასეთ ქორწინებისათვის პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით. აღმასრულებელი ფურცელი უნდა წარედგინოს ადმინისტრა[illegible]ულ ორგანოებს სისრულეში მოსაყვა-

კანონიერია თუ [illegible]

კითხვა

მთელი ერთი წელი დავდიოდი გაჭირვებული უბინობით. უკანასკნელად, როგორც იყო გამოვნახე ერთი ოთახი, რისთვისაც სახლის პატრონმა გადამახდევინა წინდაწინ „ოსტუპნოის" სახით 60 მანეთი. (ოთახში არავინ არ ცხოვრობდა) და რისთვისაც ხელწერილი არ მოუცია, არამედ დაისწრო მოწმეები. ამასთანავე ერთად გადამახდევინა 40 მანეთი ოთახის ქირა, რისიც ხელწერილი ჩამაბარა.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას, მაქვს თუ არა უფლება ზემოაღნიშნული „ოსტუპნოის სახით მიღებული თანხა დაუქირო ოთახის ქირის ანგარიშში. ვარ სახკავშირის წევრი (წიგნაკი № 95649).

კავშირის წევრი.

პასუხი

სართის ფულის ოთახზე აღება ნიშნავს საბინაო მოედნით სპეკულიაციას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება მომქმედ საბინაო კანონმდებლობას და როგორც ასეთი დაუშვებელია. ამიტომ შესაძლებელია სართის ფული სახლის პატრონს გამოებაროს ბინის ქირიდან სასამართლოს განაჩენით.

მატარებლების მიმოსვლა

გადის თბილისიდან ადგილობრივი დროით

მატარ.		ს.	წ.
№ 1	ლენინგრადში კვირაობით დილის	9	—
„ 1	მოსკოვში ოთხშაბათობით და შაბათობით დილ.	9	—
„ 3	როსტოვში დილის	11	—
„ 5	ბაქოში საღამოს	8	45
„ 13	ბაქოში ღამის	12	55
„ 4	ბათომში შუაღამის	12	30
„ 6.	ბათომში დილის	11	30
„ 14	ბათომში საღამოს	7	5
„ 10	ფოთში საღამოს	9	40
„ 3	ჯულფაში შუადღის	12	—
„ 14	ნახიჩევანში ნაშუადღ.	5	—
„ 3	თელავში ღამის	10	—
„ 13	თელავში დილის	9	30
„ 16	ბორჯომში დილის	7	5
„ 18	ბორჯომში ნაშუად.	3	—
„ 20	ბორჯომში ნაშუად.	3	45
„ 24	გორში უქმე და უქმეების წინადღეებში ნაშუადღევის	2	5

მოდის თბილისში ადგილობრივი დროით

მატარ.		ს.	წ.
№ 2	ლენინგრადიდან პარასკეობით ღამის	10	15
„ 2	მოსკოვიდან ორშაბათობით და ხუთშაბათობით ღამის	10	15
„ 4	როსტოვიდან საღამოს	6	30
„ 6	ბაქოდან დილის	10	30
„ 14	ბაქოდან დილის	8	—
„ 3	ბათომიდან დილის	6	40
„ 5	ბათომიდან საღამოს	7	45
„ 13	ბათომიდან ნაშუად.	2	50
„ 9	ფოთიდან დილის	9	35
„ 4	ჯულფიდან დილის	7	—
„ 12	ნახიჩევანიდან შუადღ.	12	15
„ 4	თელავიდან საღამოს	5	25
„ 14	თელავიდან დილის	6	35
„ 15	ბორჯომიდან ღამის	11	15
„ 17	ბორჯომიდან დილის	5	10
„ 19	ბორჯომიდან დილის	7	50
„ 25	გორიდან უქმე და უქმეების წინა დღეებში ღამის	10	20

ღრმად დამწუხრებული ლევან მეტრეველი ამით აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობებს თავის ძვირფასი მეუღლისა და მეგობრის

ელისო მიხეილის ასული
მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე ხუთშაბათს. გამოსვენება 3 საათზე საკუთარი ბინიდან, გუნიბის ქ. 27. 2—2

უნუგეშოდ დამწუხრებული დედა მარიამი, და—ნატალია, ძმა—ზაქარია და ძმისწული ბიძინა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს თავიანთ დაუვიწყარ

ელისო (ელიჩკა) მიხეილის ასულ
მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება 3 საათზე საკუთარი ბინიდან გუნიბის ქ. 27. 2—2

ღრმად დამწუხრებული და—ნატალია და სიძე მიხეილ ქანიშვილები და ნადია და ვანია ზოდელავები ამით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს თავიანთ ძვირფას და საყვარელ

ელისო მიხეილის ასულ
გოგატიშვილ-მეტრეველის

უდროოდ გარდაცვალებას. 2—2

ა.-კ. რკინისგზების გამგეობასთან არსებული
საუწყებათაშორისო სატარიფო
თათბირის
1924 წ. 24 მაისის

დადგენილება

(განმწესრიგებელი სხდომა № 22—6)

ქ. ჭიათურის მუშა-მოსამსახურეთათვის ჭიათურა-საჩხერის ხაზზე მგზავრობისათვის ადგილობრივი ტარიფის დაწესების შესახებ

ქ. ჭიათურის მუშა-მოსამსახურეებისათვის ჭიათურა-საჩხერის ხაზზე მგზავრობისათვის საცხოვრებელ ადგილებიდან სამსახურის ადგილამდე და უკან, დაწესდეს ადგილობრივი ტარიფი საავარაკო მატარებლების ტარიფის რაოდენობით, თვიური ბილეთებით, რომელსაც ჭიათურის სადგურის უფროსი გასცემს.

აღნიშნული ტარიფით სარგებლობისათვის საჭიროა წარმოდგენილი იქნეს პირადობის მოწმობა, ფოტოგრაფიული სურათით, გაცემული სათანადო დაწესებულების მიერ იმის დასამტკიცებლად, რომ აღნიშნული პირი მართლა არის მუშა ან მოსამსახურე.

ბილეთების გაცემა ხდება საერთო წესით.

აღნიშნული ტარიფი წესდება ერთი წლის ვადით და ძალაში შედის ამ დადგენილების გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ.

თბილისი,
24 მაისი, 1916 წ. 1—1 ნ. 1343

სრულიად საქართველოს მეხილე-მებოსტნეთა ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

„ბაღბოსტანკავშირი"-ს დამფუძნებელი კრება

დანიშნულია ამა 1926 წ. 30 მაისს, პროფკავშირის საბჭოს მცირე დარბაზში

დღის წესრიგი:

1) მოხსენება „ბაღბოსტანკავშირი"-ს საორგბიუროსი.
2) მოხსენება ადგილებიდან.
3) „ბაღბოსტანკავშირი"-ს წესდების განხილვა და დამტკიცება.
4) 1925—26 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5) მომავალ წლის საშემოდგომო ხილის დამზადების გეგმის განხილვა.
6) წარმოკავშირთან ურთიერთობის შესახებ.
7) არჩევნები:
    ა) გამგეობის
    ბ) საბჭოსი
    გ) სარევიზიო კომისიის
8) მიმდინარე საკითხები. ნ. 1341

აპოლლო
ართისტიკო
სოლეი

დღეს, ასტა ნილსენის მონაწილეობით.
საუკეთესო სურათი
„მოწყენილი ქუჩა"
იშვიათი სურათი
„ჯავშნოსანი პოტიომკინი"
რეჟისორი აიზენშტეინი „პოტიომკინ"-მა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბერლინში. ყველამ უნდა ნახოს ეს შედევრი.
ანონსი: ჩქარა: **„მეცხრე ზვირთი"**
0—17. ნ. 1265

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ, თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20
50—3

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11 საღ. 6—8
პლეხანოვის პროსპექტი № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.
2537 25—1

ა.-კ. რკინისგზათა **სამმართველო**
იტყობინება, რომ ა/წ. 5 ივნისს, დღის 11 საათზე

დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა მიწის და ქვის სამუშაოები სად. განჯაში ათი ერთსართულიანი ქვის სახლის ასაგებად; თვითეულ სახლში უნდა იყოს 4 ბინა

ვაჭრობის მონაწილეებმა განაცხადებას თან უნდა დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ გზების სალაროში შეტანილია გირაოს განცხადებული ფასის 5 პროცენტის რაოდენობით.

სათანადო ცნობების და განცხადებების მიღება შეიძლება საბინაო აღმშენებლობის კომიტეტის კანტორაში, გზათა სამმართველოს შენობაში, სადგურის ქუჩა № 1, სამუშაო საათებში.

ნ. 1344 2—1. გამგეობა.

კომუნალური განყოფილების
საწარმოო კომბინატის სამმართველო
ამით აცხადებს, რომ პირველ ივნისს, დილის 11 საათზე ქალაქ ბათომის აღმასკომის შენობაში (ოთახი № 5)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიცემა იჯარით ორთაბათომის შროშეზე მეექვსე ვერსზე წყალსადენის ფილტრების შეკეთების სამუშევრები.

უმთავრესი სამუშევრები: 1) შტუკატურკის მოხსნა და ახალის გაკეთება ცემენტის სითხით 1:2, სულ 222,7 ოთხ. კუთხ. საჟ., 2) გაწმენდა ფილტრების ძირში შეერთებულ ალაგებისა და ასეთის ამოსხმა ასფალტით 250 საჟ., 3) გაცარიელება ფილტრის (ამოღება მსხვილი და წვრილი ქვის ხრეშის 120,000 ფუთ.), 4) განაწილება და გარეცხვა ფილტრების, 5) ჩაწყობა ხელ-ახლად ორთა ფილტრების (მსხვილი ქვა 48,000 ფუთ., წვრილი ქვა და ქვიშა—154,500 ფუთი), 6. დანარჩენი წვრილი სამუშევრები და საჭირო მასალა: ცემენტი—1287 ფუთი, ასფალტი—171 ფუთი, ნუდრონი—8,5 ხრეში—75 კუბ. საჟ.

აქ აღნიშნული სამუშევარი მასალით თანახმად შედგენილი ხარჯთ-აღრიცხვისა ჯდება 19.350 მ. 58 კ.

უკანასკნელი ვადა სამუშევრის დამთავრებისა 15 აგვისტოს 1926 წ.

ნ. 1335 3—2. კომბინატი.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოთ, რომ მოქ.

კონსტ. ჭუბაბრია

(საწყობის ყოფ. გამგე) მოხსნილია სამსახურიდან. მასზე გაცემული ყოველგვარი მოწმობები გაუქმებულია.

3—1 „კომუნისტი"-ს მთ. კანტორა.

ხაზის

მონტიორები

საჭიროა ელქგანში

(თავისუფლების მოედ. № 2, თამამშევის ყ. ქარვასლა).

ნ. 1339 3—3

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 1 ივნისს 1926 წ. 1 საათზე კლარა ცეტკინის და ბათომის კუთხ. № 151 | 32 1 საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლიუბა და იაკობ ხიზანოვების უძრავ ქონებას ორ სართულიან აგურის სახლს, მდებარეს კლარა ცეტკინის და ბათომის ქ. კუთხეში № 151 | 32, 18 ოთახიანი 6 სამზარეულოთი, ორი სადარბაზო შესასვლელით, კანალიზაციით და წყალსადენით, შეფასებულს ათას მან., დასაკმაყოფილებლად გაბრიელ გატაევისა.

ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 414 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ. 2605

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ 31 მაისს, დღის 12 ნახ. საათზე, ამბარცუმ კიშიშიანცის ბინაზე, კალინინის ქუჩა № 50, მის მიერ პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება კიშიშიანცის შემდეგი ქონება, შეფასებული 105 მანეთად: ბუფეტი, შკაფი, ორი ტანისამოსი, კედლის საათი, ნახევრად ბუფეტის შკაფი, კავკასიური ხალიჩა, ჩარჩოები 2 სამი მეოთხედი 1 ნახ. არშინი, კედლის ნოხი. 2606

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან. 25—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ.
ისამართი: მოსკოვის ქ. № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ მაერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ძნელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 32 25—

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან 25—18

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914" ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ. საღამოს 5 დან—9 საათამდე; ქალები 12—2 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—1

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82
25—1 ქვ. 2356

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33. ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები.
დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის. 25—6

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—17

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჴლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქის და რენტგენის სამკურნალო კაბინეტი
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ. № 23 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 12—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—7

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე ელბაქიძის დაღმართი № 15.

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღ. 4—7 ს-დე. (ყოფილი ოლღის) ლენინის ქ. № 3 25—115

თვალის ექიმი
მაევსკი
პლეხანოვის პროსპექტი
ყოფილი მიხეილის პრ.) № 53 (მთავარი ფოსტის პირდაპირ) მიღება დილის 9-დან 11 საათამდე (დღის 1-დან 3-დე, საღამოს 7-დ 8-მდე. 35—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 3. 2215 31—

„მმაჩ"-ის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. **ალექსანდრე ადამის ძე ბაქრაძემ** შემოიტანა განცხადება მისი გვარის **„ბაქრაძე"-ს „ფალიაშვილი"-თ** შეცვლის შესახებ. 2603

დავკარგე კურსის დამთავრების მოწმობა იოანე იაკობის ძე პაპუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2611

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1275, გალაქტიონი მჭედლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2610

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4—№ 18, ალექსანდრე ელიაზარის ძე ბენდიანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2611

დავკარგე პირადობის მოწმობა უვადო, სამხედრო საარიცხვო ბარათი და კავშირის წიგნაკი ამბაკო ვიქტორის ძე მღვდელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2604

დავკარგე პირადობის მოწმობა № 10, აპოლონ ნესტორის ძე სირბილაძეს სახელზე, ჩ. გ. 2609

დავკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სვიმონ სვიმონის ძე სალარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2608

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 95, რაჟდენ პეტრიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2612

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68